გაზეთი ზივრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

№37 (793) 3 - 4 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

# SOS „მეჩეთი ნიღაბია, ღმერთსა და ლოცვაზე საუბრისმიღმა საქართველოს ფარული დაპყრობის მცდელობა დგას!“



ამ მეჩეთის აშენება არ არის მაჰმადიანი ქართველების 95%-ის სურვილი, რადგან ეს პროექტი არანაირ კავშირში არაა რელიგიასთან, თორემ 200 მეჩეთი ისე აშენდა, ხმაც არ ამოგვიღია! დღეს სხვა ვითარებაა — მიმდინარეობს მიზანმიმართული ბრძოლა საქართველოს დაშლა-დანაწილებისთვის. დაშლილი საქართველო კი საქართველო აღარ იქნება — ეს იქნება რუსეთის, თურქეთის, სომხეთისა და, შესაძლოა, აზერბაიჯანის ინტერესები, რომელთა შორის, არც ერთი ქვეყანა ისე ახლოს არაა ევროპასთან, როგორც საქართველო!

გვ. 5

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი ბათუმში ახალი მეჩეთის აშენებით გამოწვეულ საფრთხეებს შიფრავს და, ხალხის ნების იგნორირების შემთხვევაში, საპროტესტო აქციებს იწყებს!

## თემურ ჭკუასელი



„არ შეიძლება ქვეყანაში შურისძიების სპექტაკლი დადგა, მომავალზე უნდა ვიფიქროთ!“

გვ. 7

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

## „საქართველოს ბანკისა“ და „ვისოლის“ კიდევ ერთი წარმატებული თანამშრომლობა შედგა

ამიერიდან, „ვისოლი“ American Express ბარათების მომხმარებლებსაც მოემსახურება!

გვ. 9

ვისოლი

## „გავრცელებული მასალები მეტყველებს, რომ ქვეყნის პირველი პირების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს!“



გია ვოლსკი არჩილ კბილაშვილს აგვისტოს ომის პოლიტიკური ნაწილის გათვალისწინებას ურჩევს

გვ. 3



## რა მოხდა ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესზე

2 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების პროცესზე, მცირე ინციდენტი მოხდა. პროცესი დაზარალებულების დაკითხვით განახლდა. დაიკითხა ორი დაზარალებული, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ნიკოლოზ ქათამაძე და დავით ხარეიშვილი.

ხარეიშვილის დაკითხვის შემდეგ, შესვენება გამოცხადდა, მან შედეგად, დარბაზი დატოვა და ხარეიშვილს პროცესზე დამსწრეთა ნაწილიც გაჰყვა. მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა მოწმე დარბაზის კარამდე მიაცილეს. დარბაზიდან გამოსულებმა კი მოწმე შეძახილებით გააცილეს. ამ ყოველივეს კი, მანდატურებსა და პროცესზე დამსწრე საზოგადოებას შორის დაპირისპირება მოჰყვა. დავით ხარეიშვილმა სასამართლოს შენობა პოლიციელების თანხლებით დატოვა. ინციდენტის განმუხტვა სწრაფად მოხერხდა.

პროცესზე შს და თავდაცვის ექსმინისტრმა ბაჩო ახალაიამ გაერთიანებული შტაბის ყოფილ უფროს გიგი კალანდაძეს, მათთან ერთად ბრალდებულ რამდენიმე პირსა და მათ ოჯახებს ბოდიში მოუხადა და განაცხადა: **„თუ საქართველოში ვინმე ცოცხალი გმირია, ეს სწორედ ეს ადამიანები არიან, რომლებიც იმიტომ იმყოფებიან პატიმრობაში, რომ მასთან იყვნენ დაკავშირებულები ან პირიქით, ახალაია იყო დაკავშირებული მათთან. დღევანდელ სხდომაზე მოწმეების დაკითხვის შემდეგ უკვე ყველა კითხვა ზედმეტია. თუ პროკურატურა ასეთი მოწმეების იმედზეა, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე! არ მიკვირს თქვენი პოზიციის და იმის, თუ როგორ უშლით დაცვის მხარეს, თავისი ფუნქციები შეასრულოს. ეს ყველაფერი ერთ ქართულ ნაწარმოებს მახსენებს, ასინეთა რომ არის, თუ იცით. მინდა, ერთ ფაქტს გამოვეხმაურო, რომელიც თავდაცვის სამარცხვინო მინისტრმა გააჟღერა. ესაა ავტომატების შესყიდვა. ძალიან ბევრს მასზე პასუხის გაცემა გაუჭირდა, ამიტომ მინდა, თავად გავცე პასუხი. ყველაფერი, რაც თავდაცვის სამინისტროში ხდება, ერთ კონტექსტშია. თქვენ ნახეთ, რომ ყველა მოწმემ სრულიად გაუგებარი ჩვენებები მისცა. თავდაცვის მოქმედმა მინისტრმა პირდაპირ უთხრა გენერალ კალანდაძეს, რომ თუ ამ ადამიანების წინააღმდეგ ჩვენებას მისცემდა, მოწმე იქნებოდა. არ მქონდა დრო იმისთვის, რომ ადვოკატებთან კონსულტაციები გამევლო“.**

*„ნიუ პოსტს“*



## პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა, შესაძლოა, აღლუმი ერთად ჩაიბარონ

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია 26 მაისს გრანდიოზული აღლუმის მოწყობას გეგმავს. ამის შესახებ Frontnews საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ლევან ბერძენიშვილმა განუცხადა. დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ ქვეყნის მთავარსარდალმა და პრემიერ-მინისტრმა აღლუმი ერთად ჩაიბარონ.

**„პრეზიდენტს უფლება აქვს, აღლუმი ჩაიბაროს, რა თქმა უნდა, თუ ამის განწყობაზე იქნება. წინა ხელისუფლება ხალხზე ძალადობდა და შემდეგ ატარებდა აღლუმებს, მაგრამ ახლა, ხალხს ნამდვილად აქვს საზეიმო და უნდა იზეიმოს კიდეც“,** — განაცხადა ბერძენიშვილმა.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით კი, წლევანდელი 26 მაისი განსხვავებული იქნება, თუმცა არ დააკონკრეტა, სამხედრო აღლუმი რუსთაველზე გაიმართება ან სხვაგან და ჩაიბარებს თუ არა მას საქართველოს პრეზიდენტი.

**„26 მაისის სამზადისში ვართ. ამ საკითხში ჩართულია პრემიერ-მინისტრი და მთლიანად მთავრობაც. 26 მაისს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, შთამბეჭდავი და ლამაზი სანახაობა. რაც მთავარია, წლევანდელი 26 მაისი სრულიად განსხვავებული იქნება. ღონისძიება მოიცავს სამხედრო კომპონენტსაც“.**

*„ფრონტ ნიუს“*

## შს მინისტრმა და აშშ-ს ელჩმა ფოთის ბაზაზე საინჟინრო გემთსარემონტო სახელოსნო გახსნეს




შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სადგურ „სუფსას“ ტერიტორიაზე ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიას დაესწრნენ.

შს მინისტრმა და აშშ-ს ელჩმა ნიჩბით საძირკველი სიმბოლურად „გაჭრეს“. ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვა რიჩარდ ნორლანდმა და ირაკლი ღარიბაშვილმა წარმოთქვეს.

ასევე, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზაზე საინჟინრო გემთსარემონტო სახელოსნოს გახსნის ცერემონიაც გაიმართა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი დაესწრნენ. შს მინისტრმა სანაპირო დაცვის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის საქართველოში აშშ-ს საელჩოს საფრთხეების შემცირების სამსახურის უფროსი, საჰაერო ძალების ვიცე-პოლკოვნიკი ბლეიქ ფარლეი სანაპირო დაცვის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა. მინისტრმა აგრეთვე დააჯილდოვა აშშ-ს საელჩოს ექსპორტისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელი დეივიდ ნილსი და აშშ-ს საელჩოს ექსპორტისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის მრჩეველი საზღვაო საკითხებში ჯონ ქარენი. ირაკლი ღარიბაშვილმა და რიჩარდ ნორლანდმა, სანაპირო დაცვის თანამშრომლებთან ერთად, გემების სარემონტო ძველი სახელოსნო დაათვალიერეს და შემდეგ, ახალი შენობა საზეიმოდ გახსნეს.

*„ვერსიანიუსი“*

## „ოშკისა“ და „იშხნის“ სომხური ეკლესიისთვის დაბრუნებას პატრიარქ გარეგინ მეორეს სთხოვენ



„იშხნისა“ და „ოშკის“ „სომხური ისტორიული ძეგლების“ დაბრუნებაში აქტიურ ჩართვას სომხეთის პატრიარქს გარეგინ მეორეს „რუსეთის ჯავახური დიასპორა“ სთხოვს. განცხადებაში, თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებული უძველესი ქართული ტაძრები სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ნაწილებად არის მოხსენიებული.

**„თქვენო უწმინდესობავ! როგორც თქვენთვის ცნობილია, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული სიწმინდეების კუთვნილების, რესტავრაციისა და გადაცემის საკითხი სომხებისა და განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხთა გენოციდის მსხვერპლთა მემკვიდრეების უსაზღვრო შეშფოთებას იწვევს. საუბარი ეხება (მათ შორის) სამონასტრო კომპლექსებს იშხანს, ოშკსა (ოშკივანკს) და ბანაკს.**

**ჩვენი აზრით, იქმნება რეალური საშიშროება ჩვენი ერის ისტორიული მემკვიდრეობის მისაკუთრებაზე. ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ უნდა დავიცვათ ეს ბურჯები, რომლებიც მთელ ჩვენ უდიდეს ერს აერთიანებს. ერთ-ერთ ასეთ მთავარ და მყარ საფუძველს სომხური წმინდა სამოციქულო ეკლესია წარმოადგენს.**

**ჩვენი აზრით, დღეისთვის, თქვენ, ჩვენს საყვარელ კათოლიკოს-პატრიარქს გარეგინ მეორეს, ჩვენი დაქუცმაცებული ერის გაერთიანებისთვის უდიდესი მუშაობა მოგიწევთ. მივიჩნევთ, რომ ჩვენმა წმინდა სამოციქულო ეკლესიამ, ყველაზე სერიოზული ქმედებები უნდა განახორციელოს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ ათასი კვადრატული კილომეტრი გვეკუთვნის — თუ არა ეთნიკური, საეკლესიო მიწების მაინც. არსებობს ისტორიული არქივები ეჩმიაძინში, ანტილიასში, სტამბოლში, რომლებიც ამ ფაქტს ამტკიცებს. ასე რომ, მოგიწოდებთ, თურქეთისგან მინიმალური მაინც მოითხოვოთ, რომ ჩვენი კუთვნილი საეკლესიო მიწები დაგვიბრუნოს. ჩვენმა სამოციქულო ეკლესიამ საკუთარი ქონება უნდა დაიცვას.**

**დარწმუნებულნი ვართ, რომ იურიდიულად ამის მიღწევა შესაძლებელია და მისი დაწყება უკვე დღეიდან, საჯაროდ განცხადებით არის აუცილებელი. თითოეულ სომხურ ეკლესიას საკუთარი მიწა, სასაფლაო ჰქონდა და ვიმეორებთ, რომ ის ეკუთვნოდა არა ოსმალეთის იმპერიას, არამედ სომხეთის სამოციქულო ეკლესიას. ასეთი პოზიციის არარსებობა საბჭოთა პერიოდში ყველასთვის გასაგებია, თუმცა დღეს, გაჩუმება და უმოქმედობა არ შეიძლება აიხსნას. ჩვენი ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრია და ჩვენ ამის სამართლებრივი საფუძველი გვაქვს. თქვენო უდიდებულესობავ! ნება მოგვეცით გითხრათ, რომ თუ ჩვენი წმინდა სამოციქულო ეკლესია ასეთ ნაბიჯს გადადგამს, მაშინ დაე, იყოს დარწმუნებული, რომ მას მთელი ერი მხარს დაუჭერს“,** — წერენ განცხადებაში.

*„ნიუ პოსტს“*

## „ომეგა ჯგუფი“ ტელეკომპანია „იბერიას“ დაბრუნებასა და ზარალის ანაზღაურებას ითხოვს



„ომეგა ჯგუფი“ მთავარ პროკურატურას მიმართავს და წინა ხელისუფლების მიერ მიყენებული მილიონობით ზარალის ანაზღაურებასა და ტელეკომპანია „იბერიის“ სამაუწყებლო ლიცენზიის დაბრუნებას ითხოვს. როგორც „იბერია ტვ“-სა და „ომეგა ჯგუფის“ ადვოკატებმა განაცხადეს, 50-გვერდიან საჩივარში, რომელიც პროკურატურაში შევიდა, დეტალურად ასახულია ის უკანონო ქმედებები, რაც ყოფილმა მაღალჩინოსნებმა 2004 წელს „ომეგა ჯგუფის“ მიმართ ჩაიდინეს, რის საფუძველზეც ტელეკომპანია „იბერიას“ სამაუწყებლო ლიცენზია ჩამოერთვა და მას შემდეგ ველარ მაუწყებლობს. მათი განმარტებით, განცხადებაში აღნიშნულია, რომ მთელი 2004 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა „ომეგა ჯგუფის“ კომპანიების და მათი დამფუძნებლების მიმართ იძულებასა და ზეწოლას, რის საფუძველზეც, საბოლოო ჯამში, მიაღწიეს მიზანს და „იბერია ტვ“-ს ჩამოერთვა სამაუწყებლო ლიცენზია, ხოლო „ომეგა ჯგუფის“ სხვა კომპანიებმა, როგორიცაა სიგარეტების მწარმოებელი კომპანია „ოჯთ“, „ომეგა მოტორსი“ და სტამბა „ომეგა თეგი“, განიცადეს ათეული მილიონი ლარის ოდენობის ზარალი.

**„ჩვენი მოთხოვნაა, დაიწყოს გამოძიება და სამართლებრივი ღონისძიებებით დავუპირისპირდეთ იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა „ომეგა ჯგუფის“ კომპანიების მისამართით; კერძოდ, განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ უკანონო ქმედებებში აქტიურად მონაწილეობდნენ იმდროინდელი გენპროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები“,** – განაცხადა „იბერია ტვ“-ს ადვოკატმა დავით ასათიანმა და განმარტა, რომ ეს მაღალჩინოსნები არიან მაშინდელი მთავარი პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე, ასევე ზურაბ ადეიშვილი, რომელიც 2004 წლის ბოლოს დაინიშნა მთავარ პროკურორად. საქმეში ფიგურირებს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მაშინდელი თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი.

ადვოკატების განმარტებით, „იბერია ტვ“-ს სამაუწყებლო ლიცენზია უკანონოდ, ზეწოლით, 2004 წელს გადაეცა ტელეკომპანია „აისს“-ს, შემდეგ კი, 2011 წელს აღნიშნული ტელევიზიისა და ლიცენზიის მფლობელიც გახდა „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“, რომელიც ამასთანავე, წარმოადგენს ტელეკომპანია „იმედის“ დამფუძნებელ კომპანიას და დღეს ერთი ჯგუფის ხელშია ტელეკომპანია „იბერიისა“ და „იმედის“ სამაუწყებლო ლიცენზია. ლიცენზიის დაბრუნების შემთხვევაში, „იბერია ტვ“-ს ხელმძღვანელობა მაუწყებლობის აღდგენას გეგმავს.

*„მედიანიუსი“*

# „გავრცელებული მასალები მეტყველებს, რომ ქვეყნის პირველი პირების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს!“



## გია ვოლსკი არჩილ კბილაშვილს აგვისტოს ომის პოლიტიკური ნაწილის გათვალისწინებას ურჩევს

რუსუდან შელია
557-100-768

**30 მარტს, პრემიერ-მინისტრი საპარლამენტო უმრავლესობას დახურულ კარსმიღმა შეხვდა. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ამიერიდან, შეხვედრები ტრადიციული გახდება და ორ კვირაში ერთხელ გაიმართება. „ვერსია“ შეხვედრის კონკრეტულ დეტალებსა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრს გია ვოლსკის ესაუბრა.**

— პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე დეპუტატებმა, ძირითადად, მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის კოორდინაციის აუცილებლობაზე ვისაუბრეთ. ვერ ვიტყვი, რომ ეს საგანგებოდ დაგეგმილი შეხვედრა იყო, თუმცა ვფიქრობ, საკმაოდ ნაყოფიერი დიალოგი შედგა.

**— დაახლოებით, ორსაათიან დახურულ შეხვედრაზე, მხოლოდ უმრავლესობასა და მთავრობას შორის კოორდინაციის პრობლემაზე ისაუბრეთ და პრემიერთან დეპუტატებს სხვა საკითხები არ განიხილეთ?**

— რა თქმა უნდა, კოორდინაციის პრობლემის გარდა, კიდევ არაერთი საკითხია, რომელიც პრემიერთან განხილვას საჭიროებს. მაგალითად, მაჟორიტარმა დეპუტატებმა ბიძინა ივანიშვილთან სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები გააცნეს, საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ დღეს არსებულ რეალობასა და იმაზე, თუ რა გვჭირდება მომავალში. ისიც ხაზგასმით განვაცხადეთ, რომ კარგი იქნება, თუ მთავრობის წევრები პარლამენტს უფრო ხშირად ეწვევიან. შევთანხმდით, რომ მთავრობის წევრებისგან უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მეტ პატივისცემას იმსახურებს, რაც წინა ხელისუფლების პირობებში, სამწუხაროდ, არ იგრძნობოდა.



**— ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ აგვისტოს ომის შემსწავლელი სპეციალური საგამოძიებო კომისია იქმნება. ცოტა ხნის წინ, თქვენც გამოაქვეყნეთ მეთიუ ბრაიზას აგვისტოს ომამდე ორი წლით ადრე დაწერილი წერილი, სადაც ის საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან კონფრონტაციისგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ უკვე არსებობს მასალები, რომლის საფუძველზეც აგვისტოს ომის გამოძიება დაიწყო?**

— აგვისტოს ომთან დაკავშირებით, არჩილ კბილაშვილთან დეტალებზე არ მისაუბრია, თუმცა დიახ, საჯარო გავხადე მასალები, თუ რა სახის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა აგვისტოს ომამდე, ამასთან, რამდენად დიდი პროგრესი გვქონდა კონფლიქტების დასარეგულირებლად, თუმცა მაშინდელმა ხელისუფლებამ აბსოლუტურად ალოგიკური გადაწყვეტილება მიიღო. შესაბამისად, დასადგენია, რეალურად რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში. კარგი იქნება, თუ გამოძიების პროცესში არჩილ კბილაშვილი ომის პოლიტიკურ ნაწილსაც გაითვალისწინებს.

**— რას გულისხმობთ, ვისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვთ?**

— აუცილებლად უნდა გაიცეს პასუხი კითხვაზე: რატომ მივიდა საქართველოს ხელისუფლება აგვისტოს ომამდე მაშინ, როცა კონფლიქტების დარეგულირების კუთხით პროგრესი თვალსაჩინო იყო და რაშიც დასავლეთიც, როგორც ფინანსურად, ასევე მხარდაჭერის თვალსაზრისით, აქტიურად მონაწილეობდა. მეტიც, მეთიუ ბრაიზას წერილში ნათქვამია, რომ თუ საქართველო კონფრონტაციულ კურსს გააგრძელებს, ის საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერას დაკარგავს. ვერ გეტყვით, ეს პოლიტიკური ნაწილი პროკურატურას რამდენად ეხება, მაგრამ გავრცელებული მასალები მეტყველებს, რომ ქვეყნის პირველი პირების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. პარალელურად, ლაფანყურის სპეცოპერაციაც გამოსაძიებელია, ამ შემთხვევაშიც უამრავი კითხვა დაგროვდა, რომელსაც, იმედი მაქვს, გამოძიება უახლოეს მომავალში დაადგენს.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ პაუზა, რომელიც მმართველმა გუნდმა არჩევნების შემდეგ აიღო, დასრულებულია? გენერალური პროკურორი იმასაც აცხადებს, რომ გირგვლიანის საქმე თითქმის დასრულებულია, ამასთან ხელჩასაჭიდი მასალები გაჩნდა ზურაბ ჟვანიას საქმეშიც.**

— რა თქმა უნდა, დაგროვილ კითხვებზე პასუხი უნდა მივიღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ვერ განვითარდება. თანაც სანდრო გირგვლიანისა და ზურაბ ჟვანიას საქმეები მხოლოდ მათ ოჯახს არ ეხება, სრულიად საქართველოსთვის უნდა გახდეს ნათელი, რასთან გვქონდა 9 წლის განმავლობაში საქმე. ამასთან, მომავალში, სახელმწიფო პოსტზე ვინც უნდა მოვიდეს, „ოცნება“ თუ სხვა პოლიტიკური ძალა, მან ზუსტად უნდა იცოდეს, საქართველოში დანაშაული მკაცრად დასჯადია. მესმის, სამართლიანობის აღდგენის პროცესი კოჰაბიტაციაზე საუბრით იყო გადაფარული, რაც ნაციონალური მოძრაობის რეაქციამ დაამახინჯა — თანაარსებობა დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას არ გამორიცხავს. დასავლეთი ამას სულაც არ გულისხმობდა, როცა ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაციაზე გვესაუბრებოდა.

ზოგადად, ნაციონალები მოსახლეობაში დასავლური ფასეულობების შეფარულ ანტიპიარს აწარმოებენ. 19 აპრილის აქციაც ამ გეგმის ნაწილია. ვფიქრობ, ტყუილად ირჯებიან, რადგან საზოგადოება ყველაფერს საკმაოდ ჯანსაღად აღიქვამს — დასავლური ფასეულობების დამცველის ნიღბის უკან ის ადამიანები დგანან, რომლებმაც სწორედ დასავლური ფასეულობები ფეხქვეშ გათელეს.

**— ხელისუფლება როგორ აფასებს ვანო მერაბიშვილის განცხადებას, 19 აპრილის შემდეგ სხვა საქართველოში ვიცხოვრებთო?**

— ვანო მერაბიშვილი ცდილობს, ოპოზიციური ფრთის სტაბილიზაცია მოახდინოს, რათა ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა გადარჩეს. თუ გნებავთ, მის სტრატეგიასაც გაგიშიფრავთ: 19 აპრილს, ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგები საზოგადოების იმ ნაწილის გამოყენებას შეეცდებიან, რომლებმაც ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, შედეგი სწრაფად ვერ მიიღეს. მერაბიშვილი ფიქრობს, რომ მოქალაქეების ამ ნაწილის შემოკრებით, ისეთი პოლიტიკური ძალა გახდება, რომელიც მხოლოდ საკუთარ მომხრეებს არ ეყრდნობა.

**— აცხადებთ, რომ ნაციონალურ მოძრაობას უკვე შესწევს ძალა, თქვენი მხარდამჭერები გადაიბიროს, ეს გარკვეულწილად, თქვენს სისუსტეზე ხომ არ მიუთითებს?**

— ნაციონალური მოძრაობის მიერ 9 წლის განმავლობაში გადადგმული უარყოფითი ნაბიჯების სამ თვეში გადაფარვა, საკმაოდ რთული ამოცანაა, ამიტომ ნაციონალურ მოძრაობასა და პირადად, ვანო მერაბიშვილს სურს, სწორედ ამ გარდამავალი ეტაპით ისარგებლოს, როცა ბევრი რამ ჯერ მართლაც ვერ გაკეთდა. ვერ ვიტყვი, რომ „ოცნება“ ამ ეტაპზე სუსტია, თუმცა ფაქტია, მერაბიშვილი ვითარების ექსპლოატაციას ახდენს. არ დაგვავიწყდეს, რომ ნაციონალური მოძრაობა სამართლიანობის აღდგენის პროცესის გარშემო ახალი ფაქტების გადაფარვას 19 აპრილის აქციებით ცდილობს. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში ყოფნის დროს მათი პროპაგანდისტული მანქანა საკმაოდ ძლიერი იყო და ამ მიმართულებით ჩვენზე მეტად გამოცდილებიც არიან.

**— მერაბიშვილმა „ყაჩაღ“ მელორ ვაჩნაძესა და „მხედრიონელ“ ნანა კაკაბაძეს აქციაზე მისვლისგან თავის შეკავება ურჩია, ფიქრობთ, 19 აპრილი პროვოკაციების გარეშე ჩაივლის?**

— ბუნებრივია, პროვოკაცია ახალი ხელისუფლების ინტერესებში არ შედის, დაპირისპირება მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე დაასხამს წყალს, თუმცა გარწმუნებთ, 19 აპრილს, არეულობის პრევენციისთვის სამართალდამცავები უსაფრთხოების უმაღლეს ზომებს მიიღებენ. არ აქვს მნიშვნელობა, ნანა კაკაბაძე იქნება თუ მელორ ვაჩნაძე, კანონის დარღვევის შემთხვევაში, ნებისმიერი ადამიანი სათანადოდ დაისჯება. საერთოდ, კარგად გვაქვს გააზრებული, რომ ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკოსებს, ბევრად მეტი პასუხისმგებლობა მოგვეთხოვება, მაგრამ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, საზოგადოებაც ფხიზლად უნდა იყოს. მესმის, ჯერ კიდევ ბევრს, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები აწუხებს, ქვეყანაში უმუშევარი ადამიანებიც გვყავს, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, ეს ყველაფერი ისე წარმოაჩინოს, რომ მათ მიერ დაგროვილი პრობლემები ახალ ხელისუფლებას სამ-ოთხ თვეში უნდა მოეგვარებინა. ველოდები, რომ 19 აპრილს სწორედ ამ თემით მანიპულირება მოხდება, თუმცა მეორე საკითხია, ნაციონალურ მოძრაობას მოსახლეობა რამდენად აყვება. ვფიქრობ, ქართველი ხალხი გონიერებას გამოიჩენს.

## საჯარო სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი 65 წლით აღარ განისაზღვრება

საკანონმდებლო მაცნეში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი დადგენილება გამოქვეყნდა, რომელშიც აღნიშნულია, რომ **„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შედის. კერძოდ, ცვლილების თანახმად, კანონში არსებული 50-ე მუხლი შეიცვალა და ახლა დეკლარირებულია, როგორც „მოსამსახურე პენსიაში გადის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.**

აღნიშნული მუხლი ცვლილებამდე გულისხმობდა, რომ „სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი განისაზღვრება 65 წლით. მოსამსახურე პენსიაში გადის კანონმდებლობით დადგენილი წესით“. მაცნეს ინფორმაციით, ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 101-ე მუხლი მთლიანად იქნა ამოღებული. აღნიშნული მუხლის თანახმად კი, მოხელე შეიძლებოდა, სამსახურიდან ასაკის გამო გათავისუფლებულიყო.

***„პირველი“***



## სახალხო დამცველის ანგარიშს, სხდომაზე გატანამდე, კომიტეტებში განიხილავენ

ეკა ბესელიას განცხადებით, სახალხო დამცველის მოხსენების განხილვა პარლამენტში აპრილის შუა რიცხვებიდან დაიწყება.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ანგარიშში მითითებული ფაქტები, სადაც საუბარია ადამიანის უფლებების დარღვევაზე, რეაგირების გარეშე არ დარჩება.

**„ანგარიშს სჭირდება, პირველ რიგში, განხილვა და თქვენ იცით, რომ ჩვენი კომიტეტი განიხილავს სწორედ სახალხო დამცველის ანგარიშს. ეს იქნება აპრილის პირველი ნახევარი, რომლის შემდეგ ის წარდგენილი იქნება სხდომაზე. ანგარიშში მითითებული არც ერთი ფაქტი უფლებების დარღვევის კუთხით, არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე“,** — განაცხადა ეკა ბესელიამ.

***„ნიუპოსტს“***



# წარმატებული ქართველი ავსტრიაში

ლევან ხვედელიძე,
„ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველთაგან, ბევრი წარმატებულია და მათ შესახებ საქართველოში არაფერი იციან. ამჯერად ერთი ოჯახის შესახებ მინდა გიამბოთ, რომელიც ავსტრიაში, ქალაქ აიზენშტატში ცხოვრობს და საკუთარი წარმატებებით საქართველოს ასახელებს.

ბაჩო მენალარიშვილი თბილისში დაიბადა 1983 წელს, ცხოვრობდა საბურთალოზე, ნუცუბიძეზე. ჰყავს მეუღლე ნინო კოპალიანი და მალე პატარა ქართველიც შეემატება მათ ოჯახს.

ბაჩო ერთ-ერთ უმსხვილეს სადაზღვევო კომპანია „დონაუში“ მუშაობს. აქამდე, რიგითი თანამშრომელი იყო, ახლახან კი, ინსპექტორის წოდება მიიღო და წარმატებული მუშაობისთვის წლის საუკეთესო თანამშრომელთა სიაში შევიდა. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ ბაჩოს ოფიციალურ დაჯილდოებაზე კომპანიის გენერალური დირექტორის, ქალბატონ იოჰანნა შტეფანისა და ბურგენლანდის მიწის მთავარი დირექტორის, გერჰარდ შნეებახერისგან სერტიფიკატი გადაეცა.

**„ვერსია“ ულოცავს ბაჩო მენალარიშვილს წარმატებებს და ოჯახს ბედნიერებას უსურვებს მომავალი პატარას მოლოდინში, რომელიც ოქტომბერში მოევლინება ამ წუთისოფელს.**

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ინციდენტი ამოწურულია, რაც მოხდა, განიმუხტა, საია-სთან ჩვენ გახსნილად ვითანამშრომლებთ!“



შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბათუმში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომლებსა და აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსს შორის მომხდარ ინციდენტს აფასებს და აცხადებს: **„განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და მიმაჩნია, რომ ყველაფერი გაზვიადებული იყო. ადგილი ჰქონდა მხოლოდ აჭარის პოლიციის უფროსსა და ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეს შორის გარკვეულ დაძაბულ საუბარს. მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა აჭარის პოლიციის უფროსს. მინდა, საზოგადოებას შევახსენო, რომ პოლიციელი და, კონკრეტულად, ვალერიან თელია, 24 საათის განმავლობაში იცავს აჭარის მოსახლეობის უსაფრთხოებას. ეს ადამიანი სწორედ იმ დღეს, სწორედ იმ წუთებში მიემართებოდა ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაციის განსახორციელებლად, ვგულისხმობ, ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენას და მის გამოაშკარავებას. მე მოვისმინე განცხადებები, რომ ვიღაცამ ვიდეოკამერების ჩანაწერები წაშალა და ჩვენ ეს დავმალეთ. თქვენ ნახეთ გენერალური ინსპექციის დასკვნა, იქ დეტალურადაა გაწერილი, რა მოხდა სინამდვილეში. არაფერი დაგვიმალავს, არაფრის აღიარება ჩვენ არ გვჭირდება, ჩვენ ვამბობთ სიმართლეს. ეს არის ჩემი პასუხი. აქვე მინდა განვმარტო, რომ ტექნიკოს თანამშრომელს რაიმე გადაცდომა ჰქონდა თუ არა და წაეშალა თუ წაშალა ჩანაწერი, ეს არ არის მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ამოვიღეთ ალტერნატიული წყაროდან ფირები და გავავრცელეთ. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა აშშ-სა და ევროპის ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, რომელიმე რეგიონის პოლიციის უფროსისთვის მოქალაქეს, მით უმეტეს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფს, სიტყვიერი შეურაცხყოფა რომ მიეყენებინა. ძალიან გთხოვთ, ყველა კარგად დაფიქრდეთ. ვალერი თელიამ გამოიჩინა ნებისყოფა, რა თქმა უნდა, უსიამოვნოა და არ ვამართლებ, არ ვფიქრობ, რომ იდეალურად წარიმართა ყველაფერი — შეიძლებოდა, უფრო უკეთესადაც ყოფილიყო, მაგრამ მას აქვს მუნდირის ღირსების განცდა, ის არის პოლიციელი, აჭარის პოლიციის ხელმძღვანელი და ის იყო ვალდებული, დაეცვა საკუთარი მუნდირი“.**

შს მინისტრი აქვე აცხადებს, რომ ინციდენტი ამოწურულია და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან თანამშრომლობას გააგრძელებს: **„ვფიქრობ, ინციდენტი ამოწურულია. ის, რაც მოხდა, განიმუხტა. საია-სთან ჩვენ გახსნილად ვითანამშრომლებთ. მინდა, კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ ჩვენი საქმიანობა იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე. ჩემი მოადგილე ლევან იზორია შეხვდა საია-ს ხელმძღვანელს, ჩვენ აბსოლუტური კომფორტი შევუქმენით მას, რომ ჰქონოდა ინფორმაციასთან წვდომა“.**

აქვე გაცნობებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაასრულა სამსახურებრივი შემოწმება აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს უფროს ვალერიან თელიასა და მოქალაქე როინ ფარტენაძეს შორის მომხდარ ინციდენტზე. ამასთან დაკავშირებით, შსს საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ:

**„შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ 2013 წლის 28 მარტს, ბათუმში, გორგასლისა და გრიბოედოვის ქუჩების კვეთაზე, აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს უფროსი ვალერიან თელია, სამსახურებრივი ავტომანქანით ახორციელებდა ოპერატიულ საქმიანობას, რა დროსაც მას საავარიო ვითარება შეუქმნა გორგასლის ქუჩიდან მიმავალმა, ,,მერსედესის“ მარკის ავტომანქანამ, რომელსაც მართავდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქე როინ ფარტენაძე. ვ. თელიამ დამრღვევ მძღოლს ხმოვანი სიგნალი მისცა, რაზეც როინ ფარტენაძემ რამდენიმე ხმოვანი სიგნალით უპასუხა და ვ. თელიას ავტომანქანის გაჩერება მოსთხოვა. აღნიშნულის შემდეგ ვ. თელიამ ავტომანქანა უკან დასწია და გააჩერა. ავტომანქანიდან გადმოსული როინ ფარტენაძე აგრესიული იყო და ხმამაღალი ტონით მიმართავდა ვალერიან თელიას. ვ. თელიამ დამრღვევ მძღოლს ოფიციალურად წარუდგინა თავი და მიუთითა, რომ მას ემოძრავა საგზაო წესების დაცვით, თავი შეეკავებინა შეურაცხყოფისგან, მოუწოდა მას სიმშვიდისაკენ, დაასრულა მოქალაქესთან საუბარი და გაემართა თავისი ავტომანქანისკენ. ამის შემდგომ მოქალაქე როინ ფარტენაძემ კვლავ გააგრძელა აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს უფროს ვალერიან თელიასადმი უცენზურო სიტყვებით შეურაცხყოფის მიყენება, რამაც გამოიწვია მათ შორის გარკვეული დაძაბულობა. ამ დროს ,,მერსედესის“ მარკის ავტომანქანიდან გადმოვიდა მოქალაქე რ. ფარტენაძის თანმხლები პირი, რომელიც ცდილობდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი რ. ფარტენაძის დამშვიდებას. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი.**

**აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, დეტალებში გარკვევის მიზნით, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სათვალთვალო ვიდეოკამერებიდან მოახდინეს ჩანაწერების ამოღება. კერძოდ, პოლიციის თანამშრომელი — გ. ს. მივიდა გორგასლის ქუჩაზე მდებარე კომერციულ ობიექტ „ბათუმის სახლში“, საიდანაც უნდა მომხდარიყო აღნიშნული ობიექტის გარე ვიდეომეთვალყურეობის კამერიდან გადაღებული ვიდეოჩანაწერის ამოღება, რა დროსაც, გ. ს-მ დაუდევრობით ვერ მოახერხა ჩანაწერის ამოღება და დააზიანა არსებული ვიდეოფაილები, რომლის აღდგენაც შემდგომში ველარ მოხერხდა. გ.ს-ს მიერ არ მომხდარა აღნიშნული ფაქტის დამალვა, ზემოაღნიშნული დაუდევარი ქმედებით გამოწვეული შეცდომის შესახებ გ.ს-მ პატაკით აცნობა მის უშუალო ხელმძღვანელს. ამის შემდეგ მან მოძებნა ინციდენტის ამსახველი ალტერნატიული ვიდეომასალის ამსახველი წყარო, კერძოდ, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე ,,ავერსის“ აფთიაქის გარე ვიდეომეთვალყურეობის კამერიდან ამოიღო ჩანაწერი, რომელიც სამინისტრომ იმავე დღეს გაავრცელა მედიასაშუალებებით.**

**იმავე დღეს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება, რის შედეგადაც „ავერსის“ აფთიაქის ვიდეომეთვალყურეობის კამერიდან ამოღებული ვიდეოჩანაწერითა და გამოკითხული პირების ახსნა-განმარტებებით არ დადასტურდა ვალერიან თელიას მიერ სამსახურებრივი გადაცდომა. სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ გ.ს-ს არ განუხორციელებია გორგასლის ქუჩაზე მდებარე კომერციულ ობიექტ „ბათუმის სახლში“ გარე ვიდეომეთვალყურეობის კამერიდან გადაღებული ვიდეოჩანაწერის შეგნებულად დაზიანება, თუმცა დავალების დაუდევარი და არაჯეროვანი შესრულების გამო, მის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური სასჯელი და გამოეცხადა სასტიკი საყვედური“.**

*„ვერსიანიუსი“*

## ვერსიანიუსი

# ირაკლი ალასანია: „სამხედრო სამსახურში პოლკოვნიკების აღდგენას პრეზიდენტი აჭიანურებს“



სამხედრო სამსახურში პოლკოვნიკების აღდგენას პრეზიდენტი აჭიანურებს. ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა. კითხვაზე: შეესაბამება თუ არა სიმართლეს გავრცელებული ინფორმაცია, რომ ხდება პოლკოვნიკების აღდგენის დაბლოკვა და მათ აღდგენაზე ხელს არ აწერს პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ პროცესი ჭიანურდება და მისი უწყება ამ პრობლემის მოგვარებას ცდილობს.

**„მე შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ პროცესის გაჭიანურება მართლაც ხდება. თვეების განმავლობაში, წარდგენილი ელჩების კანდიდატურებიც არ იყო დამტკიცებული. ეს არის კონკრეტული საკითხი, რომელსაც ჩვენი წარმომადგენლები ცდილობენ, გადაწყვიტონ უშიშროების საბჭოს აპარატის დახმარებით. პრობლემა არის, მაგრამ ჩვენ გვესმის ეს რეალობა, რაც დღეს გვაქვს საქართველოში; ხალხის უმრავლესობით არჩეულმა პარლამენტმა დაამტკიცა პრემიერი, მთავრობა, მაგრამ ოპოზიციური ძალის ლიდერია პრეზიდენტი. ურთიერთქმედება, კოჰაბიტაცია დაარქვეს ჩვენმა პარტნიორებმა ამ ურთიერთობას, ხან მიმდინარეობს ნორმალურად, ხან არა. აქედან გამომდინარე, პრობლემა არსებობს და ვცდილობთ გადაწყვეტას, მაგრამ არის სამართლებრივი ჩარჩოები, რასაც ვერ გავექცევით. პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსარდალი და მისი დისკრეციული უფლებაა პოლკოვნიკების სამხედრო სამსახურში აღდგენა“,** — განაცხადა ალასანიამ.

*„ინტერპრესნიუსი“*

# თედო ჯაფარიძე ადასტურებს, რომ პრეზიდენტი პარლამენტში ელჩობის კანდიდატთა წარდგენას მის გამო აჭიანურებს



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში ელჩობის ხუთი კანდიდატის წარდგენას თედო ჯაფარიძის გამო აჭიანურებს. ამის შესახებ არაოფიციალური ინფორმაცია გავრცელდა. ერთ-ერთი ვერსიით, ყოფილი ხელისუფლების მხრიდან არის მცდელობა, თედო ჯაფარიძე სხვა კანდიდატურით ჩაანაცვლონ, რისთვისაც ახალ ხელისუფლებას გარკვეულ გარიგებასაც კი სთავაზობენ. „ინტერპრესნიუსი“ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს, დიდ ბრიტანეთში ელჩობის კანდიდატ თედო ჯაფარიძეს დაუკავშირდა, რომელმაც დაადასტურა, რომ პრეზიდენტი პარლამენტში ელჩებობის კანდიდატთა წარსადგენ სიას სწორედ მის გამო არ აწერს ხელს, მაგრამ არაფერი იცის იმის თაობაზე, რა გარიგებაზე შეიძლება იყოს საუბარი.

**„მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები. თავს ნუ გავიხდით სასაცილოდ. ასეთი არც ელჩობა არ მინდა და არც არაფერი. არსადაც არ მეჩქარება და ქუთაისში თავს მშვენივრად ვგრძნობ“,** — განუცხადა თედო ჯაფარიძემ „ინტერპრესნიუსს“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ითქვა, რომ გაერო-ში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ბულგარეთსა და ჩინეთში ელჩობის კანდიდატთა პარლამენტში წარდგენას პრეზიდენტი ხელს არ აწერს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# SOS – „მეჩეთი ნიღაბია, ღმერთსა და ლოცვაზე საუბრისმიღმა საქართველოს ფარული დაპყრობის მცდელობა დგას!“

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი ბათუმში ახალი მეჩეთის აშენებით გამოწვეულ საფრთხეებს შიფრავს და, ხალხის ნების იგნორირების შემთხვევაში, საპროტესტო აქციებს იწყებს!




ნინო კომახიძე
599-95-33-16

**პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადება, ბათუმში მეჩეთის საქართველოს მთავრობის ხარჯებით აშენების შესახებ, სამი ქვეყნის მინისტერიალის შედეგები და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, აჰმედ დავითოღლუს კმაყოფილებით აღსავსე შეჯამება ისე გადავაგორეთ, პოლიტიკოსთა უმეტესობას ზოგადი პოზიციაც კი არ დაუფიქსირებია — მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალა, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი აქტიურობს და იმ შემთხვევაში, თუ ახალ-ახალი მეჩეთების წამოჭიმვისას ხალხის აზრს არავინ გაითვალისწინებს, გარკვეულ მოქმედებებსაც აანონსებს!**

სულ რამდენიმე დღის წინ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავითოღლუმ მაია ფანჯიკიძესთან შეხვედრის შემდეგ ღიად განაცხადა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ტაძრების, იშხნისა და ოშკის აღდგენის პარალელურად, საქართველოს ათი ათასობით მოქალაქეს კიდევ ერთი მეჩეთის აშენება სურს ბათუმში. როცა მინისტრი ამ განცხადებას აკეთებდა და მას თავს გამალებით უქნევდა ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრიც, ბათუმში, აჭარის სხვადასხვა სოფლებიდან, ქართველი მუსლიმები ავტობუსებით იმის საჩვენებლად ჩაჰყავდათ, რომ უკვე არსებულ მეჩეთში ველარ ეტევიან! იმ „ათასების“ სიტყვიერი მოთხოვნის გასამყარებლად კი, ვინც თურმე ახალი მეჩეთის აშენებას ითხოვს, აჭარის მუფთმა, ჯემალ პაქსაძემ ახალი მეჩეთის აშენებაზე განაცხადი დავითოღლუს გამოსვლიდან პოსტფაქტუმ შეიტანა. როგორც ქართველი მუფთი ჯემალ პაქსაძე აცხადებს, **„მეჩეთი, რომელიც აშენდება, საქართველოს ინტერესებს მოემსახურება და ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შევა, რაც მრევლის მოთხოვნაა. მეჩეთის მშენებლობაში ყველა მიიღებს მონაწილეობას. იქნება შემოწირულობები ისევე, როგორც ტაძრების მშენებლობის შემთხვევაშია, ბანკში გაიხსნება ანგარიში და ხალხი გაიგებს ამის შესახებ“.** ჯერჯერობით, არც ის ხალხი ჩანს სადმე, ვინც მეჩეთს ქართული კულტურის ძეგლად მიიჩნევს და არც ბათუმის ამჟამინდელი მაჟორიტარი „ოცნებიდან“, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე. შეუძლებელია, ბათუმისა და მთელი საქართველოს მოსახლეობას მისი გააფთრებული განცხადებები არ ახსოვდეს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, რომელმაც ახალი მეჩეთის აშენებაზე საუბარი ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნებამდე დაიწყო. მურმან დუმბაძე სწორედ მეჩეთის თემის გამო გარიცხეს რესპუბლიკური პარტიიდან, მან კი სასწრაფოდ ახალი მოძრაობა „ემსახურე საქართველოს“ დააარსა და ერთ-ერთი პირველი ინტერვიუ „ვერსიას“ მისცა:

**„საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღწეული შეთანხმება თურქეთის მთავრობასთან ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენებასთან დაკავშირებით, პირდაპირი ღალატია ქართველი ხალხის, ბათუმელებისა და მთლიანად აჭარლების! ბათუმელები ყველას ვპირდებით, თუ ააშენებენ მეჩეთს, მას ბულდოზერებით გადავუვლით!“**

როგორც ჩანს, დუმბაძის განწყობას ივანიშვილის ინიციატივამ აქეთ გადაუარა ბულდოზერივით, რადგან პრემიერმა განაცხადა, რომ გაითვალისწინებს რა ქართველი მუსლიმების თხოვნას, საქართველო საკუთარი სახსრებით ააშენებს მეჩეთს ბათუმში. შესაბამისად, დუმბაძის ბოლო გამოჩენა მედიასთან, ამ სატელევიზიო კომენტარით დასრულდა:

**„მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგნი არასდროს ვყოფილვართ. მეჩეთები შენდებოდა და მეჩეთი აშენდება, თუ მას ქართველი მუსლიმები მოითხოვენ და შესაბამისი ნებართვა გაიცემა საქართველოს მთავრობის მიერ“.**

ამის მერე, ერთ დროს მეჩეთების წინააღმდეგ მებრძოლ დუმბაძეს ხმა აღარ ამოუღია. შესაძლოა, საქმე ხმის ამოსაღებად აღარც აქვს, რადგან მის წინააღმდეგ ბათუმში უკვე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, საინფორმაციო სააგენტო ghn.ge-ზე კი ძმები დუმბაძეების საქმიანობაში კარგად ჩახედულმა ვინმე იბერია ხმალაძემ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა, სადაც საზოგადოებაში სხვადასხვა დროს დაგროვილ კითხვებს მოუყარა თავი: როგორ მოახერხეს ოპოზიციონერმა ძმებმა დუმბაძეებმა, სააკაშვილის ხელისუფლებების პირობებში, წარმატებული ბიზნეს და სამეწარმეო საქმიანობა და როგორ აღმოჩნდა მათ ხელში რამდენიმე მსხვილი ბიზნეს-ცენტრი? რატომ არ შეეხნენ მურმან დუმბაძეს სამართალდამცველები 2011 წლის 21-23 მაისს, სახალხო კრების მიერ გამართული აქციებისას, როცა დუმბაძე აჭარის ტელევიზიაში შეჭრას ცდილობდა? რატომ დაასახელებინა ბიძინა ივანიშვილს აჭარის დეპუტატობის კანდიდატებად ასლან აბაშიძისდროინდელი პირები და დააკარგვინა სამი საპარლამენტო მანდატი? სავარაუდოდ, მეჩეთზე საუბრის შემდეგ, დუმბაძეს ამ და სხვა ბრალდებებზეც მოუწევს პასუხის გაცემა, ამიტომ იგი დუმილს ამჯობინებს. დუმს ყველა დანარჩენი დეპუტატიც — ნაციონალები, ცხადია, ხმის ამომღებნი ისედაც არ არიან, თურქეთთან სტრატეგიული პარტნიორობის სახელით, „ოცნებასა“ და პარლამენტსგარეთ დარჩენილ პოლიტიკურ სპექტრს კი ეს საკითხი ან არ აღელვებს, ან ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგო აზრის დაფიქსირება არ სურს. დიდი პრინციპულობით არ გამოირჩევა აჭარის ახალი მთავრობის პოზიციაც, რომლის მეთაური არჩილ ხაბაძე აცხადებს: **„განიხილება ორი შესაძლო მიმართულება: ახლის აშენება და არსებული მეჩეთის გაფართოება. ჩვენ ვთავაზობთ მეორე ვარიანტს, რაც საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვისაც მისაღებია“.**

ერთადერთი ძალა, ვინც ჯერ ერთი, მოვლენების განვითარების საქმის კურსშია და მეორეც, ამ მოვლენებისადმი ინდიფერენტული არ აღმოჩნდა, ახალდაარსებული საქართველოს პატრიოტთა ალიანსია. რამდენიმე დღეა, პარტიის ლიდერი დავით თარხან-მოურავი პერმანენტულად ეხმაურება მეჩეთის აშენებას და საკითხს ასე სვამს — რატომ არ უნდა ამოვიღოთ ხმა, თუკი იმის მცირედი შანსი მაინც არსებობს, რომ კიდევ ერთი მეჩეთი ბათუმში, რელიგიურზე მეტად, პოლიტიკური ზეწოლისა და ქვეყნის ფარული ოკუპაციის თემაა: **„იმის მიუხედავად, რომ გვეუბნებიან, თითქოს, ახალი მეჩეთის მშენებლობას არავითარი კავშირი არ აქვს თურქეთთან, მათი საგარეო საქმეთა მინისტრი მაინც ქართველი მუსლიმების უფლებებზე გველაპარაკება. ჩვენ მათზე ისედაც ვზრუნავთ და არაა საჭირო არავის მითითებანი სხვა ქვეყნებიდან! უკაცრავად, პარალელურად, თურქეთში მცხოვრები ქართველების უფლებებზე რატომ არ საუბრობენ?! ითქვა ისიც, რომ თურქეთი დიდ დახმარებას გაუწევს მესხ თურქებს საქართველოში ჩამოსვლასა და ძველ სამოსახლოებში დამკვიდრებაში.**

**მოდი, თავი დავანებოთ პოლიტიკურ შეფუთვებს — ახალი მეჩეთის მშენებლობას თურქული მხარე ითხოვს, ბიძინა ივანიშვილი კი ფულის დადებას აპირებს! ყველაფერი სრულიად ნათელია — თურქეთი და არა ქართველი მაჰმადიანები ითხოვენ ამ მეჩეთის აშენებას და საქმე არა მხოლოდ ერთ მეჩეთშია, არამედ საუბარია იმაზეც, რომ ამ მეჩეთთან აშენდეს სასულიერო სემინარია, საგანმანათლებლო ცენტრი და მოკლედ, შეიქმნას უზარმაზარი კომპლექსი. ამ კომპლექსის მთელი ხელმძღვანელობა სწორედ თურქეთის მოქალაქეები და თურქეთიდან დანიშნული ხალხი იქნება, ამაში ეჭვი ხომ არავის ეპარება?!**

**ტყუილია, თითქოს ქართველი მაჰმადიანები ვერ ეტევიან მეჩეთში — ჩვენ ეს ვიდეომასალითაც შეგვიძლია დავადასტუროთ. ქართველი მაჰმადიანები იმ მეჩეთში სწორედაც რომ ეტევიან! უბრალოდ, ეს მოვლენათა ჯაჭვი საქართველოს მთლიანობის დარღვევისკენაა მიმართული — ეს ჩვენი ქვეყნის დაპყრობის ფარული სურვილია! ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ქალბატონი მაია ფანჯიკიძე ნაკლებადაა გათვითცნობიერებული ამ საკითხებში. ისიც სრულიად ნათელია, რომ გვყავს ხალხი, ვისაც სურს, თურქეთს გაუწვეს, მის ყველანაირ კარნახს აყვეს და მას დაემონოს! ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ აქ ჩვენი არჩევანია მთავარი და ჩვენ ვწყვეტთ ამ საკითხს — აშენდეს ახალი მეჩეთი თუ გაფართოვდეს ძველი. პრემიერ-მინისტრმაც ბრწყინვალედ იცის, რომ გაფართოების ვარიანტი არსებობს, თუმცაღა, ახლის აშენებაზე საუბრობს. პატრიარქის პოზიციაც სწორედ მეჩეთის გაფართოებაა და ამის შესახებ ივანიშვილიც ესაუბრა საქართველოს პატრიარქს.**

**ზუსტად ვიცი, ამ მეჩეთის აშენება არ არის მაჰმადიანი ქართველების 95%-ის სურვილი, რადგან ეს პროექტი არანაირ კავშირში არაა რელიგიასთან, თორემ 200 მეჩეთი ისე აშენდა, ხმაც არ ამოგვიღია! დღეს სხვა ვითარებაა — მიმდინარეობს მიზანმიმართული ბრძოლა საქართველოს დაშლა-დანაწილებისთვის. დაშლილი საქართველო კი საქართველო აღარ იქნება — ეს იქნება რუსეთის, თურქეთის, სომხეთისა და, შესაძლოა, აზერბაიჯანის ინტერესები, რომელთა შორის, არც ერთი ქვეყანა ისე ახლოს არაა ევროპასთან, როგორც საქართველო!**

**ჩვენმა ხალხმა პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს და აქტიურად ჩაერთოს ამ დისკუსიაში, მკაფიოდ გამოთქვას საკუთარი აზრი და გააკეთოს არჩევანი — უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებას, შეწყდეს ეს კარნახი თურქეთისგან, რადგან მეგობრობა, ძმობა და სტრატეგიული პარტნიორობა ბათუმში მეჩეთის აშენებას არ ნიშნავს!“**

მაშინ, როცა თურქეთი ოშკისა და იშხნის რესტავრაციას ვაჭრობის საგნად განიხილავს, თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების სურვილებითა და ინტერესებით კი ქართული მხარე ფასადურადაც აღარ ინტერესდება, ლოგიკური კითხვა ჩნდება — რის სანაცვლოდ უნდა გავატაროთ თურქეთის ხელისუფლების ინტერესები ბათუმში და რას იღებს შედეგად საქართველო. ან რა არის ე.წ. თურქეთიზაციის შემდეგი ეტაპი — აჭარის ავტონომიაში თურქულის ოფიციალურ ენად გამოცხადება?! რამდენად გადაჭარბებულია ფიქრი ამ საფრთხეებზე, ეს განსჯის საგანია, რასაც სამწუხაროდ, არც ჩვენი მთავრობა და არც ოპოზიცია არ ხდის განსჯის საგნად. ამ საფრთხეებზე კი ისევ დავით თარხან-მოურავი საუბრობს:

*დასასრული მე-6 გვერდზე*



## შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე უკრაინის დელეგაციას შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილე ლევან იზორია უკრაინის, ნიკოლაევის ოლქის დელეგაციას შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ: დელეგაციის ხელმძღვანელი ნიკოლაევის ოლქის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე იგორ დიატლოვი, ქალაქების – ნიკოლაევისა და პერვამაისკის ხელმძღვანელი პირები, აგრეთვე ნიკოლაევის ოლქში მოღვაწე ბიზნესმენები (მათ შორის, საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მსხვილი იმპორტიორები) და უკრაინული მედიის წარმომადგენლები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა დელეგაციის წევრებს სამინისტროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნეს.

შეხვედრაზე ნიკოლაევის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე იგორ დიატლოვმა აღნიშნა, რომ საქართველოში ეს მათი პირველი, გაცნობითი სახის ვიზიტი იყო. მან შინაგან საქმეთა მინისტრსა და მინისტრის მოადგილეს მაღალი დონის შეხვედრისათვის მადლობა გადაუხადა, იმედი გამოთქვა, რომ სამომავლოდ, ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდება. მან სურვილი გამოთქვა, ქართველმა სამართალდამცველებმა დანაშაულთან ბრძოლის საკუთარი გამოცდილება უკრაინელ კოლეგებს გაუზიარონ და უკრაინაშიც გატარდეს მსგავსი რეფორმები, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გატარდა და დღემდე მიმდინარეობს. სამინისტროში ვიზიტის დასასრულს, დელეგაცია თბილისის პოლიციის ერთ-ერთი რაიონულ განყოფილებას ესტუმრა.

*„ვერსიანიუსი“*



## გიგა ბოკერია: „ნაციონალურმა მოძრაობამ ფუნდამენტური შეცდომა დაუშვა“

უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას განცხადებით, ნაციონალურმა მოძრაობამ მმართველობის 9-წლიანი პერიოდის განმავლობაში ფუნდამენტური შეცდომა დაუშვა". როგორც ბოკერიამ ჟურნალ „ტაბულასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ყოფილი ხელისუფლების მიერ დაშვებული უმთავრესი შეცდომა პოლიტიკური დებატების ნაკლებობა და დისკუსიის შემცირება იყო, რაც, საბოლოო ჯამში, პოლიტიკური გუნდის დასუსტების მიზეზი გახდა.

**„ჩვენი მთავარი კონკურენტი იყო ადამიანი, რომლის სიმდიდრე თავისთავად იყო გზავნილი. ამას დაემატა მკაფიო გზავნილი საარჩევნო კამპანიის დროს, რომ მისი მშობლიური სოფლის მსგავსი იქნება საქართველოც: რადგან ეს კაცი პერსონალურად მდიდარია, ის შეძლებს, მოგვცეს კეთილდღეობა და ფული. ოპოზიციის უკიდურესი სისუსტის ფონზე, ამ ცხრა წლის განმავლობაში და განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში ჩვენი მხრიდან იყო მოდუნება, დისკუსიის შემცირება და გაქრობა როგორც შიგნით, ისე გარეთ. ეს ასუსტებს ნებისმიერ პოლიტიკურ გუნდს, ასე მოხდა ჩვენ შემთხვევაშიც. შედეგად, ეს იძლევა კიდევ უფრო მეტ მოდუნებასა და სისტემის შიგნით კონტროლისა და ბალანსის მორღვევას. ამის ერთ-ერთი გამოვლინება, ყველაზე დამანგრეველი და საშინელი, იყო ციხის სკანდალი. პრობლემა იყო არა ის, რომ ცალკეული სადისტების ჯგუფი ამ საშინელ დანაშაულს სჩადიოდა, არამედ ის, რომ სისტემამ ეს შესაძლებელი გახადა. თავად სისტემის შიგნით არ აღმოჩნდა ამაზე ადრეული რეაგირების მექანიზმი. ეს იყო დისკუსიისა და მწვავე დებატების ნაკლებობის გამოვლინება. ესაა ფუნდამენტური შეცდომა, რომელიც დაუშვა ნაციონალურმა მოძრაობამ“,** — განაცხადა გიგა ბოკერიამ.

*„ფრონტ ნიუს“*

# SOS – „მეჩეთი ნიღაბია, ღმერთსა და ლოცვაზე საუბრისმიღმა საქართველოს ფარული დაპყრობის მცდელობა დგას!“



*მე-5 გვერდიდან*

> **„საქართველოს 30% თურქეთს აქვს ოკუპირებული, ეს ისტორიული ფაქტია. აბა, ჩვენმა მთავრობამ თურქეთს მოსთხოვოს, იმ ქართველებს ავტონომია შეუქმენი, ან ქართული სკოლები გახსენი და ლაზური და ქართული ენა ასწავლეო. ამას გააკეთებენ? არა! გაათურქეს ხალხი 95 წლის წინ და 95 წელიწადია, კვლავ მიდის გათურქების პროცესი. ჩვენი მოქალაქეები იქ თურქული გვარ-სახელით ცხოვრობენ, უკეთეს შემთხვევაში, 100 წლისწინანდელ ქართულ ენაზე საუბრობენ და თავიანთი ნამდვილი სახელი უბრალოდ ახსოვთ, თორემ არც ერთ დოკუმენტში არ უწერიათ! ამიტომაც არასდროს, არც ერთი ქართული ძეგლის აღდგენაზე არ ყოფილა საუბარი თურქეთის მხრიდან — ეს თვალში ნაცრის შეყრა და დიპლომატიური ხრიკებია! უდიდესი საშიშროების წინაშეა ახლა ჩვენი ქვეყანა.**

**ჩავიდა თუ არა თურქეთში პრემიერი, უთხრეს, მეჩეთი გვინდაო, მერე უთხრეს, თურქი მესხები უნდა ჩამოვასახლოთო და ახლა ამ ყველაფერს ღიად გვიყვება თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. მერე იბადება ვერსია, თითქოს თურქეთი დაგვეხმარება ნატო-ში გაწევრიანებაში. სასაცილოა, რადგან არაფერშიც არ დაგვეხმარება! ნატო-ს ლოკომოტივი ქვეყნები, საფრანგეთი და გერმანია მკაფიოდ ამბობენ, რომ ჩვენი ნატო-ში შესვლის საკითხი 2020 წლამდე არც კი დაისმება და აქ არავითარი კომპრომისი არ იქნება. ალბათ, ეს თეორია სააკაშვილმა „დაბადა“, რომ ნელ-ნელა, თურქეთის დახმარებით, ნატო-ში შევალთ, რომ თურქეთის ბაზები, რომელიც, შესაძლოა, ჩვენს ტერიტორიაზე განთავსდეს, იგივე ნატო-ს ბაზებია და ესეც აბსოლუტური აბსურდია. ჩათვალეთ,**

> **ერთი თურქი ჯარისკაციც რომ გადმოვიდეს ჩვენს ტერიტორიაზე, რუსეთი მთელ საქართველოს აიღებს. ამ დროს, ჩვენ მსგავსი განცხადებებითაც კი ცეცხლს ვეთამაშებით! ბოლოს, ჯერ აჭარას დავკარგავთ, მერე ახალქალაქს, მერე მარნეულს და აი, ეს იქნება ჩვენივე პასიურობის შედეგი“.**

მივიწყებულია ის მტკივნეული თემებიც, რაზეც მთელი წინასაარჩევნო პერიოდის მანძილზე, თუნდაც მურმან დუმბაძე აპელირებდა — თურქეთის მიერ წლების მანძილზე წარმოებული მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკა აჭარაში: **„წლებია, თურქეთი საკუთარ მოქალაქეებს გრძელვადიან სესხებს აძლევს, ხშირად, დოტაციის სახით, პირდაპირ ჩუქნის ფულს, რათა ისინი ჩამოვიდნენ, დასახლდნენ აჭარაში, აქ ფეხი მოიკიდონ და შექმნან ბიზნესი. ბათუმში თურქებს ისეთი ხარჯები აქვთ, რისი თავიც ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს! მთელი მცდელობა იქითკენაა მიმართული, რომ თურქებს რაც შეიძლება მეტი ბიზნესწერტილი ჰქონდეთ აჭარაში და იქ ქართველები მუშა- მოსამსახურეებად ამუშაონ. ასე, ნელ-ნელა ეუფლებიან მთელ აჭარას! მოდი, ღიად ვთქვათ — თურქებმა აჭარა სექსუალური ტურიზმის ზონად გადააქციეს! უამრავ ბორდელს განახებთ, რომელიც ვითომ რესტორანია, იქ კი ქართველებს არ უშვებენ, რადგან, სამწუხაროდ, ქართველი ქალები ჰყავთ დასაქმებული. ასეთი ამბავი რატომ უნდა ხდებოდეს საქართველოში, ჩვენზე მეტი ღირსება აქვთ, ჩვენზე უკეთესები არიან თუ რა?! 27 000 თურქი დასახლდა ბათუმში — გაიარეთ ძველი მეჩეთის ირგვლივ, თავი სტამბოლში გეგონებათ! თურქეთის მინისტრის განცხადების შემდეგ ხომ ნამდვილად დამტკიცდა, რომ თურქეთია ამ ყველაფრის ინიციატორი და არა მუსლიმი მრევლი?**

**საპატრიარქოსა და ბათუმის სამღვდელო პირების დამოკიდებულებაც ნათელი და უბრალოა — ისინი წინააღმდეგნი არიან ახალი მეჩეთის მშენებლობისა, რამეთუ ყველას ესმის, რომ ეს რელიგიური საკითხი კი არა, ნიღაბია: ვითომ, ღმერთსა და ლოცვაზეა საუბარი, ნიღაბსმიღმა კი საქართველოს ფარული დაპყრობის მცდელობა დგას, ამიტომ პატრიარქი მზადაა გონივრული კომპრომისისთვის — გაფართოვდეს ძველი მეჩეთი!“**

> **ჯერჯერობით, პატრიოტთა ალიანსი ერთადერთია იმ პოლიტიკურ ძალთაგან, ვინც ამ თემებზე საუბრობს. მეტიც, მათი ინიციატივით, მიმდინარეობს ბათუმის მოსახლეობის გამოკითხვა იმის გასარკვევად, ხალხს ახალი მეჩეთის აშენება სურს თუ არსებულის გაფართოება. როგორც დავით თარხან-მოურავი აცხადებს, თუკი გამოკითხულთა ორ მესამედზე მეტი ახალი მეჩეთის აშენების წინააღმდეგი იქნება და ხალხის აზრს ახალი ხელისუფლება არ გაითვალისწინებს, მაშინ ბათუმში საპროტესტო აქციები დაიწყება!**

**ვ ე რ ს ი ა ნ ი უ ს ი**

## საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა თვითმმართველობის ერთეულის იერსახის დამახინჯებისათვის ერთი პირი დააკავა




თბილისის მთავარი სამმართველოს ისნის მიმართულების მე-2 ოცეულის საპატრულო ეკიპაჟის წევრებმა ბოჭორმის ქუჩაზე 1993 წელს დაბადებული ზურაბ ღ. თვითმმართველობის ერთეულის იერსახის დამახინჯებისთვის დააკავეს.

სამართალდამცველებმა ზურაბ ღ. იმ დროს დააკავეს, როცა ის მშენებარე ობიექტის გარშემო შემოვლებულ ღობეზე პულვერიზატორით წარწერებს აკეთებდა. მომხდარზე დაწყებულია ადმინისტრაციული საქმის წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც 50 ლარის ოდენობით ჯარიმას ითვალისწინებს. დაკავებული გათავისუფლებულია ხელწერილით.

შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა სახის ნახატებისა და სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ბანერების, ლოზუნგების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, კანონდარღვევად ითვლება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველას მოუწოდებს, იმოქმედოს კანონის ფარგლებში.

*„ვერსიანიუსი“*

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

# თემურ ჭკუასელი: „არ შეიძლება ქვეყანაში შურისძიების სპექტაკლი დადგა, მომავალზე უნდა ვიფიქროთ!“



## ჩოხატაურში, მაჟორიტარის ძალისხმევით, 14 სკოლა აღდგება, 1 სკოლა და კულტურის სახლი აშენდება, გაიხსნება თაფლის, ხილისა და რძის გადამამუშავებელი ქარხნები

**ნახევარი წელი საკმაო დროა იმისთვის, ადამიანებმა დაინახონ, გულწრფელად ცდილობს თუ არა მაჟორიტარი „საგმირო საქმეების“ გაკეთებას მათთვის, ვინც დეპუტატის მანდატი ანდო. „ვერსია“ დაინტერესდა, ასრულებენ თუ არა პარლამენტარები დაპირებებს, რომლებსაც წინასაარჩევნოდ ასე გულუხვად გასცემდნენ. „გულუხვობითა“ და იდეებით გამოირჩეოდა თემურ ჭკუასელი. გაპოლიტიკოსებული ხელოვანი თავად გვიამბობს, გამარჯვების შემდეგ, რამდენად ხშირად ჩადის ჩოხატაურში, რა სიხშირით ხვდება ადგილობრივებს და მისი ძალისხმევით, რა პროექტები განხორციელდება რაიონში.**

— იმაზე იშვიათად მიწევს გურიაში ჩასვლა, ვიდრე მსურს. მინდა, ჩოხატაურში დიდხანს დავრჩე, ბევრ ადამიანს შევხვდე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვახერხებ. არასასესიო კვირაში, ერთი სამინისტროდან მეორეში დავდივარ, რომ ჩემი რაიონისთვის რაც შეიძლება მეტი საქმის გაკეთება შევძლო. ჩოხატაურის მოსახლეობასთან შეხვედრებისას მივხვდი, მათ ხშირად სჭირდებათ იურიდიული კონსულტაცია. გადავწყვიტე, თუ კანონმდებლობა მომცემს საშუალებას, დავიქირაო პროფესიონალი იურისტი, რომელიც კვირაში ერთხელ ან ორჯერ, რაიონის მოსახლეობას უფასო კონსულტაციას გაუწევს.

**— ეს კარგია, მაგრამ ახალი ხელისუფლებისგან ადამიანები გაცილებით მეტს ელიან — სამართლიანობის აღდგენას, დამნაშავე ნაციონალების დასჯას...**

— დიახ, ასეა. გამოგიტყდებით, ადამიანებს არ მოსწონთ ის ტემპი, რომლითაც ახლა ვითარდება ქვეყანა. ხალხს უნდა, ყველაფერი, რასაც არჩევნებამდე დავპირდით, უკვე შესრულებული იყოს. ზოგჯერ კი მეტსაც ითხოვენ — მაგალითად, არასოდეს გვითქვამს, მოვალთ თუ არა ხელისუფლებაში, ყველას გავათავისუფლებთ, ვინც ნაციონალების დროს მუშაობდაო. პირიქით, ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, საშუალო ფენას, პროფესიონალებს, ვისზედაც რეალურად დგას ქვეყანა, შევინარჩუნებთო. ასეც მოხდა. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ჩოხატაურია. სამართლიანობის აღდგენად ადამიანებს ისიც მიაჩნიათ, რომ ვინც დასასჯელია, სასწრაფოდ დაისაჯოს. არადა, სამართლიანობა ნაწილობრივ, უკვე აღსრულდა — ქვეყანაში აღარ არის ძალადობა, შიში, უსამართლოდ აღარავინ აღარავის ერჩის... ყველა ადამიანი თავისუფალია...

**— საპირისპიროს არ ამტკიცებს ნაციონალების გაუთავებელი დაკითხვები და ის, რომ, როგორც თავად ამბობენ, მათზე მუდმივად ხორციელდება ზეწოლა?**

— არა. გარწმუნებთ, ზეწოლის არავითარი სურვილი არ არსებობს. თვალსაჩინოა, რომ ქვეყანაში მოხდა ადამიანის, პიროვნების თავისუფლების აღზევება, რაც უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯია. ამას ხედავენ უცხოელი ექსპერტებიც და, მიუხედავად ფრთხილი დამოკიდებულებისა, მათი შეფასებებიც იცვლება სასიკეთოდ.

**ვეთანხმები ჩემს თანამემამულეებს, ჩემს გურულებს, რომ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, მაგრამ ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს — არ შეიძლება, ქვეყანაში დადგა შურისძიების სპექტაკლი. მომავალზე უნდა ვიფიქროთ. უნდა დაისაჯონ იდეოლოგები. ისინი, ვის გონებაშიც მომწიფდა ყველაფერი, რაც საქართველოში ბოლო წლებში ხდებოდა. მათ არა მარტო პასუხი უნდა აგონ, უნდა გააცნობიერონ კიდეც, რა დააშავეს. მასობრივი შურისძიება კი, დაუშვებელია. ასეთი მიდგომა თუ არ ავირჩიეთ, შეიძლება ყველანი აღმოვჩნდეთ რაღაცაში დამნაშავე, რადგან ადამიანების უმრავლესობა, ნებით თუ უნებლიედ, იძულებით თუ გაუცნობიერებლად, ჩაბმული იყო ნაციონალების თამაშში.**

ზოგს განზე გადგომის საშუალებაც არ ჰქონდა — ოჯახი ჰყავდა სარჩენი. ამაზე უნდა დავფიქრდეთ და შევთანხმდეთ, რომ ზოგი პროფესიონალი, ვინც ახლაც მუშაობს სხვადასხვა თანამდებობაზე, ადგილზე უნდა დარჩეს. მით უმეტეს, ზოგი მათგანი, პრაქტიკულად, შეუცვლელიც კია.

**— მაგრამ ისინი ხომ იმ სისტემის ნაწილია, რომელიც ნაციონალებმა შექმნეს?**

— არა. ეს სისტემა დამთავრებულია. ერთადერთი ნაბიჯი დარჩა — სასამართლოს გათავისუფლება. გარწმუნებთ, დღევანდელ ხელისუფლებას არავითარი სურვილი არ აქვს, სასამართლო დაიმორჩილოს. სულ მალე, სასამართლო ჭეშმარიტად დამოუკიდებელი იქნება და ეს ბევრ რამეს ქვეყანაში სასიკეთოდ შეცვლის.

**— თქვენ მოახერხეთ, ამ 6 თვეში რამე სასიკეთოდ შეგეცვალათ ჩოხატაურელების ცხოვრებაში?**

— შეიძლება, ჯერ არ ჩანს, მაგრამ, მერწმუნეთ, ბევრი რამ, ჩემი ძალისხმევით, ჩემი რაიონისთვის სასიკეთოდ გადაწყდა. მაგალითად, ჩოხატაურში ერთი ახალი სკოლა აშენდება. 15-ს კი რეაბილიტაცია ჩაუტარდება. ამ მიზნით, დაახლოებით, 750 ათასი ლარია გამოყოფილი. ეს განათლების სამინისტროს დამსახურებაცაა. სხვათა შორის, რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, მანანა ჯინჭარაძემ, რომელიც არჩევნებზე ჩოხატაურში ჩემი კონკურენტი იყო ნაციონალებიდან, ასეთი რამ მითხრა — კიდევ კარგი, თქვენ გაიმარჯვეთ, რაიონისთვის ამდენი რამ, ბოლო 8 წლის განმავლობაში, არ გაკეთებულაო. ჩემი და ქალბატონი მანანას ურთიერთობა, კოჰაბიტაციის საუკეთესო მაგალითადაც შეგიძლიათ ჩათვალოთ. გადაწყვეტილია და მინდა, მივულოცო ჩემ გურულებს, რომ მალე აღდგება ცნობილი გორაბერეჟოულის ტექნიკუმი. ამ, მართლაც, დიდი ტრადიციის სასწავლებელს საფუძველი ნიკო მარის მამამ, იაკობ მარიმ ჩაუყარა. გახსოვთ, არც ისე დიდი ხნის წინ, სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად ტრაქტორები რომ ჩამოიყვანეს საქართველოში? ხვნა-თესვის გასაჩაღებლად 800 ტრაქტორისტი იყო საჭირო და მათი გადამზადება გახდა აუცილებელი. აღნიშნულ ტექნიკუმში, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, ტრაქტორისტობასაც ეუფლებოდნენ და იქვე, 31 ჰა საცდელ ნაკვეთზე, პრაქტიკასაც გადიოდნენ. მისი გაუქმება ნათელს ხდის, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა წინა ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის დარგის მიმართ. პრემიერთანაც მქონდა ამ სასწავლებლის შესახებ საუბარი და მან პირდაპირ მითხრა, აუცილებელია მისი აღდგენაო. მოლაპარაკებები ვაწარმოე ინფრასტრუქტურის სამინისტროსთანაც. გადაწყდა — დაბაში მთლიანად განახლდება და გაუმჯობესდება გზები.

**— არჩევნებამდე ამბობდით, რომ გსურდათ, სოფლებში მისასვლელი შიდაგზების რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე, ეს არ ხერხდება?**

— ბევრი შიდაგზა ვერ გაკეთდება, რადგან მოხრეშვას აზრი არ აქვს — მალე გურიისთვის დამახასიათებელი გადაულებელი წვიმა დაიწყება და გადარეცხავს გზას. იქ ასფალტის გაკეთებაა საჭირო, რაც წელს, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება. რამდენიმე სოფლის გზას მაინც ვაკეთებთ. დაახლოებით, 3 მილიონი ლარია გამოყოფილი წყლის სისტემის აღდგენისთვის — დაბასაც და სოფლებსაც სასმელი წყლის პრობლემა მოეხსნება. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ მალე, ვიწყებთ ჩოხატაურის კულტურის სახლის მშენებლობას. რამდენჯერმე დავესწარი ადგილობრივი მოსახლეობის ღონისძიებებს. აღფრთოვანებული ვარ, ისეთი ნიჭიერი ხალხია. წარმოუდგენელია, ამ ადამიანებს არ ჰქონდეთ კულტურის სახლი, სადაც იქნება სარეპეტიციო დარბაზები, ბიბლიოთეკა, ჭრა-კერვის, ქსოვისა თუ სხვადასხვა წრეები, პატარა კაფე, შეიძლება რიტუალების სასახლეც... ჩემი მოთხოვნაა, ამ სახლის, გზების, სკოლების მშენებლობისა თუ სხვა პროექტების განხორციელებისას, აუცილებლად დასაქმდნენ ადგილობრივები, რაც მათ სოციალურ მდგომარეობასაც გააუმჯობესებს.

**— მაგრამ მხოლოდ დროებით. ადგილობრივებს, ალბათ, ის უფრო აინტერესებთ, როგორ დასრულდა მოლაპარაკებები უცხოელებთან ჩოხატაურში ხილის, რძის... გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობის თაობაზე?**

— მოლაპარაკებები გრძელდება. საინტერესო და მდიდარი რეგიონია გურია. შევისწავლე, დღეს ყველაზე მეტად რაზეა მოთხოვნა მსოფლიოში. როგორც ირკვევა, ერთ-ერთი მოთხოვნადი პროდუქტია ალპური ზონის თაფლი. ამისთვის კი, ეს რეგიონი საუკეთესოა.

**უკვე ველაპარაკე მეფუტკრეებს და ვაპირებთ, თაფლის მინიქარხანა გავხსნათ. გავარკვიე ისიც, რომ სეზონზე, რაიონში, შეიძლება 150 ტონა ველური მოცვი მოვიდეს. მოცვზე უცხოეთში დიდი მოთხოვნაა — მისგან კონცენტრატებს ამზადებენ. უკვე ვესაუბრე ადამიანს, რომელსაც უნდა, კონცენტრატების ქარხანა გააკეთოს. საზოგადოებისთვის უკვე ცნობილი 60 საწარმოდან, ერთ-ერთი ჩოხატაურში აშენდება. ახალი ველოსიპედის გამოგონებას არ ვაპირებთ, რადგან ყველაზე უხვად ჩოხატაურში მოდის ხილი, გავაკეთებთ ხილის გადამამუშავებელ ქარხანას. ვფიქრობ, წყლის ქარხანაზეც. „ნაბეღლავს“ კი ასხამენ, მაგრამ სურების მხარეს კიდევ არის საოცარი წყლები. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში, დაახლოებით, 40 წელიწადში, წყლის კრიზისი დაიწყება, შეგვიძლია, უკვე წამოვიწყოთ ძალიან მომგებიანი საქმე. ამოქმედდება რძის გადამამუშავებელი ქარხანაც. მასში, დაახლოებით, 35 ადგილობრივი დასაქმდება. რძესაც, ცხადია, ადგილობრივებისგან შეიძენენ, რაც ჩოხატაურელებისთვის დამატებითი შემოსავალი იქნება. არის საუბარი ჩაის ფაბრიკის ამუშავებაზეც.**

შენობა ქართველმა ბიზნესმენმა უკვე შეიძინა და მის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას აპირებს, თუმცა არის პრობლემა — წინა ხელისუფლებამ ჩაის გავერანებული პლანტაციები, მიწის სახით, გლეხებს გადასცა. ეს ადგილები დღეს გვიმრითა და ტურებითაა სავსე. ბიზნესმენს უნდა, გლეხებისგან დაიბრუნოს ეს პლანტაციები. კარგი იქნება, თუ ადგილობრივები ამ მიწებს გადასცემენ მას ასაღორძინებლად. მერე კი მოსავალს ჩაიბარებენ ან რაიმე სხვა სახის სარგებელს მიიღებენ. ეს ინდივიდუალური მოლაპარაკებით გადაწყდება.

**— სტიქიამ ჩოხატაურიც დააზარალა. დათვლილია, რა რაოდენობის ზარალი მიადგა რაიონს?**

— ქარბორბალამ რაიონს, დაახლოებით, 56 ათასი ლარის ზარალი მიაყენა. ხელისუფლების ნებაა — ყველა დაზარალებულ ოჯახს დავეხმაროთ, თუმცა გული მწყდება, ბევრი ისეთი ზარალიც ვნახე, რომ არ ანაზღაურდება. ერთი შეხედვით, არც ჩანს, მაგრამ კონკრეტული ოჯახისთვის დიდი ტრაგედიაა. მაგალითად, ერთი მეფუტკრის ფუტკრების 25 ოჯახიდან, 21 თავის სკებიანად, მთლიანად მოხვეტა და წაიღო ქარმა. იმ ადამიანს სახლიც დაუზიანდა, რასაც გავუკეთებთ, მაგრამ იმ აწყობილ მეფუტკრეობას რას უზამს? ვცდილობ, მას სკებისთვის საჭირო ფიცრებით მაინც დავეხმარო. ასეთი გაჭირვებული ბევრი მხვდება და როცა ვერ ვეხმარები, გული მიკვდება. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ადამიანის ჯანმრთელობას ეხება. ამასწინ მითხრეს, პატარა ბავშვს ლეიკემია აქვს და 150 ათასი სჭირდებაო. უსუსურობისგან კინაღამ ვიტირე. დავით სერგეენკოც ბევრ ადამიანს დაეხმარა ჩემ რაიონში, მაგრამ ყველას ვერ გაწვდები. სწორედ ამიტომ მინდა და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩოხატაურში ძლიერი, წელშიგამართული ოჯახები იყოს.

**პოლიტიკაში დიდხანს დარჩენას არ ვაპირებ. პრემიერთან ერთად მოვედი და წავალ კიდეც, მაგრამ მინდა, რაიონში ისეთი სახელი დავტოვო, წლების მერეც ამბობდნენ, ნეტავ ჩვენი მაჟორიტარი ისევ თემურ ჭკუასელი იყოსო. ამისთვის კი ყველაფერს გავაკეთებ!**

# რატომ ქმნის სავაჭრო-სამრეწველო პალატა რეგიონულ საარბიტრაჟო სასამართლოს და რა ტიპის ბიზნეს-დავებს განიხილავენ არჩეული არბიტრები?

**ლაშა ჩხენკელი:** „ბიზნესში არსებული პრობლემატიკა ბიზნესმა უნდა განიხილოს, არ შეიძლება და დაუშვებელია, ქვეყანაში გაგრძელდეს ტენდენცია, როდესაც ბიზნეს-დავებს რომელიმე დაწესებულებაში ან შენობაში წყვეტდნენ“



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ახალი სტრატეგიის მიხედვით, რეგიონული მნიშვნელობის საარბიტრაჟო სასამართლო უნდა დაფუძნდეს. 29 მარტს, საარბიტრაჟო ინსტიტუციის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, პირველმა სამუშაო ჯგუფმა პირველი შეხვედრა გამართა. ჯგუფი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან შეიქმნა, რომელშიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა“ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წარმომადგენლები შედიან. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, ლაშა ჩხენკელმა „ვერსიასთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ დაახლოებით, 40 დღეში შემუშავდება პლატფორმა, რომელსაც სამუშაო ჯგუფი იუსტიციის სამინისტროს შესთავაზებს.**

— ქვეყანაში დაგროვილი პრობლემატიკიდან გამომდინარე, როგორც ბიზნეს-სექტორი, ასევე მოსახლეობა ელოდება, ქვეყანაში სასამართლო არბიტრაჟის ინსტიტუტი ჩამოყალიბდეს. ასეთი მოლოდინის მიზეზი ისაა, რომ საქართველოს ბიზნეს-რეალობაში, ერთხელ და სამუდამოდ, აღდგეს სამართლიანობა. გარდა ამისა, არბიტრაჟს ბევრად მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, რადგან ეს ინსტიტუცია ინვესტორების მოზიდვის საშუალებაა. თუ ქვეყანაში საარბიტრაჟო სასამართლო მოქმედებს, ინვესტორებს სამართლიანობის განცდა აქვთ, რადგან არბიტრაჟი მათი ინვესტიციების დაცულობის გარანტიაა. საქართველოს პოლიტიკური და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, სასამართლო არბიტრაჟი რეგიონულ ფუნქციას უნდა ასრულებდეს. ქვეყნის ახალმა მთავრობამ ოფიციალურად უკვე განაცხადა, რომ ბიზნესი დამოუკიდებელი იქნება, სადაც არც ერთი ხელისუფალი აღარ ჩაერევა. მეტიც, ბიზნესს თვითრეგულირების ისეთი ინსტრუმენტები უნდა ჰქონდეს, რაც ძლიერ და ერთიან ორგანიზმად ჩამოაყალიბებს. სავაჭრო-სამრეწველო პალატა მუშაობს, რათა ქვეყანაში ამ მექანიზმების მქონე ძლიერი ბიზნესის სახლი შექმნას.

**— ლაშა, რეგიონული მნიშვნელობა ახსენეთ და, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სომეხ, აზერბაიჯანელ ან თუნდაც, ჩდილოკავკასიელ ბიზნესმენს პრობლემა შეექმნება, ამას თბილისის არბიტრაჟი განიხილავს?**

— ზუსტად ამაზეა საუბარი. საქართველოს ისეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს რეგიონში, რომ შესაძლოა, არა მარტო რეგიონული არბიტრაჟი, არამედ ბიზნეს-რეგულირების ნებისმიერი მექანიზმი შეიქმნას, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ამ რეგიონში მედიატორის ფუნქციას შეასრულებს. სხვათა შორის, ჩემს ბიზნეს-პარტნიორებს პირადად ვესაუბრე როგორც სომხეთში, ასევე აზერბაიჯანში და ზუსტად ვიცი, დაინტერესებულები არიან, რათა საქართველოში ამ ტიპის პროექტი განხორციელდეს. როდესაც საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლო შეიქმნება, ისინი საკუთარ კონტრაქტებში აუცილებლად გაითვალისწინებენ, რომ დავის შემთხვევაში, სწორედ საქართველოს რეგიონულ არბიტრაჟს მიმართონ.

**— რა პრობლემა დაუგროვდა ბიზნესს და კონკრეტულად, რა ტიპის დავები უნდა განიხილოს საარბიტრაჟო სასამართლომ?**

— ჩვენ არ ვართ უფლებამოსილი ორგანო, რომ დავადგინოთ ან განვსაჯოთ, რა ტიპის პრობლემატიკა დაგროვდა ბიზნესში, მაგრამ შეგვიძლია იმ ოფიციალური ინფორმაციით ვიხელმძღვანელოთ, რაც უკვე გამოქვეყნდა. დღეისთვის, ათიათასობით განცხადებაა შესული პროკურატურაში, რაც ბიზნეს-დავას ეხება. ბიზნეს-საზოგადოებისა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები ვამბობთ, რომ ეს დავები არც პროკურატურისა და არც რომელიმე, სხვა უწყების განხილვის საგანი არ არის! ბიზნესში არსებული პრობლემატიკა ბიზნესმა უნდა განიხილოს, არ შეიძლება და დაუშვებელია, ქვეყანაში გაგრძელდეს ტენდენცია, როდესაც ბიზნეს-დავებს რომელიმე დაწესებულებაში ან შენობაში წყვეტდნენ. ბიზნესს უნდა გააჩნდეს ისეთი ინსტრუმენტი, რომელსაც თვითრეგულირების საშუალება ექნება, სამართლიანობა ბიზნეს-წრეში უნდა აღდგეს და არა რომელიმე სამინისტროში! ჩვენ უნდა ვიყოთ ის ქმედითი ორგანო, რომელიც ისეთ სტრუქტურას შექმნის, სადაც ბიზნესში არსებული დავები გადაწყდება.

**— ამ ტიპის დავებს რიგითი მოსამართლეები ვერ გადაწყვეტენ, იურისტის კვალიფიკაციის გარდა, ამას ეკონომიკური განათლებაც სჭირდება. არის თუ არა საქართველოში საკმარისი ადამიანური რესურსი, სადაც სასამართლო არბიტრაჟის კადრებს შეარჩევთ?**

— იურიდიული განათლება არ მაქვს, მაგრამ საერთაშორისო ბიზნეს-კონტრაქტის გაფორმებისას, ჩემი იურისტები მირჩევდნენ, დავის შემთხვევაში, პარიზის ან ლონდონის არბიტრაჟით მესარგებლა. ზუსტად ისეთი სასამართლო არბიტრაჟი უნდა შევქმნათ, რომელიც ლონდონისა და პარიზის არბიტრაჟს არაფრით ჩამოუვარდება. რაც შეეხება კითხვას, საბედნიეროდ, ადამიანური რესურსი არსებობს, მაგრამ ჩემი აზრით, არბიტრი არჩევითი უნდა იყოს. საქართველოს ბიზნეს-საზოგადოებამ თვითონ უნდა შეარჩიოს არბიტრები, რომლებიც მაღალი ნდობით სარგებლობენ და წესიერებით, პატიოსნებით გამოირჩევიან. ვფიქრობ, არბიტრებს ბიზნესში მოღვაწეობის მინიმუმ 20-წლიანი პრაქტიკა მაინც უნდა ჰქონდეთ, რათა დავები სამართლიანად გადაჭრან. გარდა ამისა, სასამართლო არბიტრაჟის მოსამართლე-არბიტრები გარკვეული ვადით უნდა აირჩიონ, მაგრამ ამ დეტალებზე სამუშაო ჯგუფი შეჯერდება. რეგიონული კუთხით კი აუცილებლად მოვიწვევთ საერთაშორისო არბიტრებს, რომლებიც ჩვენი მეზობელი ქვეყნების ბიზნეს-პრობლემებს განიხილავენ.

# ქვეყნის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი დონორი ორგანიზაციების დახმარებით შემუშავდება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შესამუშავებლად, საჯარო შეხვედრებს განაგრძობს. საჯარო განხილვების მიზანია, ამ დოკუმენტის განხილვის პროცესში, სამოქალაქო სექტორისა და ექსპერტების ჩართვა. 2 აპრილს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ქვეყნის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის პრეზენტაციას დაესწრო, რომელიც დონორი, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებისთვის გაიმართა. შეხვედრაზე დონორებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენელთა რეკომენდაციებსა და წინადადებებზე იმსჯელეს.**



ქვეყნის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის შემუშავება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს დაავალა. ამ მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც რამდენიმე შეხვედრა უკვე გამართა. სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართული პრეზენტაციის შემდეგ, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა აღნიშნა, რომ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების საბოლოო დოკუმენტი, კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო და საქართველოს მთავრობის პროგრამებს დაეყრდნობა. მისი თქმით, ამ დოკუმენტში ის პრიორიტეტები და ფინანსური რესურსები განისაზღვრება, რასაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დასახული მიზნების მისაღწევად გამოიყენებენ:

**„მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა, სადაც დონორი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებს, ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით, ჩვენი ხედვები გავაცანით. იმედი გვაქვს, მათთან კოორდინაციით, მნიშვნელოვანი დოკუმენტი შემუშავდება. ჩვენმა პარტნიორებმა სრული მზადყოფნა გამოთქვეს, რათა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაში, მხარი დაუჭირონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობას. ჩვენს პარტნიორებს ვთხოვეთ, სათანადო მასალების მოძიებასა და მსოფლიო გამოცდილების გაზიარებაში დაგვეხმარონ, რათა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი ადეკვატური იყოს. შევთანხმდით, რომ მსგავსი შეხვედრები დონორებსა და საფინანსო ინსტიტუტებთან მომავალშიც, კვარტალში ერთხელ გაიმართება, პარალელურად კი, სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით, განხილვები გაგრძელდება“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, ევროკავშირის საქართველოში წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსმა, რამონ რეიგადა გრანდამ განაცხადა, რომ ამ შეხვედრაზე პრიორიტეტები არ დასახელებულა:

**„დღევანდელ შეხვედრაზე გახმაურდა, რომ ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავდება. ჯერ პრიორიტეტები არ დაუსახელებიათ, რადგან დოკუმენტზე მუშაობა ახლა იწყება და, შესაბამისად, რეკომენდაციები კონკრეტულ პრიორიტეტებზე განსაზღვრული არ ყოფილა. ჩვენ მხოლოდ აღვუთქვით მთავრობას, რომ მხარს დავუჭერთ ამ ტიპის დოკუმენტის შემუშავებაში და დავპირდით, რომ ჩვენი ორგანიზაციის ძალისხმევა ქვეყნის ხელისუფლების გააქტიურებულ პოზიციას მოხმარდება“.**

აზიის განვითარების ბანკის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში, ქეითი მ. ჯულიანმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შედგენაში, ყველა ინფორმაციული თუ ინტელექტუალური რესურსით დაეხმარება, რომელიც ქვეყანაში არსებობს:

**„ბოლო 20 წელია, „აზიის განვითარების ბანკი“ პროექტებს ახორციელებს და, შესაბამისად, ინფორმაციაც დაგროვდა. ამ რესურსის გამოყენება დაეხმარება მთავრობას, აქტიური, ქმედითი დოკუმენტი იქონიოს. ამ პროცესში არა მარტო განვითარებაზე ორიენტირებული დონორთა საზოგადოება უნდა ჩაერთოს, არამედ — პროფესორ-მასწავლებლები, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებიც. მათი ძალისხმევით, საქართველოში ნამდვილად შედგება საფუძვლიანი დოკუმენტი, რასაც ქვეყნის მომავალი განვითარება დაეფუძნება“.**

„ვერსიის“ კითხვაზე, კონკრეტულად თუა განსაზღვრული პრიორიტეტები, რაშიც აზიის განვითარების ბანკი დაეხმარება საქართველოს მთავრობას, ქეითი მ. ჯულიანმა უპასუხა:

**„მგონი, მთავრობა ჭკვიანურად მოიქცა, რადგან ამ კონკრეტულ შეხვედრაზე, არ გაახმოვანა პრიორიტეტები. ეს იმის საწინდარია, რომ დოკუმენტი, რომელიც შემუშავდება, ქმედითი იქნება. პრიორიტეტებს მომავალში გაახმოვანებენ, მაგრამ ამ ეტაპზე, მინდა ვთქვა, რომ მხარს დავუჭერთ ნებისმიერ მიმართულებას, რასაც მთავრობა უახლოეს მომავალში გააჟღერებს. ბოლო 5 წელია, აქცენტს ისეთ სფეროებზე ვაკეთებთ, როგორებიცაა გზები, ზოგადად, კავშირ-ურთიერთობები აღმოსავლეთ და დასავლეთ გზატკეცილზე, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს უკვე აკავშირებს. გარდა ამისა, ვახორციელებთ ინვესტიციებს წყალმომარაგებაში, სანიტარიაში, ქალაქის ტიპის დასახლებების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რათა მოსახლეობამ ამ პროექტების განხორციელებისას შვება იგრძნოს“.**

# „საქართველოს ბანკისა“ და „ვისოლის“ კიდევ ერთი წარმატებული თანამშრომლობა შედგა




**ამიერიდან, „ვისოლი“ American Express ბარათების მომხმარებლებსაც მოემსახურება!**

საქართველოს მასშტაბით, „ვისოლის“ ნებისმიერ ბენზინგასამართ სადგურში, შეგიძლიათ, საწვავი „საქართველოს ბანკის“ American Express ბარათით შეიძინოთ და ქულებიც დააგროვოთ. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი „ამექსის“ მფლობელი ხართ — „გოლდის“, „ბლუს“, „რევარდსისა“ თუ ბიზნესბარათების, რადგან მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, „ვისოლის“ ავტოგასამართზე ყველა ტიპის American Express-ით გადაიხდით.

ამ სასიამოვნო სიახლის შესახებ, საქართველოს ორი მსხვილი კომპანიის — „ვისოლისა“ და „საქართველოს ბანკის“ ხელმძღვანელებმა, აღმაშენებლის ხეივანში, „ვისოლის“ ბენზინგასამართზე, ჟურნალისტებს თავად აუწყეს.

გარდა იმისა, რომ „ამექსით“ „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურზე შეძლებთ უმაღლესი ხარისხის პროდუქტებისა და მომსახურების მიღებას, ბარათზე ქულებსაც განსაკუთრებული წესით დააგროვებთ: მომხმარებელი, რომელიც 1 მაისამდე American Express-ის ბარათით გადაიხდის „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე, მიიღებს ორ MR ქულას 1,5-ის ნაცვლად და 1,5% Cashback-ს 1%-ის ნაცვლად.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის, **ირაკლი გილაურის** თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ისაა, რომ ამ სიახლის შედეგად, კომფორტს მომხმარებელი მიიღებს: **„მოგეხსენებათ, „საქართველოს ბანკი“ საქართველოში ექსკლუზიურად ახდენს American Express ბარათების გამოშვებას და სავაჭრო ობიექტების American Epress-ის გადახდების ქსელში ჩართვას. „ამექსი“ ძალიან წარმატებული პროდუქტია — ამ ბარათის 100 ათასზე მეტი აქტიური მომხმარებელი გვყავს. ამ ფონზე, მოსალოდნელიცაა, რომ დაინტერესებულები ვართ, „ამერიკან ექსპრესის“ ბარათებით გადახდის ქსელის უფრო და უფრო გაფართოებით. სწორედ ამის მაგალითია ის, რომ ამიერიდან, ჩვენი მომხმარებელი შეძლებს „ამერიკან ექსპრეს“ ბარათების გამოყენებას „ვისოლში“, საქართველოში ავტოგასამართი სადგურების ძალიან დიდ ქსელში. „საქართველოს ბანკი“ ასევე ზრუნავს მომხმარებლებისთვის ექსკლუზიური პირობების შეთავაზებაზე და ყველას, ვინც ამ ერთი თვის განმავლობაში „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე „ამერიკან ექსპრესის“ ნებისმიერი ბარათით გადაიხდის, ბანკი საჩუქრად გადასცემს უფრო მეტ MR ქულასა და მეტ Cashback-ს. ვფიქრობ, ჩვენი თანამშრომლობა წარმატებული იქნება“.**

„საქართველოს ბანკთან“ პარტნიორობას წარმატებას უწინასწარმეტყველებს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი **ვასილ ხორავაც**: **„რთულია, ციფრებით წინასწარ ზუსტად განსაზღვრო, ესა თუ ის გადაწყვეტილება, რა სარგებელს მოუტანს კომპანიას, მაგრამ იმედია, ეს თანამშრომლობა, ორივე მხარისთვის ძალიან წარმატებული იქნება. „ვისოლი“ მუდმივად ცდილობს, სრული კომფორტი შეუქმნას მომხმარებელს და ყველაზე ფართო არჩევანი შესთავაზოს როგორც საწვავი პროდუქტების, ისე მომსახურების ტექნოლოგიების კუთხით. „ვისოლი“ პირველი იყო საქართველოში, რომელმაც კორპორაციული ჩიპური ბარათი დანერგა ბაზარზე. საკმაოდ დიდი ინტერესით ვაკვირდებოდით „ამექსის“ განვითარების ტენდენციებსა და იმას, რამდენად შეძლო ამ ბარათმა მომხმარებლის ნდობის მოპოვება. აღმოჩნდა, რომ „ამექსი“ საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერი ბარათია. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება, ნავთობსექტორში ლიდერი კომპანია დაკავშირებული ყოფილიყო ასევე წარმატებულ და ლიდერ ბრენდთან. მოხარულები ვართ, რომ ამიერიდან, American Express-ის ყველა ტიპის ბარათის მფლობელ მომხმარებელსაც მოვემსახურებით“.**

პარტნიორი ბრენდების წარმომადგენლებზე არანაკლებ მოხარულები რიგითი მოქალაქეები იყვნენ. ისინი, ვინც „ვისოლის“ ბენზინგასამართზე საწვავის ჩასასხმელად სწორედ იმ დროს მივიდა, კომპანია ჟურნალისტებს რომ მასპინძლობდა. „ვერსია“ რამდენიმე მათგანსაც გაესაუბრა. მათ შორის არაერთი „ამექსის“ მფლობელი აღმოჩნდა, რომლებმაც გულახდილად გვითხრეს, ყოველთვის გვინდოდა, საწვავი პროდუქტები „ვისოლში“ ამ ბარათით მიგველო და ჩვენი ნატვრა ასრულდა, „ამექსის“ მფლობელი მძღოლებისთვის, ეს ძალიან სასიამოვნო სიახლეაო. „საქართველოს ბანკისა“ და „ვისოლის“ ამ თანამშრომლობით, ყველაზე დიდ სარგებელს მიიღებენ მომხმარებლები, რომელთა ინტერესებზეც, საქართველოს ორი ლიდერი კომპანია მუდმივად ზრუნავს.

## ვერსიანიუსი





**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად იალღუჯას საწვრთნელ ბაზაზე საჩვენებელ ვარჯიშს დაესწრო.**





# საქართველოს მთავრობამ თამბაქოს კონტროლის 5-წლიანი სახელმწიფო პროგრამა დაამტკიცა!

## რა რეგულაციები ამოქმედდება და რატომ გაიზრდება ფასი თამბაქოს ნაწარმზე?

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში მამაკაცების 55% მწეველია, ხოლო ქალების 33% თამბაქოს მოიხმარს, მათგან 11 000 ადამიანი ყოველწლიურად თამბაქოს მიერ გამოწვეული სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანით კვდება. 3000 პასიურ მწეველს კი სხვადასხვა გართულება აქვს. ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, შეიქმნა თამბაქოს კონტროლის სამთავრობო კომისია, რომლის მიერ შემუშავებული თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა ხელისუფლებამ უკვე დაამტკიცა. 3 კვირაში 5-წლიანი სტრატეგიული გეგმა ამუშავდება, სადაც პირველი წლის სამოქმედო პროგრამა უკვე დეტალურადაა გაწერილი.**



გეგმის თანახმად, კანონმდებლობაში რეგულაციები და ცვლილებები შედის. მისი ძირითადი პრინციპებია: თამბაქოს კონტროლის სამთავრობო კომისიის ფუნქციონირება; თამბაქოს ინდუსტრიის ჯანდაცვითი გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და დანერგვის პროცესში ნორმატიული აქტის მიღება; თამბაქოს ყველა სახის ნაწარმზე პერიოდულად სააქციზო გადასახადის მომატება და ამ მხრივ, საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების მომზადება. თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანა.

5-წლიანი სტრატეგიული გეგმა 12 მთავარ ღონისძიებას მოიცავს. კერძოდ: 1 თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების კოორდინაცია და მართვა; 2) თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნის შემცირების ღონისძიებები; 3) თამბაქოს კვამლის მავნე ზემოქმედებისგან დაცვა; 4) თამბაქოს ნაწარმის შემცველობის რეგულირება და ნაწარმის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება; 5) თამბაქოს ნაწარმის შეფუთვა და მარკირება კანონის შესაბამისად; 6) განათლება, კომუნიკაცია, ტრენინგი და საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება; 7) აკრძალვა თამბაქოს რეკლამირებაზე, პოპულარიზაციასა და სპონსორობაზე; 8) თამბაქოს დამოკიდებულებისა და მოხმარების შეწყვეტასთან დაკავშირებით, თამბაქოზე მოთხოვნის შემცირების ღონისძიებები; 9) თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობა; 10) თამბაქოს ნაწარმის არასრულწლოვნებისთვის შეძენა ან მათთვის თამბაქოს ნაწარმის მიყიდვა; 11) თამბაქოს ინდუსტრიის პასუხისმგებლობა; 12) კვლევები და შეფასება.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი **ამირან გამყრელიძე** ვარაუდობს, რომ: **„ამ გეგმის ამუშავება შედეგს გამოიღებს და ქვეყანაში მწეველთა რიცხვი თანდათან შემცირდება. მწეველთა რიცხვის შემცირების საერთაშორისო აპრობირებული ხერხი სხვადასხვა ამკრძალავი ღონისძიებები და საჯარიმო სანქციებია. ძნელად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს თამბაქოს ნაწარმი, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისა და მოწაფეებისთვის. ასევე კანონში შევა ცვლილება და თამბაქოს ნაწარმზე როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი რეკლამირება, საერთოდ აიკრძალება, აიკრძალება გარე რეკლამირებაც. სამოქმედო გეგმაში გაწერილია იმ ადამიანების ინტერესებიც, ვინც სერიოზულად დამოკიდებულია თამბაქოზე, კერძოდ, მათთვის თამბაქოს დანებების ხელშეწყობის სპეციალური პროგრამები შეიქმნება. დღემდეც იყო დაწესებული შეზღუდვები, მაგრამ ამან იმიტომ არ იმუშავა, რომ არ იყო კარგად გაწერილი არც ადმინისტრირების მექანიზმი და არც პოლიტიკური ნება არსებობდა“.**

თამბაქოს ყველანაირი რეკლამირება, მათ შორის, ინტერნეტ-სივრცეშიც რომ აიკრძალება, ამას თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელი **გიორგი ბახტურიძეც** ადასტურებს და აცხადებს: **„არამხოლოდ მედიასაშუალებებში, არამედ ინტერნეტ-სივრცეშიც არ უნდა იყოს არანაირი სახის რეკლამა და პოპულარიზაცია თამბაქოს მოხმარებისა. რაც შეეხება მის მაღალ ფასს, ეს იქნება ერთ-ერთი დამაფიქრებელი და შემაფერხებელი მექანიზმი, რომ ადამიანმა თამბაქოს მოხმარებაზე უარი თქვას“.**

რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც უკვე წლებია თამბაქოზე დამოკიდებულია, ახალ სტრატეგიაში მათზე ზრუნვის მექანიზმიც დევს. ამასთან დაკავშირებით გიორგი ბახტურიძე განმარტავს: **„სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა უნდა გაიზარდოს. დღეს არ არსებობს პროფესიული კლინიკა ან კლინიკაში პროფესიულად გადამზადებული კადრი, რომელიც თამბაქოს მომხმარებელს პროფესიულ რჩევას მისცემს და თამბაქოს გადაგდების მოტივაციას შეუქმნის. ამისთვის იგეგმება ოჯახის ექიმების გადამზადება“.**

თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის 5-წლიანი სტრატეგია, ყოველწლიურად ახალი, გამკაცრებული რეგულაციების შემოღებას გულისხმობს. მაგალითად, თუ 2013 წელს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარებაზე კონტროლის გამკაცრება და გარკვეული შეზღუდვები დაწესდება, 2014 წელს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სრული აკრძალვა იმოქმედებს, ხოლო მესამე წელს, ღია სივრცეშიც კი აიკრძალება თამბაქოს მოხმარება. ასევე იგეგმება პერმანენტულად ფასების ზრდა და სერვისების განვითარება.

ჯანდაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო** აცხადებს, რომ: **„არსებობს საერთაშორისო კონვენციები, სადაც გაწერილია ის ძირითადი სტრატეგიები და რეკომენდაციები, როგორ უნდა მოხდეს ქვეყანაში თამბაქოს კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მიერთებულია ამ კონვენციაზე. ყველა მისი მოთხოვნის შესრულება და გაკონტროლება არ ხდება. სტრატეგიის ერთ-ერთი ნაწილი კონტროლის გაძლიერებაა“.** მინისტრი ასევე ადასტურებს, რომ თამბაქოს ნაწარმის გაძვირება მოსალოდნელია.

**„ეს იქნება სტრატეგიულად გაწერილი, ფინანსისტებსა და ეკონომისტებთან შეთანხმებული გადაწყვეტილება თამბაქოს ინდუსტრიისთვის. ფასის მატება იმ კონვენციის მოთხოვნაა, რაზეც საქართველოს ხელი აქვს მოწერილი. ძირითადი მიმართულებები იქნება თამბაქოთი გამოწვეული ზიანის შემცირება. ასევე, ძალიან გამკაცრდება კანონი ბავშვებზე თამბაქოს მიყიდვის შემთხვევაში, სანქციები დაწესდება სიგარეტის ღერებით გაყიდვაზე, რადგანაც უფრო ხელმიუწვდომელი გავხადოთ მოზარდებისთვის თამბაქოს მოხმარება. სანქციები ძალაში ბოლო სამი კვირის განმავლობაში შევა“,** — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.



## სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა საპარტნიორო ფონდის რეიტინგი BB-დაადასტურა

სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა საპარტნიორო ფონდის რეიტინგი BB-დაადასტურა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საპარტნიორო ფონდიდან აცნობეს, საპარტნიორო ფონდის რეიტინგი სახელმწიფოს რეიტინგთან გათანაბრებულია, რაც საქართველოში მოქმედი უმეტესობა კომპანიებისთვის მაქსიმალური რეიტინგია.

**„სარეიტინგო სააგენტო აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი იყო, წინა წელთან შედარებით, საპარტნიორო ფონდის აქტივების ზრდა. სააგენტო ასევე ამახვილებს ყურადღებას, რომ ფონდის მანდატი არის კაპიტალის ინვესტირება ეკონომიკურად მომგებიან პროექტებში და გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში კერძო კაპიტალის ბაზარი განუვითარებელია, ფონდი ამ ფუნქციით ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. Fitch-ის ანალიტიკოსების შეფასებით, საპარტნიორო ფონდის საკრედიტო რეიტინგისთვის დადებითი ფაქტორი იყო სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრების შეყვანა“,** — აღნიშნულია საპარტნიორო ფონდის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ასევე სარეიტინგო სააგენტო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო რეიტინგის ზრდის შემთხვევაში, ფონდს თითქმის ავტომატურად აუმაღლდება რეიტინგი.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის, ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, მაქსიმალური რეიტინგი მნიშვნელოვანია საპარტნიორო ფონდისთვის, რადგან ეს ადასტურებს ფონდის მუშაობის სწორ მიმართულებასა და მის სანდოობას პარტნიორებისთვის.

***„ინტერპრესნიუსი“***

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**არტერიული ჰიპერტენზია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა და, სიკვდილიანობის თვალსაზრისით, პირველ ადგილზე დგას. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველი 5-დან ორ ზრდასრულ ადამიანს სისხლის მაღალი წნევა აღენიშნება. ჰიპერტენზიით მსოფლიოში ყოველწლიურად 1,5 მილიარდი ადამიანი ავადდება, აქედან 7 მილიონი კვდება. ქართული რეალობა კიდე უფრო მძიმეა. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, საქართველოში ჰიპერტენზიის მაჩვენებელი, ბოლო 12 წლის განმავლობაში, გასამმაგდა. ყოველი 10 გარდაცვლილიდან, 5 ჰიპერტენზიით იღუპება. საქართველო იმ 5 ქვეყანათა შორის იმყოფება, რომელთა მოსახლეობაშიც არტერიული ჰიპერტენზიის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება.**

# საქართველოს მოსახლეობას არტერიული ჰიპერტენზია უტევს



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე მოსახლეობას ურჩევს, აკონტროლოს წნევა: **„ვისაც მაღალი წნევა დაუფიქსირდება, მიმართეთ ოჯახის ექიმს. მასთან ვიზიტი საქართველოში უკვე ყველასთვის უფასოა. ასევე უნდა მომზადდეს ჰიპერტენზიის სახელმწიფო პროგრამა. ადამიანმა უნდა აკონტროლოს წნევა, რათა თავიდან აიცილოს ინფარქტი, ინსულტი, თირკმლისა თუ პერიფერიული სისხლძარღვოვანი დაავადებები და მხედველობის პრობლემები. კვლევებით დადგენილია, რომ საქართველოს მოსახლეობის 30%-მა საერთოდ არ იცის თავის წნევის შესახებ. არადა, ჰიპერტენზია სიკვდილიანობის პირველი მიზეზია როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. დღეს მედიცინა იმ დონზეა, რომ არსებობს მთელი რიგი ალგორითმები, თუ როგორ შეიძლება არამედიკამენტოზურად და მედიკამენტოზურად დაიცვას ადამიანმა თავი ჰიპერტენზიისგან. სამწუხაროდ, საქართველოში ამ კუთხით არსახარბიელო მდგომარეობაა. მიზეზი კი ის არის, რომ ჯანსაღი წესით არ ვცხოვრობთ, ზედმეტი წონა გვაქვს, არ ვაკონტროლებთ წნევას“.**

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი ლელა სტურუა დაბეჯითებით ამბობს, რომ: **„სიკვდილიანობის 71% გამოწვეულია გულსისხლძარღვთა დაავადებებით. არტერიული ჰიპერტენზია ყველაზე ფართოდ გავრცელებული რისკ-ფაქტორია ამ დაავადებებისა. აუცილებელია ვიცოდეთ, რამდენი გვაქვს წნევა და დავიცვათ ექიმის რეკომენდაცია. ყველამ უნდა დაივიწყოს ცნება 170-100-ზე ჩემი წნევაა. ასეთი მითი არ არსებობს. ეს უკვე მაღალი წნევაა. არსებობს ადამიანის წნევის ციფრების კლასიფიკაცია და ყველას წნევის ციფრები იმაში უნდა ჯდებოდეს“.**

საქართველოს ჰიპერტონიის საზოგადოების პრეზიდენტი, მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ბეჟან წინამძღვრიშვილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ არტერიული ჰიპერტენზიის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ნიკოტინის მოხმარებაა: **„ბოლო კვლევებმა დაადასტურა, რომ ნიკოტინი და მისი წვის პროდუქტები სისხლძარღვოვანი რეგულაციის დარღვევას იწვევს, რაც ჰიპერტენზიის განვითარების მიზეზი ხდება. ჰიპერტენზია ადრე მამაკაცებში უფრო გავრცელებული იყო, მაგრამ დღეს ქალებშიც მასობრივად გვხვდება. ამის მიზეზი ქალების გააქტიურება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფართოდ ჩართულობა, ნიკოტინისა და ალკოჰოლის მოხმარებაა. ასევე ძალიან გაახალგაზრდავდა არტერიული ჰიპერტენზია. ხშირია ე.წ. ჭაბუკური ასაკის ჰიპერტენზია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, ვინაიდან ეს მეორადი დაავადება და გარკვეული სისტემის რღვევის შედეგად ვითარდება. იგი თუ დროზე ვერ გამოვავლინეთ და ვმართეთ, გულსისხლძარღვთა სტრუქტურული და ფუნქციური დაავადებების საფუძველი გახდება და ადამიანის ნაადრევად დაინვალიდებას გამოიწვევს. სამწუხაროდ, საქართველო, ჰიპერტენზიის გავრცელების მხრივ, რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთ პირველ ადგილზეა“.**

# პუტინის მორიგი „საერთაშორისო ხულიგნობა“ შავ ზღვაზე

მერაბ ბერიძე

**რუსეთის 20-მდე საბრძოლო ხომალდი შავ ზღვაში მოულოდნელად დაწყებული საბრძოლო მომზადების ფარგლებში ჩატარებული წვრთნების შემდეგ, სევასტოპოლის მთავარ ბაზაზე დაბრუნდა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „სამხედროებმა საბრძოლო ამოცანებს პროფესიონალურად გაართვეს თავი“. პრაქტიკულ მოქმედებებში მონაწილეობდა, დაახლოებით, 7 ათასი რუსი სამხედრო მოსამსახურე, 250-მდე ჯავშანმანქანა, 20-მდე სამხედრო თვითმფრინავი და ვერტმფრენი და 30-მდე სხვადასხვა დანიშნულების საბრძოლო ხომალდი.**

პრეზიდენტმა პუტინმა შავ ზღვაში ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლების დაწყების განკარგულება დილის 04:00 საათზე, თვითმფრინავის ბორტიდან გასცა (როდესაც სამხრეთ აფრიკიდან შინ ბრუნდებოდა). მისი დავალებით, თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ საზღვაო ძალებში სამხედრო მზადყოფნა გამოაცხადა. მოგვიანებით, პუტინი, შოიგუსთან ერთად, წვრთნებს უშუალოდ დაესწრო.

საქართველოს საგარეო სამინისტრომ შავი ზღვის რეგიონში რუსული შეიარაღებული შენაერთების ფართომასშტაბიანი წვრთნების მოულოდნელად დაწყებასთან დაკავშირებით, შეშფოთება გამოთქვა. როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული წვრთნები უჩვეულოა, რადგან სცდება სამხედრო შენაერთების განლაგების ჩვეულ ადგილს, რომელიც შესაბამისობაშია „ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების შესახებ“ ვენის 2011 წლის დოკუმენტთან:



**„საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება შავი ზღვის რეგიონში რუსული შეიარაღებული შენაერთების ფართომასშტაბიანი წვრთნების მოულოდნელად დაწყებას. რუსეთის ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, რომ წვრთნებში მონაწილეობს, დაახლოებით, 7000 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის, საავიაციო და საზღვაო შენაერთებიდან, და ჩართულია 30-ზე მეტი სამხედრო ხომალდი. წვრთნები საქართველოს სახმელეთო და საზღვაო საზღვრების სიახლოვეს ტარდება. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ წვრთნების ჩატარების ხანგრძლივობისა და სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ზუსტი ადგილმდებარეობის თაობაზე. აღნიშნული წვრთნები არის უჩვეულო, დაუგეგმავი და სცდება სამხედრო შენაერთების განლაგების ჩვეულ ადგილს, რომელიც შესაბამისობაშია „ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების შესახებ“ ვენის 2011 წლის დოკუმენტთან. ამასთან, მასშტაბიდან გამომდინარე, წვრთნები ვერ მიიჩნევა მოსალოდნელ საფრთხეზე პროპორციულ რეაგირებად“.**

ამასთან, მაია ფანჯიკიძის უწყების შეფასებით, რუსეთის ქმედება ევროპის სამეზობლოში სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის დაცვის ინტერესებს ეწინააღმდეგება: **„საქართველო შეშფოთებულია რუსული სამხედრო შენაერთების მოულოდნელი და პროვოკაციული ქმედებებით ისევე, როგორც საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში — აფხაზეთში, საქართველო და ცხინვალის რეგიონში, საქართველო, რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების შეიარაღების და/ან პერსონალის გამოყენების პოტენციური საფრთხით. ცალმხრივად განხორციელებული სამხედრო ქმედებები საქართველოს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს იმ ფონზე, რომ რუსეთი კვლავაც უარს აცხადებს, უპასუხოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2010 წელს ცალმხრივად ნაკისრ ვალდებულებას ძალის არგამოყენების შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 7 მარტს, ერთსულოვნად მიღებული დეკლარაციით დაადასტურა“.**

საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, გააძლიეროს ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულება და გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები საქართველოსა და რუსეთს შორის ძალის არგამოყენების მტკიცე რეჟიმის ჩამოყალიბების მიზნით, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმებით იქნება გამყარებული.

თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას ინფორმაციით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი რუსეთის საოკუპაციო ჯარები შავი ზღვის აკვატორიაში მიმდინარე წვრთნებში ჩართულები არ არიან და არც საქართველოს საზღვაო აკვატორიაა დარღვეული. როგორც მინისტრმა განაცხადა, აღნიშნული წვრთნები საქართველოს დაკვირვებას გააათმაგებს, თუმცა საქართველო ამ წვრთნებიდან საფრთხეს პირდაპირ არ გრძნობს: **„თავისთავად, ის, რომ წვრთნები შეუთანხმებელი იყო მეზობელ ქვეყნებთან, საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკის დარღვევაა. ჩვენთვის ახალი არ არის, რუსეთი რომ არღვევს საერთაშორისო პრაქტიკასა და სამართლის ნორმებს. ეს წვრთნები ჩვენს დაკვირვებას გააათმაგებს, თუმცა საქართველო ამ წვრთნებიდან საფრთხეს პირდაპირ არ გრძნობს“.**

გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილეს, ვახტანგ კაპანაძეს არ ჰგონია, რომ „რუსეთის მიერ შავ ზღვაში დაგეგმილი წვრთნები საქართველოსთვის საფრთხის შემცველი იყოს“: **„მოგახსენებთ, რომ ჩვენი მონაცემებით, აღნიშნული წვრთნები რუსეთის შეიარაღებული ძალების გარკვეული დანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის მოულოდნელი შემოწმებაა. შესაბამისად, ეს უნდა განხორციელდეს შესაბამისი რიტმით – ალგორითმით, ანუ ღამე, მოულოდნელად და ა.შ. არ მგონია, რაიმე საფრთხეს შეიცავდეს და დაკავშირებული იყოს აქ მიმდინარე წვრთნებთან, თუმცა ჩვენ აღნიშნულთან დაკავშირებით, მონიტორინგსა და ინფორმაციის შეგროვებას ვახორციელებთ, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ქვეყანას საფრთხე არ ემუქრება“.**

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი რუსეთის მიერ შავ ზღვაში წვრთნების დაწყებას საქართველოში ქართულ-ამერიკული წვრთნების გამოცხადების საპასუხო ნაბიჯად და პრევენციულ მიდგომად აფასებს. სესიაშვილის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება განპირობებულია არა საქართველოსგან საფრთხის წარმოქმნის შიშით, არამედ დასავლეთზე ზემოქმედებისთვის და იმის სათქმელად, რომ საქართველოსთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შემთხვევაში, მათ ყოველთვის ექნებათ რეაქცია: **„ანალიზს თუ გავაკეთებთ, როგორც კი საქართველოში სამხედრო სფეროში რაიმე თანამშრომლობა შედგება, რუსეთი ყოველთვის შეშფოთებას გამოხატავს. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც, ესაა პოლიტიკური განაცხადი და პრევენციული მიდგომა, რათა ამით, გარკვეულწილად, დაფრთხნენ ის სახელმწიფოები, რომლებსაც საქართველოსთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობა სურთ. ვფიქრობ, რაც მოხდა, დაკავშირებულია სწორედ საქართველოში ქართულ-ამერიკულ წვრთნებთან. მიუხედავად იმისა, რომ ამას მხოლოდ უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზანი აქვს“.**

მისი შეფასებით, მიუხედავად მოსკოვის მხრიდან შავ ზღვაში წვრთნების გამოცხადების პრევენციული მიდგომისა, აღნიშნული ნაბიჯი მასთან ურთიერთობის დარეგულირებას შეუშლის ხელს. სესიაშვილი ფიქრობს, რომ რუსეთის მხრიდან „ასეთი მიდგომის“ დარეგულირება ნატო-რუსეთის კომისიის ფარგლებშია შესაძლებელი.

რადიო „ეხო მოსკვისთან“ საუბრისას, ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუ ასევე შეეხო შავი ზღვის რეგიონში რუსეთის სამხედრო წვრთნების საკითხს: **„კარგი იქნებოდა, მსგავსი წვრთნების საკითხში უფრო მეტი გამჭვირვალობა რომ იყოს. რუსეთს შეეძლო, ნატო-სთვის გაენდო დაგეგმილი წვრთნების შესახებ, ჩვენ არ გავთქვამდით თქვენს საიდუმლოს“.**

თავის მხრივ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი ვიქტორია ნულანდი აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის მიერ შავ ზღვაში მოულოდნელად დაწყებული სამხედრო წვრთნების გამო, შეშფოთებული არ არის. მისი თქმით, შავ ზღვაში მიმდინარე სამხედრო წვრთნები საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებს არ სცდება.

ჩვენთან საუბრისას, პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი პუტინის მიერ ჩატარებულ წვრთნებს „საერთაშორისო ხულიგნობად“ აფასებს: **„ამ წვრთნებთან დაკავშირებით, ყველაფერი მკაფიოა. შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მიერ ასეთი გაშმაგებით სწავლების მოწყობა, უპირველეს ყოვლისა, იმის მცდელობაა, მთელ დედამიწას კიდევ ერთხელ მოჰფინოს მითი საკუთარი სიდიადის შესახებ; უნარი, მძლავრი და დაუგეგმავი ვარჯიშის ჩატარებისა, მაგრამ ეს არ არის სახელმწიფოს მეთაურის ნაბიჯი. გარკვეულწილად, გახლავთ გაღიზიანებული რეაქცია ქართულ-ამერიკული წვრთნების მიმართ, რომელიც ამ დღეებში საქართველოში ტარდება.**

**ამასთან, როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ, სიმშვიდის მოვლენის მცდელობაა სოჭის ოლიმპიადის მონაწილეთათვის; რომ იქ რუსეთის შეიარაღებული ძალები იქნება კონცენტრირებული, რათა ვერანაირმა ტერორისტმა ვერ ჰპოვოს რაიმე ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება.**

**ნებისმიერ შემთხვევაში, სახეზეა საერთაშორისო წესების იგნორირება, რაც რეგიონების სახელმწიფოების წინასწარ გაფრთხილებას ითვალისწინებს. ეს ნიშნავს, რომ რუსეთს მოსწონს საკუთარი თავი და არ გადაუფიქრებია, ითავხედოს საერთაშორისო ურთიერთობათა სივრცეში, არა მხოლოდ პოლიტიკურში, არამედ სამხედრო სივრცეშიც.**

**ამასთან დაკავშირებით, ქართულმა მხარემ შეშფოთება გამოხატა, რაც ასეთ დროს ბუნებრივი რეაგირებაა; შეუმჩნევლად არ დაგვიტოვებია საერთაშორისო ხულიგნობის ეს ფაქტი. ამდენად, ქართული მხარე ჩადგა რიგში სახელმწიფოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც მიუღებელია ასეთი მასშტაბური საერთაშორისო წვრთნების ჩატარება იმ სივრცეში, რომელიც არ არის რუსეთის შიდა ტერიტორია“.**

„პატარა კაცსა დიდ კაცთან, როდის გასვლია მართალი“, — ამაზეა ნათქვამი. პუტინის მორიგ ხულიგნობას, ამჯერად შავ ზღვაზე, კიევსა და თბილისში ხაზგასმით უარყოფითი დამოკიდებულება მოჰყვა, თუმცა საგულისხმოა, რომ საქართველოსგან განსხვავებით, მოსკოვის ნაბიჯი უკრაინაში მხოლოდ ტიმოშენკოს ოპოზიციურმა „ბატკივშინამ“ გააპროტესტა. მდინარეს სათავე აბინძურებს; სანამ კრემლში პუტინის ბოგინი არ დასრულდება, როგორც ჩანს, მათ შორის კავკასიის რეგიონში, სიმშვიდე არ დაისადგურებს. მეორე მხრივ, ქვეყანა მზად უნდა იყოს ნებისმიერი, თუნდაც, მოულოდნელი გამოწვევისთვის.

## კახა კალაძე: „ფედერაციაში უნდა გამოფხიზლდნენ, ჩვენ არ გვყავს ბევრი ვარსკვლავი“



საქართველოს ვიცე-პრემიერმა და საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, კახა კალაძემ ლევან კობიაშვილის მიერ საქართველოს ნაკრების დატოვების თაობაზე კომენტარი გააკეთა. როგორც კალაძემ აღნიშნა, კობიაშვილის წასვლა დიდი დანაკლისი იქნება საქართველოს ნაკრებისთვის და ფეხბურთის ფედერაცია უნდა გამოფხიზლდეს. ამასთან, კალაძის თქმით, სამწუხაროა, როცა ასეთი ფეხბურთელის ამბავს გულშემატკივარი სოციალური ქსელის მეშვეობით იგებს:

**„ლევანის სახით კიდევ ერთი, დიდი დანაკლისი ეყოლება საქართველოს ნაკრებს. იყო წარმატებული, ღირსეული პიროვნება და, უბრალოდ სამწუხაროა, ასეთი წარმატებული ფეხბურთელების ნაკრებიდან წასვლას „ფეისბუქის“ საშუალებით რომ იგებს გულშემატკივარი. ვფიქრობ, ფედერაციაში უნდა გამოფხიზლდნენ, რადგან ჩვენ არ გვყავს ძალიან ბევრი ვარსკვლავი. ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობდნენ და ემსახურებოდნენ ქვეყანას, საქართველოს ნაკრებს და არაერთი სიხარული მოუტანიათ ქართველი გულშემატკივრისთვის, ასე არ უნდა ტოვებდნენ საქართველოს ნაკრებს“.**

ლევან კობიაშვილის მიერ საქართველოს ნაკრების დატოვების შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მისი მიმართვა სოციალური ქსელში გავრცელდა და გაზეთმა „ლელომ“ ეს მიმართვა გაავრცელა: **„ვწუხვარ, რომ ამ ფორმით მიწევს თქვენთვის მადლობის გადახდა. მადლობა იმ მხარდაჭერისა და გვერდში დგომისათვის, რომელსაც წლების განმავლობაში ვგრძნობდი თქვენგან. საქართველოს ნაკრების წევრობა ყოველთვის პრიორიტეტული და საამაყო იყო ჩემთვის. მიუხედავად მრავალი სირთულისა, თავი არასოდეს დამიზოგავს. გუნდისთვის ისევე, როგორც ჩემი ქვეყნისთვის ვაკეთებდი მაქსიმუმს. ყოველთვის დიდ ბედნიერებას მანიჭებდა ეროვნული გუნდის მაისურის ტარება. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისთან ერთადაც მომიწია თამაში საქართველოს ნაკრებში; ყველა იმ მწვრთნელს, ვისთანაც მიმუშავია. განსაკუთრებით, მსურს, გამოვყო რეზო ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე და დავით ყიფიანი. მათ დიდი როლი ითამაშეს ჩემს საფეხბურთო კარიერაში. სამწუხაროდ, ჩემი და ქართველი გულშემატკივრის ოცნება — გვეთამაშა ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატზე — ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, აუხდენელი დარჩა. წარმატებებს ვუსურვებ ეროვნულ ნაკრებს. მათ დღეიდან, ჩემი სახით, ერთით მეტი ჭეშმარიტი გულშემატკივარი შეემატა“,** — წერს კობიაშვილი.

მისი თქმით, ფეხბურთის ფედერაციაში საქმიანობენ ადამიანები, რომლებიც თავად იყვნენ ფეხბურთელები და სწორედ მათ, კარგად უნდა ესმოდეთ, რას ნიშნავს სპორტსმენისთვის ღირსეულად დამშვიდობება. **„ვწუხვარ, რომ მათი მხრიდან არ მოხდა შესაბამისი ქმედებები. იმედი მაქვს, მომავალში, ფეხბურთის ფედერაცია დაარღვევს ამ ცუდ ტრადიციას, გამოიჩენს მეტ პროფესიონალიზმს და ღირსეულად გააცილებს დამსახურებულ ფეხბურთელებს. მე მივდივარ, როგორც აქტიური ფეხბურთელი ნაკრებიდან, მაგრამ აუცილებლად დავბრუნდები ქართულ ფეხბურთში“,** — ნათქვამია ლევან კობიაშვილის მიმართვაში.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ირანის ატომურ პროგრამაზე მოლაპარაკებების პირველი შედეგები

მოლაპარაკებებმა ირანის ატომურ პროგრამაზე, რომელიც ნეიტრალურ ტერიტორიაზე, კერძოდ, ყაზახეთში ჩატარდა, პირველი შედეგები მოგვცა. ისტორიაში პირველად, ოფიციალურმა თეირანმა არ გააჭიანურა მოლაპარაკებათა შემდეგი რაუნდის დანიშვნის საკითხი. ამავე დროს, რაც ასევე მნიშვნელოვანია, პროცესის მონაწილეთა სწრაფად შეხვედრის ინიციატივა თვით ირანისგან წამოვიდა. ეს ნაბიჯი გადაიდგა მიუხედავად იმისა, რომ ივნისის თვეში, თეირანში, ელოდებიან საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელსაც, შესაძლოა, ამოეფარონ ახლო პერსპექტივაში რაიმე ხელშეკრულების დადების სურვილის უქონლობის შემთხვევაში. ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ ირანი ისწრაფვის სანქციების მოხსნისკენ და მზად არის, „ექვსეულის“ მოთხოვნების შესასრულებლად.

ის ფაქტი, რომ ირანს აქვს ურანი და მისი სათანადო გადამუშავების შესაძლებლობა, მოსვენებას არ აძლევს მსოფლიო საზოგადოებრიობას. ცოტა ხნის წინ, ამერიკელ მკვლევართა ჯგუფმა გამოაქვეყნა დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ 2014 წლის შუახანებში ირანს ექნება საკმარისი რაოდენობა გამდიდრებული ურანისა, ერთი ან მეტი ატომური ბომბის დასამზადებლად.

ცეცხლზე ნავთს ასხამს ასევე, ირანის განცხადება ურანის ახალი საბადოების აღმოჩენაზე, რაც სამჯერ ზრდის ურანის მარაგს ქვეყანაში. გარდა ამისა, თებერვალში, ირანმა განაცხადა ახალი თაობის ცენტრიფუგების დამონტაჟების შესახებ. მათი გამოყენებით შესაძლებელია, ურანის სამჯერ სწრაფად გამდიდრება, რაც საკმარისი იქნება ატომური ბომბების დასამზადებლად.

ახლა ირანმა სრულიად აღჭურვა ობიექტი „ფორდო“ ახალი ცენტრიფუგებით. მათი რაოდენობა 2,7 ათასს აღწევს. ჯერჯერობით ამოქმედებულია 700, თუმცა როდესაც ყველა ცენტრიფუგა ამუშავდება, ირანი მკვეთრად აამაღლებს ატომური ობიექტის წარმოების დონეს.

მძლავრი ატომური იარაღის შესაქმნელად საკმარისია ურანის გამდიდრება 93,5 პროცენტამდე. ექსპერტები თვლიან, რომ ახალი ცენტრიფუგებით ირანს შეუძლია მიიღოს 60 პროცენტით გამდიდრებული ურანი, რაც საკმარისი იქნება გემების ატომური რეაქტორისთვის, ხოლო შემდეგ ეტაპი იქნება კიდევ უფრო გამდიდრებული ურანი უკვე იარაღისთვის.

MAGATE-სა და მსოფლიო საზოგადოებრიობის პასუხად ირანის მხარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი ურანს, ცალსახად, მშვიდობიანი მიზნებით ამდიდრებს.

შეგახსენებთ, რომ მოლაპარაკებების წინა რაუნდები „ექვსეულის“ ანუ რუსეთის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის, საფრანგეთის (ხუთივე გაეროს უშიშროების საბჭოს წევრია) და გერმანიის მონაწილეობითი 2012 წელს შედგა სტამბულში, ბაღდადსა და მოსკოვში, მაგრამ არანაირი კარდინალური ცვლილება არ მომხდარა. ექსპერტები ორ ბანაკად არიან დაყოფილი: ერთნი თვლიან, რომ ყოველი რაუნდი სრულდება თეირანის მხრიდან მცირე დათმობებით, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ ირანი მხოლოდ დროს იგებს ურანის გასამდიდრებლად.

ისმის კითხვა, რატომ ჩატარდა მოლაპარაკებათა მეოთხე რაუნდი ალმა-ატაში, ანუ ყაზახეთში, რომელიც ამ პროცესის არც მონაწილეა და არც შუამავალი. ამ შეკითხვის პასუხად რამოდენიმე ვერსია არსებობს: საკმარისია მიუთითო იმაზე, რომ ეს ქვეყანა საკმაოდ მშვიდობიანი პოლიტიკის გამტარებელია, ემხრობა ყველა საკითხის მშვიდობიან გადაჭრას და ამით დაიმსახურა ირანის ნდობა, რომელიც ტერიტორიულად არც თუ ისე შორსაა ყაზახეთიდან.

მეორეც, ეს ქვეყანა პროპაგანდას უწევს ატომის მშვიდობიან გამოყენებას და ამ მიმართულებით მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში. ჯერ კიდევ ალმა-ატაში, 1991 წლის 29 აგვისტოს, ნურსულტან ნაზარბაევმა ხელი მოაწერა სემიპალატინსკის ატომური პოლიგონის დახურვის გადაწყვეტილებას. ამ ქვეყანამ უარი თქვა არა მარტო თავისი პოტენციალით მსოფლიოში მეოთხე ატომურ არსენალზე, არამედ აღიარებს ყველა ქვეყნის უფლებას ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებაზე, ცხადია, MAGATE-ს ყველა პრინციპისა და პირობის დაცვით.

გარდა ამისა, ყაზახეთი პრეტენზიას აცხადებს გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრობაზე. თანაც, აშშ-ში გამართულ სამიტზე, რომელიც ატომურ უსაფრთხოებას მიეძღვნა, ეს ქვეყანა გამოვიდა, ატომური საწვავის საერთაშორისო ბანკის (INFM) შექმნის ინიციატივით. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყაზახეთი კონფლიქტში არ იმყოფება არც ერთ ქვეყანასთან, მხარს უჭერს სამშვიდობო პოლიტიკას და მშვიდობისმოყვარულ სამხედრო დოქტრინას.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ყაზახეთმა დაგმო ჩრდილოეთ კორეა, როდესაც ამ უკანასკნელმა 2013 წლის თებერვალში მიწისქვეშა ატომური აფეთქება მოაწყო.

9 თვის წინ, ირანის მხარემ მოსკოვში გამოყო თანამშრომლობის 5 პუნქტი და „ექვსეულს“ ალმა-ატის მოლაპარაკებებისთვის უნდა განეხილა ეს წინადადებები. პრესკონფერენციის მიმდინარეობისას ირანის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა, საიდ ჯალილიმ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ექვსეულის ქვეყნები აღნიშნული წინადადებების დამუშავებას შეუდგნენ იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებიც ირანმა წინა 3 რაუნდზე გააჟღერა.

თავის მხრივ, „ექვსეულის“ ქვეყნებმა დააყენეს წინადადება ირანისთვის მოეხსნათ მთელი რიგი სანქციები ურანის გამდიდრების პროცესის 20 პროცენტით შემცირების სანაცვლოდ, „ფორდოს“ მიწისქვეშა ქარხანაში. ამ საკითხში „ექვსეულის“ ქვეყნები გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ, ვინაიდან ადრე ისინი მოცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების შეწყვეტას ითხოვდნენ. ოფიციალურმა თეირანმა თავის მხრივ დაასაბუთა 20 პროცენტით გამდიდრებული საწვავის აუცილებლობა სამედიცინო მიზნებით.

სანქციების შერბილება შეეხება ოქროთი და სხვა ძვირფასი მეტალებით ვაჭრობას. შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა დააწესეს ემბარგო ირანულ ნავთობზე, რაც ძალაში შევიდა 2012 წლის 1 ივლისიდან. მათ ეს ნაბიჯი იმით ახსნეს, რომ სურდათ თეირანის იძულება, რათა მას დაეთმო ატომური ამბიციები. ანალოგიური პაკეტი ირანის წინააღმდეგ უფრო ადრე ვაშინგტონმა აამოქმედა, შემოიღო რა წლის დასაწყისიდან სანქციები, მიმართული ნავთობის გაყიდვის შემცირებაზე.

ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ თუკი ზემოხსენებული სანქციები ირანის ეკონომიკას ჩიხში შეიყვანენ, ამ ქვეყანას შეუძლია საომარი მოქმედებები დაიწყოს ორმუზის სრუტეში, რომელიც სპარსეთი ყურის ქვეყნების უმთავრესი არტერიაა. მასზე მსოფლიო სანავთობო ტრაფიკის 40 პროცენტი გადის. ასეთ შემთხვევაში, ეს იქნება პირდაპირი დარტყმა დასავლეთ ევროპაზე.

არც თუ დიდი ხნის წინ, დასრულდა მოლაპარაკებები ალმა-ატაში, ამას მოჰყვა სტამბული და როგორც საიდ ჯალილმა განაცხადა, 2013 წლის 5-6 აპრილს მოლაპარაკება ისევ ალმა-ატაში გაიმართება. ამასთანავე, მოლაპარაკებების სწრაფად განახლების იდეა ირანისგან მოდიოდა. შეგახსენებთ, რომ ადრე შუალედები მოლაპარაკებებს შორის გაცილებით ხანგრძლივი იყო. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ირანი დაინტერესებულია სანქციების მოხსნით და მზად არის, დააკმაყოფილოს „ექვსეულის“ მოთხოვნა.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის შეფასებით, ყაზახეთში შეხვედრა „პროდუქტიული გამოდგა“. მან ჟურნალისტებთან შეხვედრაზე პარიზში განაცხადა, რომ თუკი ირანი სერიოზულ მოლაპარაკებაში ჩაერთვება, ამან შესაძლოა, თან მოიტანოს ატომურ პროგრამაზე მიმდინარე დავის გრძელვადიანი გადაჭრა.

შეიარაღებაზე კონტროლის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, დერილ კიმბალი გაოცებას ვერ მალავს ირანის მზაობის გამო განაგრძოს მოლაპარაკებები, მეტადრე, იმის გათვალისწინებით, რომ ირანში ივნისში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. „ამიტომაც ბევრი ჩვენგანი გაოცდა, როდესაც ისინი დათანხმდნენ მოლაპარაკებათა მორიგ რაუნდზე, ვინაიდან არსებობს საკმაოდ წონადი მიზეზები, უბრალოდ, უარი ეთქვათ რაიმე შეთანხმებაზე ახლო პერსპექტივაში“, — აღნიშნა მან.

Negotiations on the Iranian nuclear program held on a neutral territory of Kazakhstan gave the first results. For the first time in the history of this issue, Tehran did not delay with determination of the date for the next round of negotiations. It is important that the initiative of prompt meeting came from Iran. And this step is taken, despite the fact that in June, Tehran expects the presidential election, which could be a cover for a reluctance to enter into any agreements in the near future. All these facts prove that Iran is seeking the lifting of sanctions and is ready to meet requirements of the "six".

The presence of Iran's uranium and associated conditions for its development do not give rest to the international community. Recently, a group of American scientists published a report stating that by mid-2014 Iran will have enough enriched uranium to produce one or more nuclear bombs.

Fuel to the fire was also poured by Iran's statement promulgated on February this year about the discovery of new deposits of uranium, which triples the proven uranium reserves of the country. In addition, in mid-February, Iran announced the installation of new generation centrifuges. They are able to enrich uranium three times faster to a level suitable for the production of nuclear bombs.

At the moment, Iran has already fully equipped facility "Fordow" with new centrifuges. Their number is expected to reach 2.7 thousands. So far only 700 of them are in operation, however, when they all will work, Iran will dramatically increase the performance of a nuclear facility.

In order to create a powerful nuclear weapon it is necessary to enrich uranium up to 93.5 percent. Experts believe that with the use of advanced centrifuges, Iran can get the uranium enriched to 60 percent for marine nuclear reactors, and the next stage will be highly enriched weapons-grade uranium.

In response to the accusations of the "IAEA" and the international community Iran stresses that it enriches uranium only for peaceful purposes.

Recall that the previous three rounds of negotiations of the "six" with Russia, the U.S., China, France, the United Kingdom (the five permanent UN Security Council members), and Germany took place in 2012 in Istanbul, Baghdad and Moscow. But no major changes happen on this issue. Opinions of the world's experts on this question were divided into two camps. If one group assumes that each round is completed with small concessions from Tehran, others are convinced that in this game Iran only buys time for the enrichment of uranium.

The first issue was raised in the fourth round of talks in Almaty on February 26, 2013. Why it was held on the territory of Kazakhstan - a country that is neither a party nor a mediator in this matter? There are several versions for this question. It is sufficient to point out that this state has a reasonably peaceful policy and committed to resolving all issues by peaceful means, winning the confidence of Iran, geographically located near Kazakhstan.

Secondly, the country promotes principles of the use of peaceful nuclear energy and is actively involved in various international projects on the subject. On August 29, 1991 in Almaty it was signed a historic Decree of the President of Kazakhstan Nursultan Nazarbayev on closure of the Semipalatinsk nuclear test site. Moreover, this country has not only refused to fourth nuclear potential arsenal in the world, but at the same time recognized the right of every country to the peaceful use of nuclear energy, but strictly in accordance with the terms and principles of the «IAEA».

In addition, Kazakhstan claims to a non-permanent member of the UN Security Council. At the same time, this Central Asian country performed at the Global Nuclear Security Summit in the U.S. on April 2010, with the idea of creation of the International Nuclear Fuel Bank (INFM). It is important the fact that Kazakhstan does not conflict with any country in the world, holds a peace policy and has a peaceful military doctrine.

Therefore it is not surprising that after the February 2013, when North Korea conducted a third underground nuclear explosion, the authorities of Kazakhstan have condemned these actions of the North Korean side.

Nine months ago in Moscow, the Iranian side proposed five suggestions of cooperation, and before the negotiations in Almaty "Six" was to consider these proposals. During the press conference, Secretary of the Supreme Council of National Security Saeed Jalili noted with satisfaction that countries of "six" came to the development of the proposals, taking into account the remarks that were announced by Iran in the past three rounds.

In turn, the countries of the "six" offered to shoot a number of sanctions against Iran, in exchange for a reduction in the enrichment of uranium to a level of 20 percent at an underground factory in the "Fordow". Here the country of "six" made some concessions, as they had previously insisted on a complete cessation of work in the area. In turn, Tehran proved the necessity of 20 percent enriched fuel in connection with its use for medical purposes.

Easing of sanctions will cover trade in gold and other precious metals. Recall that earlier European Union countries introduced an embargo on imports of Iranian oil, which came into force on 1 July 2012. These actions of the EU were explained by the fact that they wanted to force Tehran to abandon its nuclear ambitions. The same package of measures against Iran previously was conducted by Washington at the beginning of this year, with the introduction of the sanctions aimed at reducing the income of the republic from oil sales.

Some experts tend to believe that if the above measures will lead Iran's economy to a standstill, this country could launch military action in the Strait of Hormuz, which, in fact, is a trade artery for the Gulf countries and in general for the Middle East. It passes through 40 percent of the world oil traffic. And then it will be a boost for the whole of Western Europe.

It is important that right after the completion of negotiations in Almaty, Saeed Jalili said that the next round of negotiations of the parties is agreed to be held in Istanbul on 18 and 19 March, and then again will return to Almaty on 5 and 6 April 2013. Moreover, the initiative of early resumption of the talks came from Iran. Recall that earlier intervals between negotiations were much longer. Parties had never administered the next meeting so close to the date. This suggests that Iran is seeking the lifting of sanctions, and ready to meet the requirements of the "six".

According to the U.S. Secretary of State, John Kerry, a meeting in Kazakhstan was "productive". Replying to journalists in Paris, he said that if Iran goes to serious talks, it can lead to a lasting solution to the dispute over its nuclear program.

Executive director of Association on arms control Daryl Kimball surprised that Iran is ready to continue negotiations in connection with the fact that presidential elections in Iran must be held on June. "So many of us were surprised that they agreed to a new round of negotiations, because there are many good political reasons why they could simply refuse to enter into any agreement in the near future", - he said.

# უკრაინას რუსეთსა და ევროკავშირს შორის არჩევანის გაკეთება მოუწევს



ზურაბ გამრეკელი

**მარტის ბოლოს, ევროკომისიამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი მხარდაჭერა უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის სამმხრივი კონსორციუმის შექმნის იდეასთან დაკავშირებით, რომელშიც კიევთან ერთად, როგორც რუსული, ისე ევროპული მხარეებიც იქნებიან წარმოდგენილნი. აღნიშნული კონსორციუმის შემადგენლობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა უკრაინის პოზიციაზეა დამოკიდებული – ითანამშრომლოს მხოლოდ რუსეთთან და გაწევრიანდეს „საბაჟო კავშირში“ ან დარჩეს ევროპის მოკავშირე და კონსორციუმის პროექტში ჩართოს ევროკავშირიც.**

უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის ბაზაზე ერთობლივი კონსორციუმის შექმნის საკითხი 2011 წლიდან განიხილება. კერძოდ, იგი მოსკოვის მიერ წაყენებული იმ პირობების ნაწილია, რომლებიც მოსკოვმა 2009 წლის აპრილში, ტიმოშენკოსა და პუტინის მიერ გაფორმებული, რუსეთ-უკრაინის 10-წლიანი გაზის ხელშეკრულების პირობების გადახედვის სანაცვლოდ მოითხოვა. სწორედ 2009 წელს გაფორმებული კონტრაქტის პირობები გახდა ბოლო პერიოდში რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების დაძაბვის მიზეზი: მიუხედავად იმისა, რომ შარშან უკრაინამ რუსული გაზის მოხმარება 27%-ით შეამცირა, რუსეთი კიევს სთხოვს, ხელშეკრულებით განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისი თანხა (დამატებით, 7 მილიარდი დოლარი) მაინც გადაიხადოს.

ამ და სხვა, უკრაინისათვის წამგებიანი, გარემოებების გამო, უკრაინის მთავრობა თითქმის ორი წელია, უშედეგოდ ცდილობს, დაითანხმოს მოსკოვი არსებულ კონტრაქტში რუსული გაზის ფასის ახალი ფორმულის შედგენასა და ისეთივე შეღავათების გაცემაზე, როგორიც გაზმომარაგების კონტრაქტებით „გაზპრომმა“ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანას მიანიჭა.

**აღსანიშნავია, რომ ოფიციალური მოსკოვი უკრაინული მხარის მოთხოვნების დაკმაყოფილებას მხოლოდ ორ შემთხვევაში მიიჩნევს შესაძლებლად: 1) თუ შეიქმნება უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის ორმხრივი კონსორციუმი, სადაც მხოლოდ უკრაინა და რუსეთი (რუსული „გაზპრომითა“ და უკრაინული „ნეფტოგაზ უკრაინით“) უნდა მონაწილეობდნენ; 2) თუ უკრაინა გაწევრიანდება 2010 წელს შექმნილ „საბაჟო კავშირში“, სადაც ამჟამად, სამი ქვეყანა — რუსეთი, ბელორუსია და ყაზახეთი არიან გაერთიანებულნი.**

აშკარაა, რომ უკრაინასთან გარკვეულ დათმობებზე წასვლას კრემლი მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებს, თუ იგი დაეპატრონება უკრაინისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გაზის სატრანზიტო სისტემას, რომლის საშუალებითაც, ევროპისკენ მიმავალი რუსული გაზის 70% დანიშნულების ობიექტამდე მიედინება და რომელიც რუსულ „გაზპრომს“ არაერთ თავსატეხს უჩენს (2006-2009 წლების რუსეთ-უკრაინის „გაზის ომები“ ამის მკაფიო მაგალითია). ასევე, აღნიშნული სატრანზიტო სისტემის გვერდისავლის მიზნით ხორციელდება „გაზპრომის“ პროექტები — „სამხრეთისა“ და „ჩრდილოეთის ნაკადები“, რისთვისაც რუსულმა მონოპოლიამ საკმაოდ დიდი დანახარჯი გაიღო. ეს ყველაფერი უკრაინის გაზსატრანზიტო ქსელის მნიშვნელობასა და პრობლემატურობას უსვამს ხაზს, ამიტომ ევროპის შეუფერხებელი გაზმომარაგებისთვის უკრაინის გაზის სატრანზიტო სისტემაზე კონტროლის მოპოვება მოსკოვისთვის წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნებოდა. აღნიშნული სატრანსპორტო ქსელის მეშვეობით, შესაძლებელია, 120 მილიარდი კუბმეტრი რუსული გაზის ევროპისაკენ გადატუმბვა, თუმცა აქვე ხაზგასასმელია, რომ ბოლო პერიოდში ევროპის მოთხოვნის კლებისა და უკრაინის ტრანზიტის ალტერნატიული მარშრუტის, რუსულ-გერმანული „ჩრდილოეთის ნაკადის“ ამოქმედების შემდეგ, უკრაინული გაზსატრანსპორტო სისტემით გადატუმბული გაზის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამან უკრაინის ქსელის „მიმზიდველობა“ ცოტა დაჩრდილა.

მიუხედავად ამისა, გარდა ეკონომიკური მნიშვნელობისა, უკრაინის გაზის სატრანსპორტო ქსელს რუსეთისთვის პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. კერძოდ, მოსკოვი საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით ალასრულებს და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე რუსულ გავლენას აძლიერებს. უკრაინასთან ერთად, ორმხრივი კონსორციუმის შექმნით მოსკოვი უზრუნველყოფს კიევის მიერ არჩეული დასავლური კურსის შეცვლას და ევროპული ინტეგრაციის ნაცვლად, მის „საბაჟო კავშირში“ გაწევრიანებას.

მოსკოვის ჩანაფიქრი – ხელში ჩაიგდოს უკრაინის გაზის სატრანსპორტო ქსელი და ჩამოაშოროს უკრაინა ევროპას, ნათელია კიევისთვისაც, ამიტომ რუსული მხარის მოთხოვნების საპასუხოდ და რუსეთის მონოპოლიის თავიდან აცილების მიზნით, ჯერ კიდევ 2011 წელს, ოფიციალურმა კიევმა გაზის სატრანსპორტო სისტემის მომავალი კონსორციუმის მესამე შესაძლო წევრად ევროკავშირი დაასახელა, რასაც თავად ევროკომისიაც დაეთანხმა.

## რუსეთთან თანამშრომლობა

მარტის მიწურულს, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა, უკრაინის სატრანსპორტო ქსელის კონსორციუმის საკითხთან მიმართებაში საკუთარი ქვეყნის პოზიცია საკმაოდ ნათლად დააფიქსირა. კერძოდ, მედვედევის აზრით, რუსეთის მონაწილეობა კონსორციუმში მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ უკრაინა არ დაუშვებს აღნიშნულ პროექტში მესამე მხარის ჩართვას. პრემიერის თქმით, მოსკოვი ამით მხოლოდ თავს იცავს, ვინაიდან ევროკავშირი ყოველთვის მოძებნის მიზეზს კონსორციუმში რუსეთის გავლენის შეზღუდვისთვის და აიძულებს მოსკოვს, ევროპულ წესებს დაემორჩილოს. რუსი პრემიერის აზრით, აუცილებელია მომავალი კონსორციუმიდან არა მხოლოდ ევროპის გამორიცხვა, არამედ უკრაინის მიერ რიგ ევროპულ ინსტიტუციებზე უარის თქმაც („ევროპის ენერგეტიკული კავშირი“, „ენერგეტიკული ქარტია“ და ა.შ.). სანაცვლოდ, მოსკოვის აზრით, უკრაინა „საბაჟო კავშირის“ წევრი გახდება, რის შედეგადაც, ვლადიმერ პუტინის განცხადებით, თუ კიევი „საბაჟო კავშირში“ გაწევრიანების მოსკოვისეულ პირობებს მიიღებს, უკრაინის მშპ 1.5%-დან 6.5%-მდე გაიზრდება. კერძოდ, მედვედევის განცხადების თანახმად, „3+1 ფორმატი“, რომელიც „საბაჟო კავშირში“ უკრაინის გაწევრიანების შესაძლო მოდელად მოიაზრებოდა, მოსკოვის მიერ საერთოდ არ განიხილება. შედეგად, უკრაინაც ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი მომავალი წევრი, ვალდებულია, „საბაჟო კავშირის“ ყველა პირობა, ორგანიზაციის დანარჩენი წევრების მსგავსად, ბოლომდე შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი წევრის სტატუსს ვერ მიიღებს.

მედვედევის განცხადებებს, კიევის ნაცვლად, ევროკომისია გამოეხმაურა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ „ევროპის ენერგეტიკული კავშირის“ წევრობაზე უარის თქმა უკრაინისთვის დამღუპველი იქნება, ვინაიდან ამით ქვეყნის სუვერენული ინტერესები და ენერგეტიკული უსაფრთხოება მნიშვნელოვნად დაზარალდება. ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისრის, გიუნტერ ოტინგერის თქმით, „ევროპის ენერგეტიკული კავშირის“ წევრის სტატუსით, კიევს უახლოეს მომავალში, შეეძლება, გაზის იმპორტი ევროპული ქვეყნებიდან განახორციელოს, რაც ბოლო პერიოდში უკვე ხორციელდება კიდეც — უკრაინამ ჯერ გერმანული RWE კომპანიისაგან, შემდეგ კი უნგრული მილსადენების ოპერატორის, FGSZ-გან მიიღო გაზი, რითაც რუსულ „გაზპრომთან“ თანამშრომლობა თანდათან შეკვეცა.

## ევროკავშირის პოზიცია

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს უკრაინა „ევროპის ენერგეტიკულ კავშირს“ სწორედ იმ იმედით შეუერთდა, რომ ბრიუსელი უკრაინასა და რუსეთს შორის არსებულ უთანხმოებაში ჩაერეოდა და კიევს დაეხმარებოდა, თუმცა ევროკავშირს აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებისთვის კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგამს, რის გამოც, უკრაინის პრემიერმა, მიკოლა აზაროვმა ევროკომისია არაერთხელ გააკრიტიკა.

მოსკოვის ვარაუდით, უკრაინას შეუძლია, სწორედ ევროპის გულგრილობა გამოიყენოს საბაბად და მიატოვოს „ევროპის ენერგეტიკული კავშირი“, რის შემდეგაც კიევი მოსკოვისგან თანამშრომლობის ხელსაყრელ პირობებს მიიღებს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ არა მხოლოდ რუსეთი, არამედ თავად კიევშიც გარკვეული წრეები განიხილავენ რუსეთთან ორმხრივი კონსორციუმის შექმნის შესაძლებლობას. მით უფრო, რომ მარტის მიწურულს, უკრაინის პრემიერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის კონსორციუმის შექმნის საკითხს მხოლოდ ევროპული მხარის პასიურობა აფერხებს – მოსკოვი და კიევი კი მზად არიან თანამშრომლობისთვის.

*დასასრული მე-14 გვერდზე*



## პატრიარქი, ექიმების რეკომენდაციით, ფინეთში გაემგზავრა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ექიმების რეკომენდაციით, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გაემგზავრა. პატრიარქი თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან მრევლმა და მეუფეებმა გააცილეს. უწმინდესის გამგზავრებამდე აეროპორტში კომენტარი გააკეთა დეკანოზმა მამა მიქაელ ბოტკოველმა. მისი თქმით, ეს არის გეგმური სარეაბილიტაციო პროცედურა, რომელიც მის უწმინდესობას ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში ჩაუტარდება.

მამა მიქაელ ბოტკოველის ინფორმაციით, ვიზიტი ხანმოკლე, დაახლოებით ორკვირიანი იქნება.

*სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას კი ილია მეორემ ტაძარში შეკრებილი მრევლი დალოცა და სთხოვა, მისთვის ილოცონ.* ***„ექიმების რეკომენდაციით, ორი კვირით მივდივარ ფინეთში, დედაქალაქ ჰელსინკში და იქ პატარა ყურადღებას მომაქცევენ ექიმები და, ღვთის მადლითა და თქვენი ლოცვით, მშვიდობით დავბრუნდები. იმედი მაქვს თქვენი ლოცვების, იმედით მივდივართ ჩვენ უცხოეთში“,*** *— ბრძანა პატრიარქმა.*

***„ინტერპრესნიუსი“***



## HurrietDailyNews: „იუსუფელის კაშხალი ქართულ ძეგლებს წალეკვით ემუქრება“

თურქული გამოცემა HurrietDailyNews uilko van perhenis სტატიას აქვეყნებს, სათაურით „იუსუფელი – უნიკალური ადგილი მოსანახულებლად“.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, შავი ზღვის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიულმა ძეგლებმა — პარხალმა და ოთხთა ეკლესიამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და ამ ძეგლების მონახულებას სხვა ტურისტებსაც ურჩევს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ვინც ამ ძეგლების მონახულებას დაგეგმავს, უნდა იჩქაროს, რადგან 2018 წლის მაისისთვის ეს ძეგლები და მიმდებარე ტერიტორიები წყალქვეშ აღმოჩნდება. მათ გაანადგურებს იუსუფელის კაშხალი, რომლის მშენებლობაც სწორედ იმ დროისთვის დასრულდება.

იუსუფელის კაშხალი, — აღნიშნავს სტატიის ავტორი, — მსოფლიოში სიმაღლით მესამე და თურქეთში ყველაზე მაღალი იქნება, თუმცა, კაშხლიდან გადმომავალი წყალი წალეკავს ამ უნიკალურ, ისტორიულ ძეგლებსა და სოფლებს, — წერს სტატიის ავტორი.

***„ინტერპრესნიუსი“***

## თურქეთში საბავშვო ფესტივალზე აფხაზეთი ცალკე ქვეყნადაა მიწვეული

23 აპრილს, თურქეთში დაგეგმილ საერთაშორისო საბავშვო ფესტივალზე აფხაზეთი ქვეყნის სტატუსითაა მიწვეული. ქვეყნების ჩამონათვალში, რომელიც ამ ფესტივალის ვებგვერდზეა მითითებული, აფხაზეთი თავისი დროშით, ცალკეა მითითებული, საქართველო კი ცალკე.

თურქეთში ფესტივალი ყოველ წელს ტარდება. შარშან იგივე ფესტივალზე, აჭარა ცალკე სახელმწიფოდ იყო წარმოდგენილი. სტამბოლის ქართული კულტურის სახლისა და საქართველოს ხსნის საერთაშორისო კავშირის „ნათლის მხედარის“ საპროტესტო წერილის შემდეგ, ორგანიზატორებმა ბოდიში მოიხადეს, ხოლო მცირე ხანში, ფესტივალის ორგანიზატორი მოხსნეს თანამდებობიდან. აღნიშნულ ფაქტს ოფიციალური სტრუქტურებიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ფესტივალი საკმაოდ მასშტაბურია და მასში ყოველწლიურად 40 ქვეყანა მონაწილეობს. მიმდინარე წელს, ორგანიზატორების ინფორმაციით, ფესტივალში 50 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

*„ნიუპოსტს“*



## საპატრიარქო დაუშვებლად მიიჩნევს რეგიონული ენის სტატუსის განხილვას

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ფინეთში გამგზავრების შემდეგ, პატრიარქის პირადმა მდივანმა, მამა მიქაელ ბოტკოველმა ჟურნალისტებთან საგანგებო განცხადება გაავრცელა: **„ბოლო დროს კვლავ განახლდა მსჯელობა რეგიონული და უმცირესობების ენების შესახებ, რაც ჩვენი აზრით, მიუღებელია, რადგან იგი გამოიწვევს სეპარატისტული მოძრაობების გაძლიერებასა და ქვეყნისათვის ახალი, უმძიმესი პრობლემების შექმნას. ვიდრე ჩვენთან, ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი არ მოგვარდება და ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, პარლამენტის მიერ ამ თემის რატიფიცირება დაუშვებლად მიგვაჩნია“.**

*„ნიუპოსტს“*



## ხათუნა ბერძენიშვილი კრწანისის რაიონის გამგებელი გახდა

თბილისის მთავრობის სხდომაზე, გიგი უგულავამ საზოგადოებას კრწანისის რაიონის ახალი გამგებელი ხათუნა ბერძენიშვილი წარუდგინა. ხათუნა ბერძენიშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან რამდენიმე კვირის წინ, არხის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი ბარათაშვილმა დაითხოვა.

გიგი უგულავამ ერთი თვის განმავლობაში, სამი ახალი გამგებელი წარადგინა: საბურთალოში გია ხუროშვილი, დიდუბეში ლევან მხეიძე, ისანში თორნიკე ხუციშვილი.

*„ინტერპრესნიუსი“*

# უკრაინას რუსეთსა და ევროკავშირს შორის არჩევანის გაკეთება მოუწევს




*მე-13 გვერდიდან*

ევროკავშირი, თავის მხრივ, მიესალმება სამმხრივი კონსორციუმის შექმნის იდეას, ვინაიდან რუსული და უკრაინული მხარის დაახლოება ევროპისთვის ისეთი უსიამოვნო ინციდენტების აცილებას შეუწყობს ხელს, როგორებიც გასულ წლებში (2006, 2009) „გაზპრომის“ მიერ კიევთან კონფლიქტის შემდგომ გაზის გადაკეტვას მოჰყვა. ამავდროულად, ერთიანი კონსორციუმის წყალობით, ევროკომისია აკონტროლებს „გაზპრომს“ და გავლენას ინარჩუნებს კიევზეც. შედეგად, ევროპისათვის მომავალ კონსორციუმში რუსეთთან ერთად, ევროკავშირის მონაწილეობაც აუცილებელია

### უკრაინის მძიმე არჩევანი

უკრაინა დილემის წინაშეა. ერთი მხრივ, მისთვის ნათელია, რომ რუსეთთან ორმხრივი გაზსატრანსპორტო კონსორციუმის შექმნით, ქვეყანა გარკვეულ ეკონომიკურ შეღავათებს მიიღებს, ამიტომ ექსპერტების აზრით, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უკრაინას რუსეთთან ენერგოგარიგებასა და „საბაჟო კავშირზე“ უარის თქმის საშუალება არ აქვს. მოსკოვთან მჭიდრო თანამშრომლობის შემთხვევაში, უკრაინა მნიშვნელოვან სარგებელს ნახავს. კერძოდ, რუსული გაზის ფასი უფრო ხელმისაწვდომი იქნება; მოსკოვი არ დაუშვებს, უკრაინის ტერიტორიის გავლით, ტრანსპორტირებული გაზის რაოდენობის შემცირებას, რაც უკრაინის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, მნიშვნელობასაც გაუსვამს ხაზს; ასევე დაწესდება დაბალი საბაჟო და სავაჭრო ტარიფები რეგიონის არაერთ ქვეყანასთან მიმართებაში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინა ისედაც სარგებლობს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით დსთ-ს მასშტაბით, რომლის წევრები „საბაჟო კავშირის“ წევრებიც არიან. ასე რომ, ვაჭრობის მხრივ, ქვეყანისთვის განსაკუთრებული შეღავათი ნაკლებად მოსალოდნელია.

მეორე მხრივ, ევროპის მონაწილეობა უკრაინული გაზსატრანსპორტო სისტემის კონსორციუმში ნიშნავს კიევის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებასა და სატრანსპორტო ქსელის მოდერნიზაციას, რაც, თავის მხრივ, დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რისი განხორციელებაც მხოლოდ ევროპის ფინანსური მხარდაჭერითაა შესაძლებელი.

რუსეთში მიიჩნევენ, რომ უკრაინას დიდი არჩევანის საშუალება მაინც არა აქვს და კიევის მიერ ევროპის მხრიდან დახმარების მოლოდინიც უშედეგოა. რუსი პოლიტოლოგების აზრით, არც უახლოეს და არც შორეულ მომავალში, უკრაინის ევროკავშირში მიღება რეალური პერსპექტივა არ არის. მით უფრო, რომ შარშან გერმანიის კანცლერმა ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ „ევროპულ ოჯახში“ მისაღები კრიტერიუმები კიდევ უფრო გართულდება. შესაბამისად, ადრე თუ გვიან, უკრაინა მაინც რუსეთთან გააფორმებს ხელშეკრულებას ორმხრივი კონსორციუმის შექმნისა და „საბაჟო კავშირში“ გაწევრიანების შესახებ, თანაც ეს მოსკოვის მიერ დადგენილი წესებით მოხდება.

**ექსპერტები ვარაუდობენ, რომ რუსეთთან თანამშრომლობას უკრაინისთვის გაცილებით მეტი უარყოფითი შედეგი ექნება. კერძოდ, ორმხრივი კონსორციუმის შექმნა და პრორუსულ ეკონომიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანება ნიშნავს უკრაინის დასავლური კურსისა და ევროინტეგრაციული გეგმების სამუდამოდ ჩაშლას. ასევე, ქვეყანა დაკარგავს დამოუკიდებელი სავაჭრო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას, შეჩერდება ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმების„ (DCFTA) შესახებ მოლაპარაკებები; დასავლეთთან კავშირის გაწყვეტის გამო, ევროპიდან იმპორტირებულ საქონელზე გაცილებით მაღალი ტარიფები დაწესდება, შენელდება ასევე უკრაინის მოდერნიზაციაც და იკლებს ახალი ტექნოლოგიების განვითარების შანსები. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ მოსკოვი უკრაინასთან მიმართებაში 90-იანი წლების პოლიტიკას გაატარებს; უკრაინის წამყვანი ეკონომიკური დარგები რუსი ოლიგარქების ხელში აღმოჩნდება. ეს კი კაპიტალის უკრაინიდან რუსეთში გადინებას, მოსკოვის მიერ უკრაინის ეკონომიკის მთლიან კონტროლსა და ადგილობრივი წარმოების გაკოტრებას ნიშნავს,**

როგორც ეს ხდებოდა 90-იან წლებში, როცა რუსეთმა უკრაინის ნავთობის წარმოება ხელში ჩაიგდო და საბოლოოდ გააკოტრა, სანაცვლოდ კი, უკრაინის კონკურენტი რუსული ნავთობის სექტორი განვითარდა. შედეგად, დღეისთვის უკრაინის ნავთობის წარმოება გაცილებით დაბალ დონეზეა. იგივე მოხდა გემთმშენებლობაშიც, როდესაც ადგილობრივი საწარმოები, რუსების მფლობელობაში გადასვლის შემდეგ, დაიხურა.

უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის ხელში ჩაგდებით მოსკოვი უკრაინას დააკარგვინებს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უფლებას, განსაზღვროს რუსული გაზის სატრანზიტო ტარიფი, რაც უკრაინასთან მიმართებაში რუსული ენერგეტიკული პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს. გარდა ამისა, სატრანსპორტო ქსელის რუსეთის თანამფლობელობაში გადასვლით, უკრაინა კარგავს ენერგომომარაგების დივერსიფიკაციის შანსებს (მოსკოვი ბლოკავს უკრაინის შიდა მილსადენებს) მაშინ, როცა რუსეთი არანაირ გარანტიას არ იძლევა, რომ იგი უარს იტყვის ალტერნატიული მარშრუტების განვითარებაზე (მაგალითია პროექტი „სამხრეთის ნაკადი“). მით უფრო, რომ ამის მაგალითი ბელორუსის შემთხვევაში უკვე არსებობს: „გაზპრომმა“ შეისყიდა ბელორუსის „ბელტრანსგაზი“, დაეპატრონა მის მილსადენებს, თუმცა ამის მიუხედავად, „ჩრდილოეთის ნაკადი“ ბელორუსის სატრანზიტო ქსელის გვერდის ავლით მაინც ამოქმედდა.

ბელორუსის მსგავსად, დიდი ცვლილებები გაზის ფასთან მიმართებაში არც უკრაინისთვისაა მოსალოდნელი. აღსანიშნავია, რომ „გაზპრომმა“ ბელორუსს გაზის ფასი შეუმცირა, თუმცა რუსეთის შიდა ბაზარზე გაზის ღირებულების გაზრდასთან ერთად, გაზის ფასი ახლა ბელორუსისთვისაც იზრდება. შედეგად, ადვილად შესაძლებელია, იგივე მოხდეს უკრაინასთან მიმართებაშიც.

ამრიგად, უკრაინული გაზსატრანსპორტო სისტემის კონსორციუმისა და „საბაჟო კავშირთან“ შეერთების საკითხების გადაწყვეტა უკრაინისგან კონკრეტული არჩევანის გაკეთებას ითხოვს. ერთი მხრივ, უკრაინას შეუძლია, რუსეთთან ითანამშრომლოს გარკვეული ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ. მეორე მხრივ, კიევს აქვს შანსი, დარჩეს ევროკავშირის მოკავშირე, დაელოდოს მისგან უკრაინის მხარდამჭერ აქტიურ ქმედებებს და შეინარჩუნოს სუვერენული უფლებები. აღნიშნულ არჩევანზე დამოკიდებულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი. ამიტომაა, რომ რუსეთისა და ევროპის მხრიდან ორმაგი წნეხის მიუხედავად, უკრაინის პრეზიდენტი კონსორციუმის ირგვლივ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს.

# ინვესტიციების სტიმულირების საქმე კიდევ დიდხანს იქნება დაკავშირებული საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და მის მილიარდებთან

მოლი კორსო

EURASIANET.org

**სად გადის ზღვარი საჯარო მოხელის პირად ფინანსებსა და ამ პირის თანამდებობრივ ვალდებულებებს შორის? მილიარდერი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი თავისი დაპირებების ფონზე, რომ პირად ფინანსებს მიმართავდა ბიზნესში ინვესტიციების სტიმულირებისთვის, სტიქიისგან დაზარალებულთა ხარჯებს დაფარავდა და სახელმწიფო ხაზინას მიეხმარებოდა, კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ამ ზღვარს.**



მას შემდეგ, რაც 2012 წლის ოქტომბერში პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა, ივანიშვილმა არაერთხელ გაახმოვანა სამი ახალი სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის ორგანიზებასთან დაკავშირებული გეგმები. ეს ფონდებია: 2 მილიარდი დოლარის მოცულობის საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებელი ფონდი, აგრარული ფონდი და სარისკო კაპიტალის ფონდი. პირველი ფონდი სახელმწიფო აქტივებზე იმუშავებს, როგორებიცაა სარკინიგზო მაგისტრალები და საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია, მეორე ხელს შეუწყობს ძალიან რთულ ვითარებაში მყოფი ქვეყნის აგრარულ სექტორს, მესამე კი უზრუნველყოფს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებს ახალ საწარმოებში.

იმავდროულად, ივანიშვილი განიხილავს კერძო საინვესტიციო ფონდში ერთ-ერთი ინვესტორის როლში ყოფნის გეგმებს. ეს ფონდიც ქართულ ბიზნესში ინვესტიციების განხორციელებით დაკავდება. კერძო საინვესტიციო ფონდი სახელმწიფო ფონდებისგან განსხვავებული სტრუქტურა იქნება, მაგრამ იმის გამო, რომ ივანიშვილი ოთხივე ფონდზე ერთად ლაპარაკობს ხოლმე, გაჩნდა მოლოდინი, რომ ის სახელმწიფო დამოუკიდებელი ფონდის დაფინანსებაშიც მიიღებს მონაწილეობას, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან მკაფიო ინფორმაციის არარსებობა, მხოლოდ აღრმავებს გაუგებრობას ამ საკითხში.

იმ პირობებში, როდესაც საქართველოში ეკონომიკური ვარდნაა, რიგითი მოქალაქეებიდან ცოტა თუ ხედავს ინტერესთა კონფლიქტს იმაში, რომ პრემიერ-მინისტრი საკუთარ ფულს ჩადებს კერძო ფონდში (და სახელმწიფო ფონდებშიც), რომლის მიზანიც ქართული ბიზნესის დახმარებაა. ივანიშვილი, რომლის პირადი ქონებაც, ჟურნალ „ფორბსის“ თანახმად, 5,3 მილიარდ დოლარს აღწევს და რომელსაც აქვს ისეთი კაცის რეპუტაცია, რომელსაც შეუძლია, სერიოზული თანხა გაიღოს (მაგალითად, ერთპიროვნულად დააფინანსოს მშობლიური სოფლის, ჭორვილას რეკონსტრუქცია), თავისი მილიარდებით სერიოზულ გავლენას ახდენს ელექტორატზე... და მაინც, ამ თემაზე პოლემიკა არ წყდება.

**„მაინტერესებს, როგორ მიიღებს ეს საინვესტიციო ფონდი სახსრებს“,** – ამბობს სახელმწიფო დამოუკიდებელ ფონდზე ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის ეკონომიკური მრჩეველი ვახტანგ ლეჟავა. **„ჩვენთვის, ჯერჯერობით, ცნობილია პოტენციური ინვესტიციების ერთადერთი გაცხადებული წყარო, კერძოდ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის სახსრები“.** თავად ივანიშვილი უარყოფს „ყოველგვარ კავშირს (სახელმწიფო) ფონდებთან“, განაცხადა რა 5 თებერვლის პრესკონფერენციაზე: **„მე არაფერს ვმალავ, დასამალი არაფერი მაქვს“.**

ამ განცხადებას იმეორებს გიორგი ბაჩიაშვილი, საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარის მოადგილე, ფონდის, რომელიც კერძო სექტორის პროექტებზე სახელმწიფო დაფინანსებას გამოჰყოფს. **„ბ-ნ ივანიშვილს არ ექნება არანაირი კავშირი“** ამ ფონდთან, უთხრა EurasiaNet-ს ბაჩიაშვილმა, რომელიც ხელისუფლებასთან ერთად, საქართველოს სუვერენული ფონდის შექმნაზე მუშაობს. რაც შეეხება კერძო საინვესტიციო ფონდს, **„ეს იქნება აბსოლუტურად კერძო სტრუქტურა“ „საქართველოს მდიდარი მოქალაქეების“ მონაწილეობით, რომლებიც ქართული ბიზნესის „პასიურ“ ინვესტორებად წარდგებიან“,** — დასძენს იგი. არანაირი დამატებითი დეტალი ამ თემის შესახებ არ თქმულა. ბაჩიაშვილმა უარყო კრიტიკა იმის თაობაზე, რომ ივანიშვილი კერძო ფონდის პირველი ინვესტორი იქნება, ფონდის, რომლის საქმიანობაც განისაზღვრება მისივე მთავრობის საინვესტიციო სტრატეგიით. **„ზოგიერთებს შეიძლება შექმნოდათ შთაბეჭდილება (ინტერესთა კონფლიქტის არსებობაზე)“,** — ამბობს იგი. **„მე არ ვიცი, ეს ყველაფერი ძალიან ინდივიდუალურია“.** თუკი კერძო საინვესტიციო ფონდის რომელიმე ინვესტორი სხვა ინვესტორებთან შედარებით უპირატესობას მოიპოვებს, „დიდი სკანდალი“ მოხდება, — აცხადებს იგი. სწორედ მსგავსი წარმოდგენების ჩამოყალიბების აღკვეთა წარმოადგენს ევროკავშირისა და აშშ-ს სახელმწიფო მოხელეების ეთიკური კოდექსების ამოცანას, მაგრამ ქართულ კანონმდებლობაში აღნიშნული კატეგორიის პირების ინტერესთა კონფლიქტის არსი დეტალურად განსაზღვრული არ არის. ინტერესთა კონფლიქტი მასში განსაზღვრულია, როგორც წინააღმდეგობა „სახელმწიფო მოხელის კერძო ან ქონებრივ ინტერესებსა და სახელმწიფო სამსახურის ინტერესებს შორის“. საჯარო მოხელეებს ეკრძალებათ რომელიმე კომპანიის საკონტროლო პაკეტის ფლობა, თუმცა წარსულში, ამ მოთხოვნებზე ხშირად ხუჭავდნენ თვალს.

ივანიშვილის პირად ქონებას განსაკუთრებით არასოდეს უპირისპირებდნენ მის პოლიტიკურ კარიერას. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან მალევე, იგი გამოვიდა ინიციატივით, რომ საკუთარ სახსრებს გამოიყენებდა ბიუჯეტში გარღვევების შესავსებად. ჯერჯერობით, ამ წინადადების რეალიზება არ მომხდარა. დახმარებასთან დაკავშირებული სხვა წინადადებები კი უკვე გამოიყენეს. იანვარში, ივანიშვილის მიერ დაფუძნებულმა ჰოლდინგმა „ქართუ ჯგუფმა“, პრემიერის წინასაარჩევნო დაპირება შეასრულა და ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში, კახეთში, შარშან ზაფხულში სტიქიისგან დაზარალებულ ოჯახებს დაეხმარა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, კომპანია „ქართუმ“ სტიქიისგან დაზარალებული 25 800 ოჯახისთვის, კომპენსაციის სახით, 95 მილიონი ლარის (57 მილიონი დოლარი) გადახდის ვალდებულება აიღო. მართალია, ჰოლდინგი თავად ივანიშვილს უკვე აღარ ეკუთვნის, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრების დოკუმენტაციის თანახმად, თუმცა კომპანიის აქციების 8,25%-ის მფლობელია მისი უფროსი ვაჟი უტა. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია უარყოფს ბრალდებებს იმის თაობაზე, რომ ეს დახმარება ინტერესთა კონფლიქტია. თანხებს მხოლოდ „ქართუ ჯგუფი“ გამოჰყოფს, **„რომელიც ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად საქმიანობს“,** — აღნიშნა მინისტრმა, შეადარა რა გამოყოფილი თანხები დახმარებას, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები გამოყოფენ ხოლმე, თუმცა საზოგადოებაში შიშობენ, რომ ივანიშვილის ჩვევა, ილაპარაკოს თავის ქონებაზე სახელმწიფო პროგრამებთან კავშირში, ამ ზღვარს შლის. საზოგადოებაში, სადაც ოჯახი აღიქმება როგორც ერთიანი ორგანიზმი, ივანიშვილის შვილის წილი „ქართუ ჯგუფში“ მის საკუთრებად აღიქმება. იგივე ეხება კერძო ტელეკომპანია „მე-9 არხს“, რომლის მთავარი აქციონერიც ივანიშვილის მეუღლე, ეკატერინე ხვედელიძეა. თავად ივანიშვილი კი დღემდე ცდილობდა, გაექარწყლებინა შიში მისი, როგორც პრემიერ-მინისტრის და კერძო ინვესტორის ორსახოვანი როლის აღქმასთან დაკავშირებით სხვების მხრიდან. **„აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, ვინ, სად და რამხელა ინვესტიციას ახორციელებს“,** — განაცხადა მან კერძო საინვესტიციო ფონდის შესახებ პრესკონფერენციაზე.

## თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მორიგი ფინანსური ანგარიში საზოგადოებას

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია 2013 წლის, მესამე ფინანსურ ანგარიშს აქვეყნებს. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მიერ 2013 წლის მარტში გაწეულ ხარჯებს.

პირველი მარტისთვის, ორგანიზაციის ანგარიშზე, ნაშთის სახით, დარჩენილი იყო 278011.60 ლარი. მარტის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 53185.61 ლარი.

ორგანიზაციის მიერ 2013 წლის მარტში გაწეული ხარჯები, დეტალურად, თანდართულ ცხრილშია წარმოდგენილი.

**თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მიერ ერთი თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები (ლარებში) 01.03..2013 – 01.04.2013**

| | | | |
|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | | | |
| № | თანხა | შენიშვნა | |
| | 278011.60 | ნაშთი 2013 წლის 1 მარტისთვის | |
| **ხარჯვითი ნაწილი** | | | |
| № | **დანიშნულება** | **ფაქტიური ხარჯი** | **შენიშვნა** |
| 1. | თანამშრომელთა ხელფასი | 25904 | |
| 2. | ბიუჯეტში გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი ხელფასიდან | 8000 | |
| 3. | საწვავი | 8400 | |
| 4. | ბანკის მომსახურება | 35.15 | |
| 5. | ლოჯისტიკის ცენტრების იჯარა | 3919 | |
| 6. | ცენტრალური ოფისის იჯარა | 1590.72 | |
| 7. | ოფისის კომუნალური გადასახადები | 540.80 | |
| 8. | ინტერნეტმომსახურება | 70 | |
| 9. | კორპორატიული ტელეფონების სააბონენტო მომსახურება | 1090 | |
| 10. | თანამშრომელთა დაზღვევა | 2057 | |
| 11. | ავტომანქანის დაზღვევა | 622.50 | |
| 12. | ავტომანქანის პარკირების გადასახადი | 130 | |
| 13. | ჯი პი ეს-ის მომსახურება | 220 | |
| 14. | სამივლინებო ხარჯი | 160 | |
| 15. | ავტომანქანის ნაწილები | 446.44 | |
| სულ, ჯამი | | **53185.61** | |
| ნაშთი, 01.04.2013-სთვის | | **224825.99** | |



# ჰოროსკოპი

## 3 აპრილი

***ვერძი*** — კარგი დღეა კომერციული საქმიანობისა და ოჯახური ურთიერთობებისთვის. მოემზადეთ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისთვის. ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს, სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვალოთ.

***კურო*** — დღის პირველი ნახევარში სასურველია დაისვენოთ და განიტვირთოთ. ეცადეთ, არსებულ პრობლემებზე ნაკლებად იფიქროთ, საღამო კი უფრო აქტიურად გაატარეთ — მოინახულეთ დიდი ხნის უნახავი მეგობრები.

***ტყუპები*** — ტყუპებს ვარსკვლავები ურჩევენ, არ მოდუნდნენ და მეტი ენთუზიაზმით მოეკიდონ ნებისმიერ საქმეს. არ არის გამორიცხული, ბიზნესში სასიკეთო ცვლილებები, პირად ცხოვრებაში კი ყველაფერი ძველებურად რჩება, თუმცა ეს ცუდი არაფრითაა. ეცადეთ, თავი აარიდოთ თავგადასავლებს.

***კირჩხიბი*** — დღე ოჯახს, სახლს მიუძღვენით და ეს დაგეხმარებათ, უკეთ გაერკვეთ გრძნობებში. სჯობს, დრო სახლში გაატაროთ და ახალ პროექტებზე დაფიქრდეთ.

***ლომი*** — მოემზადეთ პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისთვის. ახალი ნაცნობობის შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ, რადგან სწორედ ეს იქნება საწინდარი თქვენი სამომავლო წარმატებებისა.

***ქალწული*** — ქალწულებისთვის ეს დღე სულიერ გარდასახვას უკავშირდება. შესანიშნავი დღეა პროფესიულ საქმიანობაში აქტიურობისთვის. მგზავრობა და საქმიანი შეხვედრები, რაც თქვენი ბიზნესის გაფართოებას უკავშირდება, დადებით შედეგს მოიტანს.

***სასწორი*** — კარგი დღეა შემოქმედებითი საქმიანობისთვის, მშენებლობისთვის, ქორწინებისთვის, აქტიური დასვენებისთვის, რაც განტვირთვაში უდავოდ დაგეხმარებათ. მეტი მოთმინება და ნებისყოფა გამოიჩინეთ, წარმატება შორს არაა.

***ღრიანკალი*** — პასიური დღეა, რომელიც სერიოზულ ცვლილებებს ცხოვრებაში ნამდვილად არ გპირდებათ. მშვიდად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და მოთოკეთ ემოციები.

***მშვილდოსანი*** — მოგზაურობა იქნება წარმატებული. ეცადეთ, უკეთ გაერკვეთ გრძნობებში, რადგან რაც თქვენს ცხოვრებაში ხდება, სწორედ შინაგანი განწყობის შედეგია.

***თხის რქა*** — დღე სიმშვიდეს გპირდებათ, რაც სიტუაციაზე კონტროლის საშუალებას მოგცემთ. მცირე ოჯახური უთანხმოებაც კი, თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება.

***მერწყული*** — ვარსკვლავები წარმატებას გპირდებიან. კარგი პერიოდია სპორტით დაკავებისა და უცხო ენის შესწავლისთვის. ძლიერდება სექსუალური პოტენციალი და ინტუიცია. თქვენი მომხიბვლელობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებში შესაბამის გამოხმაურებას უდავოდ ჰპოვებს.

***თევზები*** — კარგი დღეა აქტიური დასვენებისა და შემოქმედებითი გეგმების განხორციელებისთვის. ეცადეთ, თავი აარიდოთ გაუაზრებელი ნაბიჯების გადადგმას და ნურც ზედმეტ ემოციურობას გამოავლენთ... ამის გამო, შესაძლოა, დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდეთ.

# გულგატეხილ იაპონელებს შვებულებას აძლევენ

იაპონური კომპანია „ჰაიმ ენდ კომპანის" თანამშრომლებს შეუძლიათ ანაზღაურებადი შვებულება აიღონ, თუ სიყვარულში არ გაუმართლათ და საყვარელ ადამიანს დაშორდნენ. ეს სიახლე ამ მარკეტინგულ ფირმაში სულ ცოტა ხნის წინ დაინერგა. ახალი წესებით ასევე დადგენილია, რომ რაც უფრო ასაკიანია გულგატეხილი თანამშრომელი, მით მეტი დღით შეუძლია, დაისვენოს. ტოკიოში მდებარე ამ კომპანიაში, სადაც თანამშრომლებს დასვენების დღის აღება მაღაზიებში გამოცხადებული ფასდაკლებების დროსაც შეუძლიათ, მიიჩნევენ, რომ სამუშაოდან გათავისუფლება საშუალებას აძლევთ, მშვიდად გამოიგლოვონ დაკარგული სიყვარული და სამსახურში ახალი ძალითა და ენერგიით აღსავსენი დაბრუნდნენ. 24 წლამდე ასაკის გულგატეხილ თანამშრომლებს შეუძლიათ, წელიწადში მხოლოდ ერთი დღე აიღონ, 25-29 წლისებს — 2 დღე, მათ კი, ვინც 29 წელს ზემოთაა, კომპანია უფლებას აძლევს, გაუმართლებელი სიყვარული 3 დღეში გამოიგლოვონ. კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით, ამის მიზეზი ის არის, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ, ახალი სიყვარული სწრაფად იპოვონ, 30 წელს გადაცილებულებისთვის კი ეს გაცილებით ძნელია.



## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი" გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

# კაბის მოზომვაში ფულს გადაახდევინებენ

ცნობილმა დიზაინერმა, ვერა ვონგმა გადაწყვიტა, ფული არა მხოლოდ მშვენიერი საქორწინო კაბებით იშოვოს, არამედ მათი მოზომვითაც. ამიერიდან შანხაიში მდებარე ბუტიკში, რომელიც ვონგის სამოდელო სახლს ეკუთვნის, კლიენტებს 482 დოლარის გადახდა მოუწევთ, რომ ტანსაცმელი მოიზომონ და სარკის წინ იტრიალონ, თუმცა ამ ფასიანი „დეფილესთვის“ მაღაზიის მფლობელები კლიენტს საათნახევარს უთმობენ და თუ ამ დროის განმავლობაში ნიჭიერი შემოქმედის მიერ შექმნილ საპატარძლო კაბას კლიენტი შეიძენს, მოზომვაში გადახდილი თანხა კაბის ღირებულებას აკლდება. მაღაზია მსურველებს ვერა ვონგის 80-მდე დიზაინერულ ქმნილებას სთავაზობს, რომელთა ფასი 5-დან 50 ათას დოლარამდე მერყეობს. როგორც მედია წერს, სახელგანთქმული ბრენდის პოლიტიკა საავტორო უფლებების დაცვით აიხსნება, მით უმეტეს, მაღაზიაში ფოტოს გადაღებაც იკრძალება.





# რატომ გვცვივა თმა?

იაპონელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ აღმოაჩინეს მიზეზი, რის გამოც ადამიანებს, ასაკის მატებასთან ერთად, თავზე თმის რაოდენობა უმცირდებათ. კოსმეტიკური კომპანია „კაო კორპორეიშენის“ სპეციალისტებმა თმის დაბერების გენი აღმოაჩნდეს. მისი აქტიურობის ხარისხი უკუდამოკიდებულია განვლილ წლებზე. იაპონელი სწავლულები ვარაუდობენ, რომ ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს, ეფექტურად შეებრძოლონ თმის ცვენის პრობლემას და შედეგად, ადამიანი მოხუცებულობამდე ხშირ და ხარისხიან თმას შეინარჩუნებს. ცნობილია ასევე, რომ ეს გენი სისხლძარღვების წარმოქმნის მექანიზმში მონაწილეობს. აქედან „კაოს“ სპეციალისტები ასკვნიან, რომ სისხლის ცირკულირების სტიმულირებისას, გენი თმის ძირებს ეხმარება იმ ნივთიერებების მიღებაში, რაც აუცილებელია მათი ზრდისა და სიმაგრისთვის.

# „წელიწადის დრონი“ მეხსიერებას აუმჯობესებს



კლასიკური მუსიკა რომ დადებით გავლენას ახდენს თავის ტვინზე, დიდი ხანია ცნობილია, თუმცა ბოლო დროს, მეცნიერებმა გადაწყვიტეს, ეს საკითხი უფრო დეტალურად შეესწავლათ და ცალკეული კომპოზიტორების ნაწარმოებებზე ჩაატარეს ცდები. ასე, მაგალითად, ბეთჰოვენის ერთ-ერთი სიმფონია იდეალური აღმოჩნდა სპორტული ვარჯიშებისთვის. ბრიტანელი ექსპერიმენტეტორები ნორთუმბრიის უნივერსიტეტიდან კი აცხადებენ, რომ ვივალდის კონცერტები, განსაკუთრებით კი სწრაფი მონაკვეთები, მისი ლეგენდარული „წელიწადის დრონიდან“, ყურადღებისა და მეხსიერების განვითარებას ასტიმულირებს, ასევე ხელს უწყობს უფრო სწრაფ აზროვნებას. ექსპერიმენტისას მოხალისეთა ჯგუფს ტესტების შესრულება სთხოვეს, ჯერ მუსიკის თანხლების გარეშე, მერე კი, „წელიწადის დრონი“ ჰანგების ფონზე. აღმოჩნდა, რომ უკვდავი კლასიკა ტვინის რეაქციას აჩქარებს 408,1 მს-დან 393,8-მდე. აღსანიშნავია, რომ ასეთ დინამიკას იძლეოდა ვივალდის ნაწარმოების მხოლოდ დინამიური ნაწილები, წყნარი რიტმი კი პირიქით, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ანელებდა ფუნქციებს. ტომოგრაფიული გამოკვლევების წყალობით, დადგინდა, რომ კომპოზიტორის ეს ნაწარმოები, განსაკუთრებით — „გაზაფხული“, უფრო ძლიერად მოქმედებდა ემოციურ ფონზე.

# პიტნის კევი ასუქებს?



ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ საღეჭ რეზინს შეუძლია, წონაში მატება გამოიწვიოს. ექსპერიმენტში 44 მოხალისე მონაწილეობდა და გაირკვა, რომ ვინც პიტნის კევს ღეჭავდა, უპირატესობას ჩიფსებსა და ტკბილეულს ანიჭებდა და არა ხილს ან ბოსტნეულს. სწავლულების თქმით, მენთოლის გამო, კევი გარკვეულ რეცეპტორებზე მოქმედებს და ხილის არომატს უსიამოვნოს ხდის. ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ პიტნის საღეჭი რეზინის მოყვარულები, შედეგად, ნაკლებ საკვებს მოიხმარენ, მაგრამ ეს არ ამცირებს მიღებული კალორიების რაოდენობას.

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 8 | 3 | 5 | 4 | 9 | 2 | 1 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 8 | 5 | 4 | 1 | 9 | 7 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 7 | 6 | 8 | 5 | 4 | 1 | 9 |
| 1 | 9 | 6 | 4 | 3 | 2 | 7 | 8 | 5 |
| 9 | 3 | 5 | 7 | 4 | 1 | 2 | 6 | 8 |
| 7 | 8 | 2 | 9 | 6 | 3 | 1 | 5 | 4 |
| 4 | 6 | 1 | 5 | 2 | 8 | 3 | 9 | 7 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 2 | 1 | 4 |
| 5 | 4 | 2 | 1 | 6 | 9 | 3 | 8 | 7 |
| 1 | 8 | 7 | 3 | 4 | 2 | 6 | 9 | 5 |
| 4 | 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 5 | 3 | 6 |
| 9 | 7 | 3 | 4 | 5 | 6 | 1 | 2 | 8 |
| 8 | 6 | 5 | 2 | 3 | 1 | 7 | 4 | 9 |
| 7 | 9 | 4 | 6 | 2 | 3 | 8 | 5 | 1 |
| 3 | 5 | 8 | 9 | 1 | 7 | 4 | 6 | 2 |
| 2 | 1 | 6 | 5 | 8 | 4 | 9 | 7 | 3 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 5 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 9 | 7 | 6 | 5 | 3 | 8 | 4 | 2 | 1 |
| 8 | 4 | 1 | 2 | 7 | 6 | 9 | 5 | 3 |
| 7 | 2 | 4 | 6 | 9 | 1 | 5 | 3 | 8 |
| 6 | 8 | 3 | 7 | 2 | 5 | 1 | 4 | 9 |
| 5 | 1 | 9 | 8 | 4 | 3 | 7 | 6 | 2 |
| 4 | 9 | 2 | 3 | 8 | 7 | 6 | 1 | 5 |
| 3 | 6 | 8 | 1 | 5 | 4 | 2 | 9 | 7 |
| 1 | 5 | 7 | 9 | 6 | 2 | 3 | 8 | 4 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 4 | 1 | 5 | 8 | 6 | 3 | 7 |
| 3 | 1 | 8 | 7 | 6 | 4 | 5 | 2 | 9 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 9 | 4 | 1 | 8 |
| 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 1 | 3 | 5 | 2 |
| 6 | 5 | 3 | 2 | 9 | 7 | 8 | 4 | 1 |
| 4 | 2 | 1 | 8 | 3 | 5 | 9 | 7 | 6 |
| 8 | 4 | 2 | 5 | 7 | 6 | 1 | 9 | 3 |
| 1 | 7 | 9 | 4 | 8 | 3 | 2 | 6 | 5 |
| 5 | 3 | 6 | 9 | 1 | 2 | 7 | 8 | 4 |

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები





# ჰოროსკოპი

## 4 აპრილი

**ვერძი** — დღეს თქვენი აზრები სახლს, ბავშვებსა და ოჯახურ საქმეებს უკავშირდება. ეს საზრუნავი არ იქნება დამღლელი, განსაკუთრებით თუ იუმორით შეხედავთ სიტუაციას და გამჭრიახობას გამოიჩენთ. არც დასვენება დაივიწყოთ და ეცადეთ, თავს განტვირთვის საშუალება მისცეთ.

**კურო** — კუროებს ვარსკვლავები არ ურჩევენ დიდ კამპანიაში მოხვედრას. შესაძლოა, უსიამოვნო ისტორიაში გაეხვიოთ, რომლის შედეგების განსაზღვრაც ძნელი იქნება. სჯობს, ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანებით შემოიფარგლოთ და დღე შინ გაატაროთ.

**ტყუპები** — შესაძლოა, დღეს ცრუ ინფორმაცია მოგაწოდონ, რაც ახლობელ ადამიანთან კამათს გიქადით, ამიტომ ფაქტები საგულდაგულოდ გადაამოწმეთ და ნუ მიიღებთ დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს.

**კირჩხიბი** — დღეს სასარგებლოა ექსპერიმენტების ჩატარება და საკუთარი შესაძლებლობების კიდევ ერთხელ შემოწმება. ინტერესის სფერო აირჩიეთ და სცადეთ, საგნებს სხვა კუთხით შეხედოთ, ურიგო არ იქნება, გარშემომყოფების მიმართაც თუ შეიცვლით დამოკიდებულებას.

**ლომი** — ლომებს შემოქმედებითი წინსვლა ელით. ყველა პროექტი, რასაც ხელს მოკიდებთ, წარმატებით განხორციელდება, თუ მოთმინებას გამოიჩენთ და ნაადრევი დასკვნების გამოტანისგან თავს შეიკავებთ.

**ქალწული** — ქალწულების ემოციური ფონი დღეს მკვეთრად მაღალია. მწვავედ აღიქვამთ ყველაფერს, რაც თქვენს ირგვლივ ხდება. ეს, ერთი მხრივ, დაგეხმარებათ, უკეთ გაერკვეთ მოვლენებში, მეორე მხრივ კი გაგირთულებთ ურთიერთობას გარშემომყოფებთან.

**სასწორი** — არ მისცეთ თავს დეპრესიაში ჩავარდნის უფლება. მოინახულეთ მეგობრები. ის, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლიათ, ხვალისთვის არ გადადოთ, ეცადეთ, თქვენი უხასიათობით გარშემომყოფებსაც არ გაუფუჭოთ განწყობა.

**მორიელი** — ახალი ნაცნობობა დღეს პირად ცხოვრებაში ცვლილებებს მოგიტანთ. მოსალოდნელია, ეს ნაცნობობა ახლობელი ადამიანის მეშვეობით შედგეს, შეეცადეთ, თავი ბუნებრივად დაიჭიროთ, ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ზომიერების ფარგლებს არავითარ შემთხვევაში, არ უნდა გასცდეთ.

**მშვილდოსანი** — მშვილდოსნებმა დღეს ცოტა ეშმაკობა უნდა გამოიჩინონ. შესაძლოა, დღეს უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, საიდანაც თავის დაღწევა გაგიჭირდებათ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ, რაც სიტუაციის გაკონტროლებაში დაგეხმარებათ.

**თხის რქა** — დღეს თქვენზე არაფერი იქნება დამოკიდებული. სიტუაციის შეცვლის მცდელობა წარუმატებელი იქნება და საერთოდ, აჯობებს დაფიქრდეთ, რამდენად ღირს პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება?

**მერწყული** — მერწყულებს დღეს ვარსკვლავები ურჩევენ, დრო მეგობრებთან ერთად, ბუნებაში გაატარონ. თქვენი ორგანიზმი მიმართულია, სამყაროსგან პოზიტიური ენერგია მიიღოს. გარდა ამისა, გამყარდება კავშირი ახლობლებთან და ურთიერთობაც უფრო ჰარმონიული გახდება.

**თევზები** — დღეს უამრავ განსხვავებულ ადამიანთან მოგიწევთ ურთიერთობა. აღიჭურვეთ მოთმინებით და გააცნობიერეთ, რომ ყველა ერთნაირად მისაღები ვერ იქნება, მაგრამ თქვენს ცხოვრებაში მათზე ბევრი რამაა დამოკიდებული და მთავარია, მათთან ურთიერთობა არ გააფუჭოთ.

# მოხუცებმა ერთგულების რეკორდი დაამყარეს



გინესის რეკორდების წიგნში საოცარი წყვილი მოხვდა — 107 წლის კარამი და მისი 100 წლის მეუღლე კატარი ჩანდი, რომელთა ქორწინება 87-ე წლისთავს ითვლის. ცოლ-ქმარი ადრე ინდოეთში, პენჯაბის შტატში ცხოვრობდა და გინესის წარმომადგენლებმა ყველაზე ერთგულ წყვილად დაასახელეს. კარამსა და კატარის 8 შვილი და 28 შვილიშვილი ჰყავთ. 87-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, მათ ბედნიერი ქორწინების საიდუმლოს გასაღები იპოვეს, რაც ერთმანეთზე ზრუნვასა და ერთგულებაშია. გარდა ამისა, ინდოელი წყვილი აცხადებს, რომ ხანგრძლივი ქორწინებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ადამიანები ერთმანეთის მავნე თვისებებს შეეჩვიონ, უფრო მომთმენნი იყვნენ და ყოველ წვრილმანზე არ გაღიზიანდნენ.

# მძღოლი სიცილისთვის გააჩერეს



ლივერპულის საგზაო პოლიციის თანამშრომელმა კომპანია Spontex Workwear-ის დირექტორი ჰარი სონდერსი მხოლოდ იმის გამო გააჩერა, რომ ბიზნესმენი მაქანის მართვისას გულიანად იცინოდა. პოლიციელმა სონდერსს განუცხადა, რომ საჭესთან სიცილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევად მიიჩნევა და მიუხედავად იმისა, რომ ჯარიმა არ გამოუწერია, პოლიციის სამმართველოში მაინც დაიბარა. ბრიტანელ მძღოლთა ასოციაცია ირონიულად აცხადებს, რომ მომავალში მძღოლებს ალბათ საჭესთან დაცემინების ან დახველების გამო დააჯარიმებენ.

# კონტაქტური ლინზები ჩიპით



ამერიკელმა მკვლევარებმა ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან ახალი კონტაქტური ლინზები შექმნეს, რომელშიც მიკროსქემებია ჩამონტაჟებული. ასეთი ლინზების გაკეთებისას ერთდროულად დაინახავთ გარშემო არსებულ სიტუაციას და ინფორმაციასაც ეკრანზე, ტერმინატორის მსგავსად. ლინზა დამზადებულია მოქნილი ბიოორგანული მასალისგან, რომელზეც დატანილია სულ რამდენიმე ნანომეტრის სისქის მეტალის ფენა, ასევე სინათლის დიოდები, რომელთა დიამეტრი მილიმეტრის მესამედია. როგორც მკვლევარები აცხადებენ, ლინზების ტესტირება ბოცვრებზე მოხდა, ეს მოწყობილობა 20 წუთის განმავლობაში ეკეთათ და მათ ჯანმრთელობაზე გავლენა არ მოუხდენია.

გამოგონების ავტორების თქმით, მისი გამოყენების სფერო შეიძლება მრავალფეროვანი იყოს: ის დაეხმარება სუსტი მხედველობის მქონე ადამიანებს, ასევე მძღოლებსა და პილოტებს, დაინახონ ინფორმაცია მოძრაობის სიჩქარის შესახებ ისე, რომ გზას თვალი არ მოაშორონ. ახალი ლინზები შესანიშნავი საშუალება იქნება ასევე ვიდეოთამაშებისთვისაც — მოთამაშეს საშუალება ეძლევა, შეზღუდვის გარეშე იმოძრაოს. შესაძლებელი იქნება ასევე, ინტერნეტგვერდების დათვალიერება თვალწინ არსებულ ეკრანზეც. ჯერჯერობით, ახალი ლინზები მხოლოდ ნორმალური მხედველობის მქონე ადამიანებისთვის არის შექმნილი, თუმცა მომავლისთვის მეცნიერები კორექციული ლინზების დამზადებასაც აპირებენ.

# ყავის მარცვლები ცვინისთვის სასარგებლოა



ყავის მარცვლები ხელს უშლის ჭკუასუსტობის, კერძოდ კი, ალცჰეიმერის დაავადების განვითარებას, — ასეთ დასკვნებს იაპონელი მკვლევარები აკეთებენ ცუკუბას უნივერსიტეტიდან. მათ აღმოაჩინეს, რომ ყავის შემადგენლობაში შემავალი ქლოროგენური მჟავა თავის ტვინის უჯრედებს დაშლისგან იცავს. თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად, მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ეს ეთერული ნივთიერება ხელს უწყობს მეხსიერების აღდგენას. იაპონელი სწავლულების თქმით, ქლოროგენურ მჟავას მხოლოდ ყავის მოუხალავი მარცვლები შეიცავს, მოხალვის შედეგად კი ის იშლება. აღსანიშნავია, რომ ამავე ნივთიერებას შეიცავს ასევე კარტოფილი და სტაფილო.

# ვაშინგტონში „კომპლიმენტების მანქანა" დადგეს



ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში, ეგრეთ წოდებული კომპლიმენტების მანქანა დადგეს — როგორც აღმოჩნდა, ძალიან საჭირო და აუცილებელიც კი თანამედროვე მსოფლიოში. ეს სასწაულმოქმედი მანქანა, რომელიც წითელ და თეთრ ფერადაა შეღებილი, ვაშინგტონის ერთ-ერთ ხალხმრავალ ქუჩაში გამოჩნდა. ამ აგრეგატის ახლოს ჩავლისას, ქალაქის მცხოვრებნიც და ტურისტებიც საკუთარი მისამართით სასიამოვნო კომპლიმენტებს მოისმენენ. როგორც გამოკითხვებმა აჩვენა, ადამიანებს ეს სიახლე ძალიან მოეწონათ. პრაქტიკულად, ყველას სიამოვნებს, როცა თბილი ხმით ეუბნებიან: „ოჰ, რა მშვენიერი თვალები გაქვთ" ან „ადამიანებს თქვენი დადებითი ენერგია იზიდავს". ამერიკელები აღიარებენ, რომ ასეთი კომპლიმენტის შემდეგ, მთელი დღე კარგი განწყობა აქვთ და უფრო შრომისუნარიანები არიან.

„კომპლიმენტების მანქანის" გამომგონებელი 46 წლის მხატვარი ტომ გრივსია. ამ აპარატზე მან ასზე მეტი კომპლიმენტი ჩაწერა და თითქმის ყოველდღე ახალს ამატებს და ძველს შლის, რომ არ გამეორდეს. აპარატი დილის 10 საათიდან საღამოს 7-მდე მუშაობს.

# ასაკიან მამაკაცებს ჯანმრთელი შვილები უჩნდებათ



ახალგაზრდა ქალმა, სჯობს, ბავშვები ასაკიანი მამაკაცისგან გააჩინოს, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კანადელი მეცნიერები. მათი გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ასაკიან მამაკაცს უფრო მეტი შანსი აქვს, ჯანმრთელი შთამომავლობა ჰყავდეს, ვიდრე ახალგაზრდებს, რომელთაც ჰორმონები „მოსვენებას არ აძლევთ". მასშტაბურმა გამოკვლევამ — როგორ მოქმედებს მშობლების ასაკი ბავშვის ჯანმრთელობაზე, აჩვენა, რომ უფრო მეტი საფრთხის ქვეშ ის ჩვილები არიან, რომელთა მამებს ჯერ 20 წელიც არ შესრულებიათ. ახალგაზრდა მამებს 22%-ით ხშირად უკვდებათ ბავშვები სიცოცხლის პირველი ოთხი კვირის განმავლობაში, ხოლო პირველი წლის განმავლობაში ეს შანსი 41%-მდე იზრდება. გარდა ამისა, ახალგაზრდა მამებთან მეტია ალბათობა, რომ ბავშვი დროზე ადრე და არასაკმარისი წონის დაიბადოს. 40 წელს გადაცილებულ მამაკაცებთან კი ბავშვებში თანდაყოლილი დაავადებების რისკი არ მატულობს.

კანადელი სწავლულების გამოკვლევაში დედების ასაკი 20-29 წელს შეადგენდა, რათა გამოერიცხათ შედეგებზე მათი ასაკის გავლენა. მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ მნიშვნელოვან როლს სოციალური ფაქტორებიც თამაშობს. მოზარდი-მამები, უმეტეს შემთხვევაში, მატერიალურად ნაკლებად არიან უზრუნველყოფილნი, ვიდრე ასაკიანი მამაკაცები, არც საკმარისი განათლება აქვთ და ფეხმძიმე ცოლებს სამედიცინო დახმარებით ვერ უზრუნველყოფენ, რაც ასევე გავლენას ახდენს ბავშვის ჯანმრთელობაზე.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | 7 | 4 | | | | |
| | | | | 1 | 9 | | | |
| 2 | | 3 | | | 8 | | | |
| | | 1 | | | | | 5 | 4 |
| | 9 | 4 | | | | 7 | 1 | |
| 5 | 8 | | | | | 3 | | |
| | | | 3 | | | 9 | | 1 |
| | | | 1 | 2 | | | | |
| | | | | 7 | 4 | | | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 9 | 4 | | | 6 | |
| 3 | | | | | 8 | | 7 | |
| | | | 7 | | | | | 2 |
| 9 | | | | | | | 2 | 4 |
| | | | 4 | | 1 | | | |
| 6 | 3 | | | | | | | 5 |
| 8 | | | | | 6 | | | |
| | 5 | | 1 | | | | | 7 |
| | 6 | | | 7 | 4 | 8 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | 5 | | | | |
| 3 | | 4 | | 6 | | 8 | | 5 |
| | | 5 | 1 | | | | | |
| 5 | | 8 | | 3 | | | | 9 |
| | | 1 | 2 | | 5 | 6 | | |
| 4 | | | | 7 | | 5 | | 2 |
| | | | | | 8 | 4 | | |
| 8 | | 7 | | 4 | | 2 | | 6 |
| | | | | 1 | | 9 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | | 8 | 7 | 6 | 5 | |
| 1 | | | | | | | | 9 |
| | | | 4 | 3 | | | | 8 |
| | | | | | 3 | 1 | | |
| | 1 | | | | | | 8 | |
| | | 7 | 2 | | | | | |
| 4 | | | | 7 | 5 | | | |
| 3 | | | | | | | | 6 |
| | 5 | 6 | 3 | 4 | | 8 | | |

## ვაშლი – ყველაზე სასარგებლო პროდუქტი







სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ჯანმრთელობისთვის ყველაზე სასარგებლო პროდუქტი ვაშლია. ცოტა ხნის წინ, გერმანელმა სწავლულებმა ხანგრძლივი კვლევების შედეგები გამოაქვეყნეს, რომლის დროსაც, ადამიანის ორგანიზმისთვის სასარგებლო საკვები გამოავლინეს, მათ მიერ შედგენილ რეიტინგში ლიდერი ვაშლი აღმოჩნდა, რომლის ყოველდღიური მოხმარებაც მნიშვნელოვნად აქვეითებს ალცჰეიმერის დაავადების განვითარების რისკს. ვაშლის შემადგენლობაში შედის ისეთი ნივთიერებები, რაც ონკოლოგიური უჯრედების პრიგრესირებას აფრეხებს. სიაში მეორე ადგილი თევზმა დაიკავა, და მის მოხმარებას მკვლევარები იმ ადამიანებს ურჩევენ, ვისაც გულსისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს. თუ ყოველდღიურად, ზომიერად მიიღებთ თევზსა თუ ზღვის პროდუქტებს, ინფარქტის რისკი 50%-ით მცირდება. მესამე საფეხური გერმანელმა მეცნიერებმა ნიორს მიანიჭეს, რომელიც შეუცვლელია გაციებისას. გარდა ამისა, მისი რეგულარული მოხმარება ნაწლავებისა და კუჭის კიბოს განვითარების ალბათობას ამცირებს. შემდეგ პოზიციაზე მარწყვი აღმოჩნდა — ის მდიდარია „ცე“-ვიტამინითა და რკინით. ეთერზეთები კი, რომელსაც მარწყვისგან ამზადებენ, სიმსივნის მაპროვოცირებელი უჯრედების ზრდას უშლის ხელს. მეხუთე ადგილზე სტაფილო გავიდა ბეტა-კაროტინის წყალობით. ეს ნივთიერება აუმჯობესებს მხედველობას და ხელს უწყობს ორგანიზმში თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზებას. სტაფილოს რეგულარული მოხმარება აუმჯობესებს კანის მდგომარეობას. განსაკუთრებით სასარგებლო კი ის სალათშია მცენარეულ ცხიმთან ერთად, რადგან ბეტა-კაროტინს ორგანიზმი მხოლოდ ცხიმთან ერთად ითვისებს.

სასარგებლო პროდუქტების ტოპ-ათეულში მოხვდა ასევე — მწარე ნიწაკა ჩილი, რომელიც ჭარბი წონის დაკლებას უწყობს ხელს, ბანანი — მასში კალიუმისა და მაგნიუმის დიდი რაოდენობაა. გარდა ამისა, ეს ხილი რთულ ნახშირწყლებს შეიცავს. კიდევ ერთი სასარგებლო საკვები სოიოა — მასში ბევრი ლეციტინი და „ბე“-ჯგუფის ვიტამინია. მეცხრე ადგილზე რძის პროდუქტებია, რომელშიც გარდა კალციუმისა, ცილები და ლაქტოზაც არის. საპატიო, მეათე ადგილი კი ალუბლის წვენს ერგო — სწავლულები დარწმუნებულნი არიან, რომ მისი დახმარებით შესაძლებელია, მნიშვნელოვნად შევამციროთ კუნთების ტკივილი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ.



## ავსტრალიელებს დაქორწინებას „აიძულებენ“

ოჯახური ცხოვრება, მიუხედავად მთელი რიგი ბარიერებისა, რაც ორი ადამიანის ურთიერთობას უკავშირდება, გაცილებით უსაფრთხოა გარემოსთვის, ვიდრე მარტოხელა ადამიანის ცხოვრება, რადგან განქორწინებულები, ეკოლოგიური თვალსაზრისით, ცხოვრების უფრო მავნებლური წესით ცხოვრობენ... ეს მოსაზრება ერთ-ერთ ავსტრალიელ სენატორს ეკუთვნის, რომელიც ამ უჩვეულო თეორიას ფაქტებით ამყარებს — განქორწინებულებს უფრო მეტი საცხოვრებელი ფართი სჭირდებათ, შესაბამისად, მეტ ელექტროენერგიასა და წყალს მოიხმარენ... ყველაფერს კი იქამდე მივყავართ, რომ ატმოსფეროში მეტი მავნე ნივთიერება გამოიფრქვევა, დედამიწის ბუნებრივი მარაგი უფრო სწრაფად იხარჯება და ამიტომ, რაც მეტი ოჯახი იქნება პლანეტაზე, მით უკეთესია.

## არტერიულ წნევას ჩახუტება არეგულირებს



დღეისთვის, ჰიპერტონია კვლავ რჩება უამრავი ადამიანის მღელვარების მიზეზად, თანაც თანამედროვე სამკურნალო პრეპარატები ყოველთვის არ იძლევა სასურველ ეფექტს და ავადმყოფს მხოლოდ დროებით შვებას ჰგვრიან. იტალიელმა სწავლულებმა კი შეძლეს მაღალი წნევის საწინააღმდეგო ეფექტური საშუალების პოვნა — ეს ჩახუტებაა, რაც ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებასა და სტრესის შემსუბუქებას. კვლევებისას აპენინელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ ასეთი ეფექტის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ახლობელ ადამიანებთან ჩახუტებით.

## არაყს რძისგან ამზადებს

ბრიტანელმა ფერმერმა არყის წარმოება ძროხის რძისგან დაიწყო, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. დორსეტის საგრაფოში მცხოვრებ 47 წლის ჯეისონს სულ 250 ძროხა ჰყავს და როგორც ამბობს, არყის გამოხდის იდეა დოკუმენტურმა ფილმმა უბიძგა, სადაც ციმბირის მოსახლეობა სპირტიან სასმელს იაკების რძისგან ამზადებდა. „საიდუმლო“ რეცეპტსა და მის დამუშავებაზე ინგლისელი ფერმერი 3 წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად შრომობდა და ბოლოს, საკუთარ ქმნილებას „შავი ძროხა“ (Black Cow) უწოდა.





## მოწევა სმენას აქვეითებს

ანტვერპენის უნივერსიტეტის მეცნიერებმა უჩვეულო აღმოჩენა გააკეთეს — ისინი აცხადებენ, რომ თამბაქოს მოწევა არა მარტო სხვადასხვა სახის დაავადებას იწვევს, არამედ სმენასაც აქვეითებს. სწავლულების მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში 4 ათასზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა. შედეგად კი, გაირკვა, რომ მწეველებს სმენის დაქვეითება აღენიშნებოდათ. სმენა უარესდება, თუ ადამიანი ერთ წელზე მეტხანს, რეგულარულად ეწევა, — აცხადებენ მკვლევარები და დასძენენ, რომ ამ დარღვევას შეუქცევადი ხასიათი აქვს.




გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

გაზეთი „ვერსია“ ერთჯერადად შეისყიდის სკანვორდებს
(ელექტრონულ ვერსიას). ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.